ნანა ხაზარაძე

კავკასიურ-
ახლოაღმოსავლური
სამყარო

THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

NANA KHAZARADZE

CAUCASIAN-NEAR EASTERN WORLD

НАЦИОНАЛЬНАЯ АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

НАНА ХАЗАРАДЗЕ

КАВКАЗСКО-БЛИЖНЕВОСТОЧНЫЙ МИР

TBILISI 2012 ТБИЛИСИ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

ნანა ხაზარაძე

კავკასიურ-
ახლოაღმოსავლური
სამყარო

თბილისი 2012

UDC (უაკ) 94(479.22) + 94(5-11)](093)
ხ-161

რედაქტორი: **თამაზ გამყრელიძე**
აკადემიკოსი

რეცენზენტი: **ირინე ტატიშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

წიგნი გამოსაცემად მოამზადა
ჯუანშერ ამირანაშვილმა
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

Editor: academician **Tamaz(Thomas) V. Gamkrelidze**
President of the Georgian National Academy of Sciences

Reviewer: professor **Irene M. Tatishvili**
Doctor of Historical Sciences
The book for the edition was prepared by **Juansher S. Amiranashvili**
Doctor of Historical Sciences

Редактор: академик **Тамаз В. Гамкрелидзе**
Президент Национальной академии наук Грузии

Рецензент: профессор **Ирина М. Татишвили**
доктор исторических наук
Книгу к изданию подготовил **Джуаншер Ш. Амиранашвили**
доктор исторических наук

© ნანა ხაზარაძე, Nana Khazaradze 2012.
© Georgian National Academy of Sciences, 2012.

ISBN - 978-99928-20-42-1

ნ ი ნ ა თ ქ მ ა

1958–2011 წლებში არასრული ნუსხით, მეცნიერთა სხვადასხვა ფორუმებზე 130–ზე მეტი მოხსენება ნავიკითხე. ერთი ნაწილი თეზისების, მოკლე შინაარსებისა და სტატიების სახით გამოქვეყნდა, ნაწილი ჩემს პირად არქივში ინახება. ამჟამად მკითხველს ზოგი მოხსენების სრულ ვერსიას ვთავაზობ და რამდენიმე სხვა ნაშრომს ვთავაზობ.

აქვე დავძენ: წიგნის საბოლოო მომზადების შემდეგ, იგი კიდევ ერთხელ გადავიკითხე და აღმოვაჩინე, რომ მან შორეული და ახლო წარსულის იმ ბედნიერ დღეებში დამაბრუნა, როდესაც საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში, ლატვიაში, უკრაინაში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში, ინგლისში, თურქეთსა და იაპონიაში გამართულ კონფერენციებში ვმონაწილეობდი, ვხვდებოდი და ვუსმენდი მსოფლიოში სახელგანთქმულ აღმოსავლეთმცოდნეებს, ანტიკოსებს (არქეოლოგებს, ისტორიკოსებს, ლინგვისტებს, ფოლკლორისტებს, ხელოვნებათმცოდნეებს); ვეცნობოდი ამ ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებს, უნივერსიტეტებს, წიგნთსაცავებს, უახლეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, მუზეუმებში დაუნჯებულ საგანძურებს, ღირსშესანიშნაობებს, ყოფით კულტურას და ახალი საბუთო გეგმებითა და ნარუშლელი შთაბეჭდილებებით

დაბრუნებულს შინ ჩემი უსაყვარლესი ადამიანები სიხარულით მხვდებოდნენ...

მადლობა განგებას, რომ ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე ასეთი ღირსსახსოვარი დღეები მაჩუქა!

მადლობა ნიგნის რედაქტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს, რომლის თანადგომის გარეშე ნიგნის გამოქვეყნებას ვერ შევძლებდი.

მადლობა ნიგნის რეკენზიენტს, ქართული ხეთოლოგიური სკოლის ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ირინე ტატიშვილს.

მადლობა გამოსაცემად ნიგნის მომზადებისათვის დიდად დამაშვრალს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ჯუანშერ ამირანაშვილს.

მადლობა ყველას, ვინც ჩემთვის უმძიმეს 2012 ნელს ამ კრებულის შედგენის სურვილი შემინარჩუნა.

ნანა ხაზარაძე

FOREWORD

In 1958-2011 I read more than 130 papers at various scholarly forums, this being only a partial list. Some of them were published in the form of abstracts, brief summaries and articles, some are kept in my personal archives. At present I offer the readers complete versions of some papers.

Here I would like to note the following: after the final preparation of the book, I read it once again and found out that it brought me back to the happy days of the remote and recent past, when I participated in conferences held in Georgia, Azerbaijan, Armenia, Russia, Latvia, Ukraine, Germany, Czechoslovakia, Hungary, Austria, France, Italy, Netherlands, England, Turkey and Japan, when I met and listened to world-renowned orientalists, classical scholars (archeologists, historians, linguists, folklorists, art critics), familiarized with research centres, universities, libraries of these countries, most recent specialist literature, treasures preserved at museums, places of interest, everyday culture, and when I, returning home with new plans for work and unforgettable impressions, was met by my dear persons with joy...

Thank God for granting me such memorable days during my long course of life!

I would like to express my gratitude to the editor of the book, President of the Georgian National Academy of Sciences, Academician **Thomas Gamkrelidze**, without whose support I could not have been able to publish the book.

Thanks are due to the book reviewer, Professor **Irene Tatishvili**, Doctor of Historical Sciences, a worthy successor of the traditions of the Georgian school of the Hittite studies.

I would also express gratitude to **Juansher Amiranashvili**, Doctor of Historical Sciences, who made a great contribution to the preparation of the book.

I am grateful to all who helped me in 2012, the hardest year for me, to retain the desire to compile this collection.

Nana Khazaradze

ძველი კავკასია და ახლოაღმოსავლეთი
(ისტორია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიული გეოგრაფია, კულტურა)

ANCIENT CAUCASUS AND NEAR EAST
(HISTORY, SOURCE-STUDY, HISTORICAL GEOGRAPHY, CULTURE)

ДРЕВНИЙ КАВКАЗ И БЛИЖНИЙ ВОСТОК
(ИСТОРИЯ, ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ, ИСТОРИЧЕСКАЯ ГЕОГРАФИЯ, КУЛЬТУРА)

ლუვიური ორი იეროგლიფის ისტორიისათვის

როგორც წინათაც არაერთგზის აღვნიშნავდი, ძვ. წ. XVI საუკუნეში შექმნილი იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა პირველხარისხოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს ძვ. წ. II-I ათასწლეულების ანატოლიის ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტის წარმოსაჩენად. ამ ხატოვან დამწერლობაში საკმაოდ ადეკვატურადაა ასახული ძველი ანატოლიის ფლორა, ფაუნა, არქიტექტურა, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, უძველესი რწმენა-წარმოდგენები და ა.შ.

წინა წლებში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ძველანატოლიური ფაუნისა და ამ რეგიონში გავრცელებული არქიტექტურული ძეგლების (სასახლე, ტაძარი, ჭიშკარი) აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები სავსებით შეესაბამება რეალურ ისტორიულ ვითარებას. ხეთურ და გვიანხეთურ წერილობით ძეგლებთან, აგრეთვე, ანატოლიის ტერიტორიაზე არქეოლოგების მიერ მოძიებულ მასალასთან ლუვიურ იეროგლიფებზე აღბეჭდილი ნიშნების შედარებამ ერთმნიშვნელოვნად დაგვანახა, რომ ამ ორიგინალური დამწერლობის შემქმნელნი სრულად ფლობდნენ ღირებულ ინფორმაციას ძველანატოლიური სამყაროს შესახებ.

ამჯერად, ჩვენი კვლევის საგანს ლუვიური ორი იეროგლიფი წარმოადგენს. ესაა:

"პურის თავთავი", მარცვლეულის ღეთაების სიმბოლო, რომელსაც ლურსმული Halki-შეესატყვისება.

"პური", ლოგოგრამა: 1. ფონეტიკური წაკითხვა turpi-, 2. ფონეტიკური წაკითხვა, ან ფონეტიკური კომპლემენტი (...)arsa-.

ცნობილია, რომ ხორბლისა (Triticum L.) და ქერის (Hordeum L.) უძველეს სამშობლოდ წინა აზია, სამხრეთი კავკასია და ჩრდილოეთი აფრიკაა აღიარებული. არქეოლოგები ამ არეალში აღნიშნული მარცვლეული კულტურების არსებობას ძვ.წ. X ათასწლეულიდან, ნეოლითური რევოლუციის დასაწყისშივე ვარაუდობენ.

წერილობითი წყაროების ჩვენებათა საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ ძველი ანატოლია, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობის სამშობლო, ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგიდანვე მძლავრ სამეურნეო კერას წარმოადგენდა. ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა იმთავითვე შეუწყო ხელი ამ რეგიონში მიწათმოქმედების განვითარებას.

"კაპადოკიური" ფირფიტების მონაცემებით, ანატოლიაში ძირითად მარცვლეულ კულტურებს ხორბალი და ქერი წარმოადგენდა. "კაპადოკიურ" ფირფიტებშივე ვხვდებით გამოთქმებს: "მარცვლეულის მოსავლის აღების დრო", "დათესილი მარცვლეულის გამწვანების დრო", "წლის დასაწყისი", უფრო ზუსტად: "ცელის აღების დრო"[7] და ა.შ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ძირითად ცნობებს ხეთურ ლურსმულ წერილობით წყაროებში ვპოულობთ.

ხეთების ძველი სამეფოს (ძვ. წ. 1650-1500 წწ.) ერთ-ერთი თვალსაჩინო მმართველის, თელიფინუს (დაახლ. 1550-1500 წწ.) მიერ ტახტის მემკვიდრეობის კანონთან დაკავშირებით შედგენილი ტექსტი ამ თვალსაზრისით არაერთ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის. დოკუმენტიდან კარგად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხეთების ძველ სამეფოში მარცვლეულ კულტურებს. ირკვევა, რომ მეფისათვის ხორბლის მოსავალი განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი ყოფილა. თელიფინუ აცხადებს: "და მე ხორბალი

კელავ უხვად ვაქციე (გავამრავლე). მეგუთნეებმა მხოლოდ ეს მინდვრები და ველები (დაამუშაონ), ბეჭედი უნდა დაუსვან . არ უნდა იცრუონ. ისინი მოსავლის [1 გიპესარს] ან 2 გიპესარს აკლებდნენ და ამით ქვეყანას სისხლს აცლიდნენ. ახლა კი (ასე) აღარ აკეთონ! ვინც გააკეთებს, დაე, მას საშინელი სიკვდილი მიუზღონ. აწ და მარადის (შენ), ვინც ჩემს შემდგომ მეფედ გახდები, ხორბალი ყოველთვის დაბეჭდე მათი სახელით. ამიერიდან "ბეჭდის სახლის" გამგებლებმა შენ დაგიტოვონ. ისინი შენ გეტყვიან: "...", მაგრამ შენთვის არ უნდა დაბეჭდო. იგი მათი სახელით დაბეჭდე..."; "...ხათუსში აგებული უბნები (ტექსტში "დასახლებანი") დაცული უნდა იყოს და შენ ისინი არ უნდა მიატოვო. (ეს) აგებული უბნები... წყალი. ხორბლისათვის იგი (წყალი) ათჯერ (და) ოცჯერ უნდა მოიტანო..."[8]. თელიფინუს სახელით შედგენილ ტექსტშივე ხორბალთან, ველ-მინდვრებთან, მეგუთნეებთნ ერთად, "მინდვრის ათასთა" მთავარნიც მოიხსენიებიან ("ახლა კი, დღეიდან, ხათუსაში თქვენ, "სასახლის ძენო", "მინდვრის ათასთა" მთავარნო, თქვენ ეს სიტყვები შემდეგში უნდა ცნოთ...")[9].

ჯერ კიდევ ხეთების ძველი სამეფოს დროს (ძვ. წ. 1650-1500 წწ.) შედგენილი ხეთური კანონების მთელ რიგ მუხლში არაერთგზისაა საუბარი ხორბლის ქურდობასთან დაკავშირებით არსებულ სანქციებზე (§96: "[უკეთუ] კაცი ხორბლის ბეღელს გაქურდავს და ბეღლის [ხორბალს მოიპარავს], იგი [ბეღელს] ხორბლით აავსებს, 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს", ან §97: "[უკეთუ] მონა ხორბლის ბეღელს გაქურდავს და ბეღლის [ხორბალს მოიპარავს], იგი [ბეღელს] ხორბლით აავსებს, 6 სიკლ ვერცხლსაც გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს")[10].

ხეთურ კანონებში "ხორბალზე გასუქებული" ღორისა და გოჭის მოპარვის შესახებაცაა საუბარი. ასე, მაგ., §81:

"უკეთუ ვინმე ხორბალზე (გასუქებულ) ღორს მოიპარავს, წინათ ერთ მინა ვერცხლს აძლევდნენ, ახლა კი 12 სიკლ ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს". საინტერესო ისიცაა, რომ ღორისა და გოჭისათვის ზიანის ანაზღაურება სწორედ ხორბლის საშუალებით ხდებოდა (§83: "უკეთუ ვინმე მაკე ღორს მოიპარავს, 6 სიკლ ვერცხლს გაიღებს) და გოჭებსაც დაითვლის (ყოველ) ორ გოჭზე 1 საწყაო ხორბალს გაიღებს [და მის სახლს ჩააბარებს]; §84: "უკეთუ ვინმე მაკე ღორს სცემს და იგი მოკვდება [მისი ანაზღაურება] ზუსტად იგივეა"; §85: "უკეთუ ვინმე პატარა გოჭს (დედა ღორს ანუ ძუძუს) მოაცილებს და მოიპარავს [...საწყაო ხორბალს გაიღებს"). ხეთურ კანონებშივე იხსენიება "კალო", "მინდორი", "ბაღი", (§86: "უკეთუ ღორი კალოზე ანდა მინდორზე (ან) ბაღში გაივლის და კალოს, მინდვრის (ან) ბაღის პატრონი სცემს და იგი მოკვდება, იგი მას პატრონს უკან მიჰგვრის. თუ მას არ მიჰგვრის, იგი ქურდი იქნება")[11].

ხეთურ კანონებში მკაცრადაა განსაზღვრული სასჯელი მომავალი მოსავლის განადგურების შემთხვევაშიც (§106: "უკეთუ ვინმე თავის მიწაზე ცეცხლს დაანთებს და მას მოსამკელი ყანისკენ მიუშვებს და ყანას ცეცხლს წაუკიდებს, იმან, ვინც ცეცხლი წაუკიდა, თვითონ უნდა აიღოს გადამწვარი ყანა, ხოლო პატრონს უნდა მისცეს კარგი ყანა და იგი აიღებს მოსავალს")[12].

ხეთური სამართლის ძეგლში, საგუთნე ხარს, როგორც ჩანს, სოფლის მეურნეობაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის მიზეზით, რამდენიმე მუხლი ეთმობა: განსაზღვრულია მისი ფასი, გათვალისწინებულია სასჯელი მისი ქურდობისათვის (§63: "უკეთუ ვინმე საგუთნე ხარს მოიპარავს, წინათ 15 ხარს აძლევდნენ, ახლა კი 10 ხარს გაიღებს – 3 ხარს ორწლიანს, 3 ხარს ერთწლიან (და) ძუძუმწოვარას გაიღებს იგი და მის

სახლს ჩააბარებს"; §66: "უკეთუ საგუთნე ხარი, უკეთუ შესაბმელი ცხენები, უკეთუ ძროხა, უკეთუ ჭაკი ვირი (სხვის) ბაკში შეერევა ა(ნდა) უკეთუ ვაცი გაწვრთნილი, უკეთუ დედალი ცხვარი, უკეთუ ვერძი (სხვის) ბაკში შეერევა, პატრონი [მისი კი იპო]ვის, იგი მას კანონიერად უკან წამოიყვანს [როგორც] ქურდს მას არ აიყვანენ, შეიპყრობენ)[13].

ხეთური კანონები საგუთნე ხარის ფასსაც ეხება. ირკვევა, რომ იგი გაცილებით უფრო ძვირადღირებული იყო, ვიდრე ბუღა ხარი, ძროხა, მოზვერი, ხბო და ა.შ. (§178: "საგუთნე ხარის ფასია 15 სიკლი ვერცხლი, 1 ბუღა ხარის ფასია 10 სიკლი ვერცხლი, 1 ძროხის ფასია 7 სიკლი ვერცხლი, 1 მოზვერის ან დეკეულისა 5 სიკლი ვერცხლი, მაკე ძროხაში უნდა მისცეს (მყიდველმა) 8 სიკლი ვერცხლი, 1 ახალშობილი ხბოს ფასია 2 სიკლი ვერცხლი, 1 ულაყის, 1 ფაშატის, 1 ვირის, 1 ჭაკი ვირის ფასიც იგივეა"). ხეთური კანონის §151-ის თანახმად, საგუთნე ხარის 1 თვის ქირა 1 სიკლ ვერცხლს შეადგენდა, ხოლო გუთნისა 1/2 PA ქერს (§159)[14].

ხეთური სამართლის ძეგლის §121-ის მოთხოვნით, სასჯელი გუთნის ქურდსაც ელოდა ("უკეთუ თავისუფალი კაცი გუთანს მოიპარავს, გუთნის პატრონი მას სამარცხვინო ბოძთან დააყენებს. წინათ ასე იქცეოდნენ, ახლა კი მან უნდა მისცეს 6 სიკლი ვერცხლი, აგრეთვე, პასუხს თავისი სახლ-კარით აგებს. თუ იგი მონაა, მან 3 სიკლი ვერცხლი უნდა მისცეს")[15].

ძველი ანატოლიის მარცვლეული კულტურების ისტორიისათვის ისიცაა მნიშვნელოვანი, რომ ხეთურ კანონებში მიწათმოქმედებისათვის განკუთვნილ ველ-მინდვრებთან ერთად, "შეკრული ძნები", "კალო", "წისქვილის ქვები", "მეწისქვილე ქალები" იხსენიება (§158: "უკეთუ მამაკაცი წავა ქირით სამუშაოზე, ჩაკეტავს მათ ფარდულში [...] გალეწავს კალოზე, მისი თვის ქირაა 30

PA ქერი")[16]. არანაკლებ საყურადღებოა ისიც, რომ, როგორც დავინახეთ, ვერცხლთან და ცხვართან ერთად კანონებში ხორბალი და ქერი საგადასახადო ერთეულების სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნულთან ერთად შემდეგი მუხლებიცაა საინტერესო §158: "უკეთუ ქალი იმუშავებს სამზარეულოში ქირით..., მას უნდა მიეცეს 2 თვის 12 PA ქერი", ან §159: "უკეთუ ვინმე შეაბამს უღელში ხარებს, უღლის ქირა 1/2 PA ქერია"; 161: "უკეთუ ის გააკეთებს 1 მინა წონის ლანგარს, მისი ფასია 1 PA ქერი" და ა.შ.)[17].

ხეთურ კანონებში არც ნათესაობისათვის ზარალის მიმყენებელია დავიწყებული და არც სახნავ-სათესების საზღვრების დამრღვევი (§166: "უკეთუ ვინმე თესლზე თესლს დასთესს, მას კისერზე უღელი უნდა დაადგან, შემდეგ კი შეაბან ხარები, ერთი შეაბრუნონ პირით იქით, მეორე აქეთ; კაცი მოკვდება და ხარებიც უნდა დახოცონ; ხოლო ის, ვინც პირველმა დათესა ყანა, სწორედ იგი წაიღებს მას, წინათ ასე შერებოდნენ"; §168: "უკეთუ ვინმე დაარღვევს სახნავ-სათესის საზღვარს, მან უნდა მოიყვანოს ერთი აკკალას, ხოლო მიწის პატრონს შეუძლია ჩამოაჭრას 1 [გი]პესარი მიწა და აიღოს ის თვითონ; მათ, ვინც დაარღვევს სახნავ-სათესის საზღვარს, უნდა მისცეს 1 ცხვარი, 10 პური, 1 ფიხუ ლუდი და მიწა კვლავ გაწმენდილი იქნება")[18].

ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, საგულისხმო ცნობებს ხეთური ე.წ. საკადასტრო დოკუმენტებიც შეიცავენ, სადაც მარცვლეული კულტურებისათვის (ხორბალი, ქერი) შერჩეული ნაკვეთების მახასიათებლები საკმაოდ სკრუპულოზურადაა აღნუსხული. როგორც ჩანს, ხეთები მიწის ნაკვეთებს მათი სიდიდის, ფორმის, მოსავლიანობის ხარისხისა და მდებარეობის მიხედვით არჩევდნენ. საკადასტრო დოკუმენტებში მიწის ნაკვეთის შემდეგ ჩამონათვალს

ვხვდებით: "მინდორი მოსავლის რაოდენობის მითითებით", "მინდორი მასზე გამდინარე მდინარით", "მინდორი უდაბნო'ში", "მინდორი არხით", "მინდორი მდინარის პირას", "მინდორი ვაკეზე", "მინდორი მაღლობზე", "კლდოვანი მინდორი", "გრძელი მინდორი",[19] და ა.შ. როგორც მართებულად ვარაუდობენ, მიწის ნაკვეთების ფასი პირდაპირ იყო დამოკიდებული მიწის ნაყოფიერებაზე და მის ადგილმდებარეობაზე. წყლის სიახლოვის ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა[20].

პურის თავთავისა და პურის აღმნიშვნელ ლუვიურ იეროგლიფებთან დაკავშირებით ხათურ-ხეთური მითოლოგიის ამსახველი წერილობითი ძეგლებიც იმსახურებს ყურადღებას. ალბათ ნიშანდობლივია, რომ მითში გველეშაპის შესახებ სიცოცხლის განახლების სიმბოლოდ მაინცდამაინც "აფუებული პურია" წარმოდგენილი ("ქალღმერთმა ინარამ მდინარეები უფრო წყალუხვი გახადა და როდესაც ქალაქ ნერიქაზე იწვიმა, ნერიქადან კვერთხის მპყრობელმა აფუებული პური წაიღო")[21].

მარცვლეულ კულტურებთან დაკავშირებით თელიფინუს მითსა და რიტუალში რამდენიმე საგულისხმო ცნობას ვხვდებით. მითის მოწმობით, თელიფინუს "გაქრობა-წასვლამ" ქვეყნისათვის საბედისწერო შედეგები გამოიღო: "ქერი და ხორბალი აღარ ხარობდა...". თელიფინუს რიტუალში ასეთ პასაჟს ვხვდებით: "როგორც ალაოა გამოფიტული და მინდორში არ მიაქვთ იგი და თესლად არ ხმარობენ, პურს არ აცხობენ, ბეღელში არ ინახავენ, დაე, თელიფინუს რისხვა, ავგულობა, მძვინვარება ასევე უნაყოფო იყოს!"[22]

პურის, ფქვილის, აგრეთვე ხორბლისა და ქერისაგან დამზადებული ლუდისა და ალაოს მოხსენიებას ხშირად ხეთი მეფეების მიერ ღვთაებებისადმი მიძღვნილ ტექსტებშიც ვადასტურებთ. ამინდის ღვთაება ფიხასა-

სისადმი აღვლენილ ხეთების მეფე მუვათალის ლოცვამ (ძვ. წ. XIII ს-ის დასაწყისი) ამ თვალსაზრისით რამდენიმე საყურადღებო ცნობა შემოგვინახა. ხეთების მეფე ლოცვას საკუთარი გენეალოგიისა და ტიტულატურის აღნიშვნით იწყებს ("ასე (ამბობს) თაბარნა მუვათალი, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა [ძე] მურსილისა, დიდი მეფისა, ხათის ქვეყნის მეფისა, გმირი: როდესაც ადამიანს // სინდისი აწუხებს, ღმერთის წინაშე თავის მართლებით წარსდგება"). შემდეგ მუვათალი გვამცნობს, რომ მას ჩვენთვის უცნობი შენობის (სასახლე?) სახურავზე ლერწმისგან მოწნული ორი მაგიდა დაუდგამს, რომელთაგან ერთი არინას მზის ღვთაებისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე - მამრი ღვთაებისათვის. ხეთურ ტექსტში ნათქვამია, რომ §1: "მათზე (მაგიდებზე ნ.ხ.) (მოათავსებენ) 35 სქელ პურს (გამომცხვარს ერთი) თარნა ახალი ფქვილისაგან, //თხელკეციან (გამჭირვალე) თასს თაფლით, რომელშიც წმინდა ზეთია (შერეული), ქოთანს სავსეს ცხიმიანი პურით, ბურღულით // სავსე თხელკედლიან (გამჭირვალე) თასს (და) 30 დოქ ღვინოს". მეფის ლოცვა მხოლოდ ამ პროცედურის შესრულების შემდეგ იწყება. პურის მოხსენიება აღნიშნულ წერილობით ძეგლში მოყვანილი ციტატით არ ამოიწურება. "ღვთაებათა მოხმობას" მათთვის განკუთვნილი შესაწირის აღწერა მოსდევს. §75: "...[შემდ]ეგ დაამტვრევს სქელ პურებს". §76: "[...] სამი სქელი, (ერთი) თარნა ახალი ფქვილისაგან (გამომცხვარი) არინას მზის ქალღმერთისათვის; //(მეფე) მათ ჩააწობს თაფლში, რომელშიც წმინდა ზეთია შერეული და //არინას მზის ქალღმერთის მაგიდაზე ათავსებს. ამის შემდეგ ცხიმიან პურს (და)// ბურღულს სქელ პურებზე დაყრის. (მათ) წინ კი ერთ დოქ ღვინოს შეასხურებს". §77: „ამის შემდეგ ამინდის ღვთაება ფიხასასისადმი დაამტვრევს სამ ოთორ სქელ პურს, //მათ შორის ერთ წითელს, ჩააწობს მათ თაფლში,

რომელშიც წმინდა ზეთია შერეული // და ამინდის ღვთაება ფიხასასის მაგიდაზე მოათავსებს. //შემდეგ სქელ პურებზე ბურღულს (და) ცხიმიან პურს დაყრის. //[მათ] წინ ერთ დოქ ღვინოს შეასხურებს". „თეთრი სქელი პერის", „წითელი პურის", „ცხიმიანი პურის" და „ბურღულის" მოხსენიება მოყვანილი ტექსტის უკლებლივ ყველა მუხლში (§87-91) მოწმდება, სადაც ხეთების პანთეონის არაერთი სხვა ღვთაებისათვის (ხებათი, ცის ამინდის ღვთაება, ხათის ამინდის ღვთაება, ციფალანდას ამინდის ღვთაება, ხათის ყველა მამრი ღვთაება, სერი და ხური, ხათის ყველა ქალღმერთი, მთების და მდინარეების ღვთაებები, ყველა ქვეყნის მამრი ღვთაებები, ყველა ქვეყნის ქალღმერთები...) მიძღვნილი შესაწირია აღწერილი.[23]

ზემომოყვანილთან ერთად საგულისხმოა მურსილი II-ის ლოცვისა და მზის ქალღმერთისადმი მიძღნილი ჰიმნის ტექსტიც, სადაც კვლავაა ხაზგასმული ღვთაებისათვის შეწირულობაში პურისა და ღვინის მნიშვნელობა. ხეთების ქვეყანაზე თავსდატეხილი უბედურება (შავი ჭირი) მეფეს არინას მზის ქალღმერთის მისამართით მუდარით აღსვსე შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს: „დაე, ამ სურნელოვანმა, საამურმა კედარის ზეთმა //გული მოგილბოს (რათა) შენ ისევ შენს სალოცავში მოხვიდე // აი, მე - მურსილი მოგიხმობ პურითა და ღვინით // სიბრაზე დაიცხრე, // (მოდი) და მოისმინე ჩემი სათქმელი"[24].

ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით მურსილის ლოცვისა და ჰიმნის ტექსტის კიდევ ორი ფრაგმენტი იმსახურებს ყურადღებას, სადაც გამწარებული მეფის ხმა გაისმის (§6: „ღვთაებებო, ეს რა ჩაიდინეთ? შავი ჭირი გაავრცელეთ // და ხათის მთელი ქვეყანა ამოწყდა! ამის შედეგად // აღარავის შეუძლია თქვენთვის შესაწირი პურისა და ღვინის // მორომეკა. ბლეხები, რომლებიც ღვთაებათა მინდვრებსა და ყანებს

//ამუშავებდნენ, ამოწყდნენ. [ღვთაებათა] მინდვრებსა და ყანებს //ისინი (ველარ) ამუშავებენ. ველარავინ იღებს მოსავალს. //მეწისქვილე ქალები, რომლებიც ღვთაებისათვის „სქელ" პურებს აცხობდნენ ხოლმე, //ისინი ამოწყდნენ, „სქელ" პურებს ველარ [აცხობენ]"[25] და ქვემოთ: §11 „ ზოგიერთი [...] //თქვენი (ე.ი. ღვთაებათა - ნ.ხ.) რიტონების, თასების [ვერცხლისა (და) ოქროს] ნივთების //მითვისებას ცდილობს. // ერთნი თქვენი მინდვრების, ბაღების, // მდელოების გავერანებას ცდილობენ, სხვანი სხვანი კი - // (თქვენი) გლეხების, მებაღეების, მეწისქვილე ქალების ხელში ჩაგდებას"...[26]).

ზემომოყვანილ მონაცემებთან ერთად, საყურადღებო ინფორმაციის შემცველია სამშენებლო რიტუალის ამსახველი წერილობითი ძეგლებიც, სადაც „პურის" მოხსენიება „ღვინოსთან" ერთად რიტუალის დასაწყისშივე ჩნდება. KUB XXIX 1-ის თანახმად, „როდესაც საძირკველს ყრიან, სასახლიდან მიპყავთ ერთი ბუღა ხარი, ერთი ძროხა და ათი ცხვარი. ბუღა ხარს ამინდის ღთაებას, ხოლო ძროხას არინას მზის ქალღმერთს სწირავენ მსხვერპლად. (რაც შეეხება) ცხვრებს, თითოთითოს სწირავენ თითოეულ ღთაებას. პური და ღვინო (ასევე) სასახლიდან მიაქვთ"[27]. პურს რიტუალის აღსრულებას სხვა ეტაპებზეც ვადასტურებთ. ირკვევა, რომ მომავალი სასახლის ან ტაძრის საძირკველში სხვადასხვა წონის, ზომის სხვადასხვა ფქვილისაგან გამომცხვარ პურს ათავსებენ. KUB IX 2-დან ირკვევა, რომ განახლებული ტაძრის საძირკველში kupti-ს (სამსხვერპლო ჭურჭელს) „ჩაასობდნენ", ხოლო მასში კრავთან, თხასთან, იხვთან, ყველთან ერთად 30 თხელ პურს, 1 tarna mulati პურსაც მოათავსებდნენ"[28]. მითითებული ტექსტის მოწმობითვე, საძირკვლის ჩაყრის რიტუალი მეორე დღესაც გრძელდებოდა: ამჯერად, სამსხვერპლო ორმოში კრავთან და იხვთან ერთად შესაწირად 30 თხელი პური,

1 tarna ფქვილისაგან გამომცხვარი 1 ცხელი პური, 1 tarna BA.BA.ZA-დან გამომცხვარი 1 ცხელი პური, 1 tarna BA.BA.ZA-დან გამომცხვარი 1 ტკბილი პური მიჰქონ-დათ"[29].

როგორც KBo XV 24-დან ვგებულობთ, სასახლის ტაძრის, კერის საძირკვლის გამართვისას შესაწირს სპეციალურად ამ მიზნით დადგმულ მაგიდაზე განალაგებდნენ. ხეთური ტექსტის მოწმობით, ღვთაება ეასათვის რიტუალის შემსრულებელს 1 ცხელი პური, ზედ დაწყობილი 12 tappinu - პური, ყურის ფორმის 10 პური და კედარი შეუწირავს[30]. KBo XV 24-ში საუბარია ქერის, სპელტის, ბარდის, ცერცვის, parhuena პურის მარცვლის, ხორბლის და ალაოთი სავსე ჭურჭლის შეწირვაზეც[31].

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე საგულისხმო ცნობა გვიანხეთური ხანით (ძვ. წ. IX-VIII სს.) დათარიღებულმა იეროგლიფურ-ლუვიურმა წერილობითმა ძეგლებმაც შემოგვინახა. ასე, მაგალითად, სულთანხანში აღმოჩენილ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში ხორბლის გაცემაზეა საუბარი[32]. კულულუში არქეოლოგების მიერ მიკვლეული ტყვიის ფირფიტები ქალაქებში - ზემო და ქვემო თუნა, ნივარალი, ურამუვა მცხოვრებთათვის ქერის საწყაოთი აწონილი სხვადასხვა რაოდენობის ქერის განაწილებაზე გვამცნობს[33]. დანუნელთა მეფე, ყარათეფეს ცნობილი ბილინგვის ავტორი, აზითავათა კი, თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის აღწერისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მან დანუნელთა ბეღლები მარცვლეულით აავსო, ცხენს ცხენი მიუმატა, ლაშქარს ლაშქარი, ფარს ფარი და ა.შ. მეფისავე ბრძანებით, ღმერთებისათვის მსხვერპლ-შეწირვა დაწესებულა, კერძოდ, „ყოველწლიურად [...] ხარის შეწირვა და პურის მოსავლის აღების ჟამს - ცხვრისა და ყურძნის მოსავლის აღების ჟამს - (კვლავ) ცხვრისა"[34].

დაბოლოს, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ გვიანხეთური ხანით დათარიღებულ ხელოვნების ძეგლებზე ამავე ეპოქის სამეფო-სამთავროთა პანთეონის უზენაესი ღვთაება თარხუნთასი, რომელიც ცასთან ასოცირდებოდა და ჭექა-ქუხილისა და ნაყოფიერების მომტანი წყლების ფუნქციით იყო აღჭურვილი[35], როგორც წესი, პურის თავთავების კონითა და ყურძნის მტევნით ან აკიდოთი გამოისახებოდა.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ, იმ მართებულ დასკვნამდე მივალთ, რომ საკვლევად შერჩეული ლუვიური იეროგლიფები სავსებით ადეკვატურად ასახავს ძვ. წ. II-I ათასწლეულების ანატოლიაში არსებულ ვითარებას და კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა დამატებით საისტორიო პირველწყაროს წარმოადგენს ძველი ანატოლიის ისტორიის ცალკეული ასპექტების რეკონსტრუქციისათვის.

დამოწმებული პირველწყაროები და ლიტერატურა:

1. ხაზარაძე ნ., იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა როგორც ისტორიული წყარო, რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ვ. გაბაშვილისადმი მიძღვნილი კრებული: "ახლო აღმოსავლეთი და საქართველო", 1991, გვ. 63-69.

2. ხაზარაძე ნ., ძველი მცირეაზიური ცხოველთა სამყაროს ამსახველი ლუვიური იეროგლიფები, რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2002, გვ. 455-464; მისივე, ნაგებობის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების ისტორიისათვის, რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 349, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია, თბილისი, 2003, გვ. 50-64.

3. Laroche E. Les Hieroglyphes, I, Paris, 1960, '149.

4. იქვე №181.

5. იქვე №181, 1, 2.

6. უფრო დაწვრილებით იხ.: Гамкрелидзе Т. В., Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II,Тбилиси, 1984, с. 655-658. იქვე, იხ. მითითება სპეციალურ ლიტერატურაზე.

7. Памятники письменности Востока. XIV. Клинописные тексты из Кюль Тепе в Собранях СССР (Письма и документы торгового объединения в Малой Азии XIXв. до. н. э.). Автографические копии, транскрипция, перевод, вводная статья, комментарии и глоссарий Н. Б. Янковской, М., 1968, 11: x+13; 15:y+13; 22:24; 47:[x+7]; 67:15; 68:10; 79:4; 80:[y+9]; 83:[22]; 85:x+3; 86:8; 87:1; 91:13; 92:[x+11]; 97:11; 98:8; 99:1; 106:7 და სხვა.

8. აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 182.

9. იქვე, გვ. 181.

10. იქვე, გვ. 220.

11. იქვე, გვ. 219.

12. დოლიძე ი., ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისი, 1960, გვ. 116.

13. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 217.

14. დოლიძე ი., დასახ. ნაშრ., გვ. 119, 122.

15. იქვე, გვ. 117.

16. იქვე, გვ. 119.

17. იქვე, გვ. 119.

18. იქვე, გვ. 120.

19. Менабде Эд., Хеттское общество, Тбилиси, 1965, с. 34-48; Гиоргадзе Г. Г., Хеттское общество, в Сборнике: "История древного мира. Ранняя древность", Москва, 1982, с. 209, 213; მისივე, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბილისი, 1988, 85-86; История древнего Востока. Зарождение древнейших классовых обществ и первые очаги рабовладельческой цивилизации, Москва, 1988, с. 125 იქვე.

20. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 226-227.

21. იქვე, გვ. 231.

22. ტატიშვილი ირ., ხეთური რელიგია, თბილისი, 2001, გვ. 89 და შმდ.
23. იქვე, გვ. 84.
24. იქვე, გვ. 86.
25. იქვე, გვ. 88.
26. ხაზარაძე ნ., ძველანატოლიურ სამყაროსთან ქართველთა ეთნოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002, გვ. 249. იქვე იხ. მითითება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე.
27. იქვე, გვ. 250
28. იქვე, გვ. 251
29. იქვე.
30. იქვე.
31. ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 102. იხ. აგრეთვეArOr, VII, №3, გვ. 488 და შმდ.
32. Hawkins J. D., The Kululu Lead Strips. Economic Documents in Hieroglyphic Luwian, AnSt, XXXVII, 1987.
33. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 239-240.
34. ხაზარაძე ნ., ᴰTRH - (თარხუნთი) - გვიანხეთური ჰანთეონის უზენაესი ღვთაება, რეზიუმე ინგლისურ ენაზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIV, თბილისი, 2001, გვ. 54-62. ეძღვნება აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადების 100 წლისთავს.
35. Mustafa Sahin, Neue Beobachtungen zum Felsrelief von Ivriz-Konya. Nicht in den Krieg, sondern zur Ernte: der Gott mit der Sichel, AnSt, XXXXIV, 1999, S. 166.

К ИСТОРИИ ЛУВИЙСКИХ ДВУХ ИЕРОГЛИФОВ

Объектом исследования предлагаемой статьи являются два лувийских иероглифа: “Колос”, символ бога “Зерно” (клинопись: ^{D}Halki) и “Хлеб”, логограмма: 1. фонетическое чтение turpi-; 2. фонетическое чтение или фонетический комплемент (...) arsa-.

Анализ и сопоставление указанных лувийских иероглифов с данными хеттских клинописных и иероглифическо-лувийских письменных памятников однозначно подтверждают ранне-высказанную автором мысль о том, что лувийцы, создатели одной из древнейших письменностей древней Анатолии, полностью владели достоверной информацией по важнейшим аспектам истории этого крупного древневосточного региона и тем самым не только иероглифическо-лувийские надписи, но и сама иероглифическо-лувийская письменность является первостепенной важности историческим первоисточником.

იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობაში ძველი ანატოლიის ისტორიის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვან ნიშნებთან ერთად, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული იეროგლიფიც მოწმდება. ესაა:

1. "ვაზი", ლოგოგრამა. ფონეტიკური წაკითხვა: tuwarsa-.
2. "ღვინო", ლოგოგრამა. ფონეტიკური წაკითხვა: wiana-.
3. ღვინოსთან და მეღვინეობასთან დაკავშირებული ლექსემების დეტერმინატივი.

ჩვენს ხელთ არსებული ასურული, ხეთური და იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი ძეგლების შესწავლა ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენებს, რომ იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობის შემქმნელი ლუვიელები სრულად ფლობდნენ ინფორმაციას ძვ. წ. II ათასწლეულის ანატოლიის მეურნეობის სხვადასხვა დარგების და, კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ.

ცნობილია, რომ ვაზის კულტურის გენეზისს ჩვეულებრივ სამხრეთ კავკასიას და წინა აზიას უკავშირებენ.

წერილობით ცნობებს ძველ ანატოლიაში მევენახეობა-მეღვინეობის არსებობის შესახებ პირველად ე. წ. "კაპადოკიური" ფირფიტები (ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისი) გვაწვდიან. სწორედ ამ დოკუმენტში დასტურდება პირველად "ვაზი" (karānu), "რთველის დრო" (qitip karānim), "მთავარი მეღვინეთუხუცესი" (rabi šaqē)[3].

ხეთურ ლურსმულ წერილობით წყაროებში ვენახი ^{GIŠ}ŠAR.GEŠTIN ან ^{GIŠ}KIRI.GEŠTIN-ით აღინიშნება.

თელიფინუს ცნობილ ბრძანებულებაში (ძვ. წ. 1550-1520 წწ.) "ვენახის" მნიშვნელობით GIŠGEŠTIN.ḪI.A-საც ვხვდებით. ხეთები ღვინოს wiyana-ს უწოდებენ (შდრ. ლუვიური ლურსმული wini(ya)-, იეროგლიფურ-ლუვიური wi(ya)ni-). თელიფინუს ტექსტში ქვეყნის მნიშვნელოვან მოხელეთა ("მამა სახლისა", "სახლის ძეთა უფროსი", "მცველთა უფროსი", "მინდვრის ათასთა მთავარი...") შორის "მწდე (მერიქიფე)" და "მეღვინეთა მთავარიც" იხსენიება. თელიფინუ ბრძანებს: "ახლა კი, დღეიდან, ხათუსაში თქვენ, "სასახლის ძენო", მცველნო, ოქროს იარაღის მატარებელნო, მწდენო, მესუფრენო, მზარეულნო, კვერთხის მტერნო, სალასხია-კაცნო, "მინდვრის ათასთა" მთავარნო, თქვენ ეს სიტყვები შემდეგში უნდა სცნოთ. თანუვა, თახურვაილი და თარუსხუ თქვენს წინაშე (=თქვენთვის) მაგალითი იყოს. თუკი შემდგომ ვინმე ბოროტებას ჩაიდენს, იქნება ეს "მამა სახლისა", თუ "სასახლის ძეთა" უფროსი, მეღვინეთა მთავარი, მცველთა უფროსი, თუ "მინდვრის ათასთა" მთავარი - მდაბიო თუ წარჩინებული შეიპყარი იგი თქვენ, ფანქუ, და იგი კბილებით დაგლიჯეთ. მაგრამ ხათუსაში დიდებულნი, (სახელდობრ), "სასახლისა მამანი", "სახლისა ძეთა" უფროსი, მეღვინეთა მთავარი, მცველთა უფროსი, ეტლოსანთა მთავარი, რაზმის (?) ზედამხედველი [მეფის] სახლში რომელი დიდებულიცაა, გარდა ამისა, რომელი მდაბიოცაა, აი, ესენი პატივცემულნი უნდა იყვნენ! "ამავე დოკუმენტში "მწდე" – ტერმინს სხვა კონტექსტშიც ვხვდებით (თელიფინუ გვამცნობს: "ხანთილი მწდე (მერიქიფე) იყო და ცოლად ჰყავდა ხარაფსექი, მურსილის და)." ჯერ კიდევ ხეთების ძველი სამეფოს დროს (ძვ. წ. 1650-1500 წწ.) შედგენილ ხეთური კანონების "II ფირფიტას (=დაფას)", რომელიც ჩადენილ სხვადასხვა სახის დანაშაულისათვის კანონით განსაზღვრულ სანქციებს გვამცნობს, "უკეთუ ვაზი" ეწოდება. "II

ფირფიტის (=დაფის)" 100 მუხლიდან ამ თემას 8 ეხება (§§101, 105, 107, 108, 113, 164-165, 185). ხეთური კანონებით სასჯელი, უპირველეს ყოვლისა, ვაზის ქურდს ედებოდა (§101: "უკეთუ ვინმე მოიპარავს ვაზს, ვაზის ყლორტს, GIŠkarpina-ს ან ნიორს, უწინ ერთ (ძირ) ვაზში აძლევდნენ ერთ სიკლ ვერცხლს, ვაზის ერთ ყლორტში - ერთ სიკლ ვერცხლს, ერთ [karpina-ში] - ერთ სიკლ ვერცხლს, ერთ კბილ ნიორში - ერთ სიკლ ვერცხლს. შუბს დაარტყამენ... [უწინ] ასე იქცეოდნენ, ახლა კი, თუ იგი თავისუფალია, 6 სიკლ [ვერცხლს] მისცემს, თუ მონაა - 3 სიკლ ვერცხლს მისცემს"). კომპენსაცია ვაზის დამუშავება-არდამუშავების ხარისხით განისაზღვრებოდა (§108: "უკეთუ ვინმე მოიპარავს ვაზს დამუშავებული ვენახიდან, თუ მოიპარა 100 ვაზი, მან უნდა მისცეს 6 სიკლი ვერცხლი") ხეთურსავე კანონებში ვენახისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შემთხვევებიცაა გათვალისწინებული, კერძოდ, ვენახისათვის ცეცხლის წაკიდება, ვენახში ცხვრების შეშვება, ვაზის გადაჭრა (§105: "[უკეთუ] ვინმე ცეცხლს წაუკიდებს [ნათესებს] და (ცეცხლი) მოეკიდება ბარს, თუ დაიწვა ვაზი, ვაშლის ხე, მსხლის (?) ხე ან ქლიავის ხე, მან თითოეულ ძირ ხეში უნდა მისცეს 6 სიკლი ვერცხლი და ხელახლა დარგოს [ნერგი]. ის პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით. თუ ის მონაა, (თითოეულ ძირ ხეში) 3 სიკლ ვერცხლს მისცემს". §107: "უკეთუ კაცი ცხვრებს შეუშვებს მეზობლის ვენახში და გაანადგურებს მას, თუ მოსაკრეფი ვენახი გაანადგურა, უნდა მისცეს 13,600 კვადრატულ მეტრში 10 სიკლი ვერცხლი, თუ მოკრეფილი ვენახი გაანადგურა, უნდა მისცეს 3 სიკლი ვერცხლი"; §113: "უკეთუ ვინმე გადაჭრის ვაზს, მან თვითონ უნდა აიღოს გადაჭრილი ვაზი, ხოლო ვაზის პატრონს მისცეს კარგი ვაზი..."). სამართლის ამავე ძეგლის თანახმად, ღვინის ქურდებიც ისჯებოდნენ (§§ 164-165: "უკეთუ ვინმე წავა (სხვის სახლში რაიმეს)

წასართმევად/ძალით წამოსაღებად, ჩხუბს ატეხს, გახსნის სამსხვერპლო პურის ან შესაწირი ღვინის ჭურჭელს, უნდა მისცეს 1 ცხვარი, 10 პური, 1 დოქი ... ლუდი და სახლი ხელახლა გაწმინდოს. ერთი წლის მანძილზე ხელი არ უნდა ახლოს სახლში არაფერს").

დაბოლოს, ხეთური კანონების " II ფირფიტა (=დაფა)" ვენახის ფასსაც განსაზღვრავდა, რომელიც საკმაოდ მაღალი იყო (§185: "1 იქუ ვენახის ფასია 1 მინა ვერცხლი..."), განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1 იქუ დამუშავებული მინდორი მხოლოდ 2 სიკლი ვერცხლი ღირდა, ხოლო "შორს მდებარე" - 1 სიკლი ვერცხლი. ხეთურივე კანონებით, 1 საწყაო ღვინო ნახევარ სიკლ ვერცხლად იყო შეფასებული, იმ დროს, როდესაც მცენარეული ზეთი 2 სიკლი ვერცხლი ღირდა, ციფითანი ქონი, ციფითანი კარაქი, ციფითანი თაფლი, 2 (თაკი) ყველი, 3 (წილი) საფუარი, და 3 საწყაო სპლეტა - თითო სიკლი. აქვე დავძენთ, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო ცნობები ხეთური კანონების " I ფირფიტამაც (=დაფამაც)" შემოგვინახა, მაგალითად, §48: "ხიფარა ასრულებს ლუცის და ხიფარასთან ვაჭრობას არავინ არ გამართავს. მის ძეს, მის მინდორს, მის ვენახს არავინ არ იყიდის. ის, ვინც ხიფარასთან ვაჭრობას გამართავს, იგი ნავაჭრს დაკარგავს. ხიფარამ რაც გაყიდა, იგი მას უკან მიიღებს". §56-კი გვამცნობს: "ყინვის (მტვრევისაგან), სამეფო გზის გამაგრებაზე წასვლისაგან (ან) ვენახში მოსავლის აღებისაგან [მესპილენძეთაგან] არაკინაა თავისუფალი, მებაღენიც ყველა იმავე [საქმეში] ლუცის [ასრულებენ]". "ვენახის", "ვაზის" მოხსენებას "სახანისა" და "ლუცისთან" (ნატურალურ და შრომით ბეგარასთან) დაკავშირებულ ტექსტებშიც ("მიწის ბოძების სიგელები", მიწის "საკადასტრო" და "საიმუნიტეტო" დოკუმენტები) ვხვდებით.

განსახილველი ლუვიური იეროგლიფის ისტორიისათვის არანაკლებ საყურადღებო ინფორმაციას ხათურ-ხეთურ, ძველხეთურ და მოგვიანო ხანით დათარიღებულ ხეთურ წერილობით წყაროებშიც ვპოულობთ, სადაც სხვადასხვა რიტუალების აღწერისას არაერთგზისაა საუბარი ღვთაებისათვის მიძღვნილ ღვინით სავსე ფიალებზე, ყანწებზე, ჭურჭლებზე, დოქებზე, ქიშმიშზე. ასე მაგალითად, გველეშაპის შესახებ ძველხეთურ მითში (CTH 321; KBo III 7; KUB XII 66; KUB XVI 5,6), რომელიც ფურულის დღესასწაულისადმი იყო მიძღვნილი, ნადიმისათვის მომზადებულ სასმელებს შორის, პირველ რიგში, უძირო კოკაში ჩასხმული ღვინო იხსენიება ("ინარამ ყველაფერი უხვად მოამზადა: ღვინო უძირო კოკით, სასმელი ტუჩგანიერი სურით, საღვთო-სასმელი ფართო ჭურჭლით და კოკები პირთამდე სავსე... გველეშაპი თავის შვილებთან ერთად მოვიდა და ისერეს და სვეს უზომოდ. მთელი დოქი გამოსცალეს და დათვრნენ ისე, რომ სოროში ვეღარ ჩავიდნენ...").

"ღვინო" და "ყურძენი" არც თელიფინუს რიტუალშია დავიწყებული. ძველხეთური ტექსტის (KUB XVII 10; KUB XXXIII 2) მოწმობით, ამ რიტუალის აღსრულებისას "გამქრალ" ღვთაებას ასე მიმართავდნენ: "აჰა, აქ ლეღვი დევს და როგორც ლეღვია ტკბილი, ო, თელიფინუ, გული შენი ასევე დატკბეს! როგორც სავსეა ზეთისხილი, ხოლო ყურძენი-ღვინით, სიკეთით ივსებოდეს შენი სახელი და გული, თელიფინუ!" აღნიშნულ რიტუალში "ღვინო" თელიფინუს "დაბრუნების" ამსახველ პასაჟშიც ჩნდება: "თელიფინუ დაბრუნდა და იწყო ზრუნვა ქვეყნიერებაზე... თელიფინუს წინ მარადმწვანე ხე ეია აღიმართა. ამ ხეზე ცხვრის საწმისი ჰკიდია, იგი ცხვრის პოხიერების საწინდარია, მარცვლეულის სიუხვის, ნადირთ სიუხვის, ღვინის სიუხვის, დღეგრძელობის და გამრავლების, იგი მოასწავებს ცხვრის სიცოცხლეს, ზრდა-სიმრავლეს,

სიმსუქნეს. მაშინ თელიფინუ მეფეს ცხვრის ტყავს მიართმევს და ყველა სიკეთეს უხვად უბოძებს".

ქუმარბის ციკლის ერთ-ერთ ფრაგმენტში (KUB XXXIII 109), რომელიც ქუმარბისა და ოკეანის ასულის შეუღლებაზე მოგვითხრობს, შემდეგია ნათქვამი: "...ოკეანეს ღვინით საკსე ყანწი მიაროვეს და იწყო ოკეანემ საუბარი, მიმართა ქუმარბის", ხოლო ღვთაებათა თაობათა ისტორიისადმი მიძღვნილ ხეთურ ეპოსში (KUB XXXIII 119-120), რომელიც მკვლევართა აზრით, ხურიტული პირველწყაროდან მომდინარეობს, "ტახტზე მჯდომ" ღვთაება ალალუზეა საუბარი, რომლის მწდე (მერიქიფე), ღვთაებათა შორის პირველი ანუ მის ფერხთით დგას და სასმისს საკუთარი ხელით აწვდის.

ჩვენთვის საინტერესო ტერმინების მოხსენიებას ე. წ. "სამშენებლო" რიტუალების აღწერილობებშიც არაერთგზის ვხვდებით. ერთ-ერთ ამ ხასიათის ხეთურ ტექსტში (CTH 414) საუბარია სასმისით "ცხრაჯერ შვიდგზის (?)" მოტანილ ღვინოზე (§31 III 1-5), სასახლიდან მიღებულ მშენებლობისათვის განკუთვნილ, 3 დოქ ღვინოზე (§34 (13-17): "ხელმარჯვე მქსოველების ერთი ნაწილის წინ ათავსებენ შუშის (?) ჭურჭელს და მასში ლეღვს ყრიან, მეორე ნაწილის წინ კი თიხის (?) ჭურჭელს დგამენ, მასში ქიშმიშს და haššigas-ს ყრიან (და ასე ამბობენ) "მეფე დაიხსენით თქვენ", ან §48 (4-8): "სასახლიდან შემდეგს იღებენ: 1 ქოთან ღორის ქონს, 1 ქოთან თაფლს, 1 ყველს, 1 ფაშვს, თეთრ მატყლს, შავ მატყლს, 1 ქილა ტკბილ რძეს, 1 ქილა ალაოს, ნიგოზს, ქიშმიშს, ნუშს (?), GIŠšuwaitar-ს, ხარის ტყავს,მარილს. ეს ყველაფერი კერაში თავსდება").

ნიშანდობლივია, რომ ხეთებს მეფე მურსილი II არინას მზის ქალღმერთისადმი აღვლენილ ლოცვაში "წყრომის დაცხრობას" მას მაინცდამაინც პურითა და ღვინით შესთხოვს (A.KUB 24 3: "დაე ამ სურნელოვანმა,

საამურმა კედარის ზეთმა//გული მოგილბოს, (რათა) შენ ისევე შენს სალოცავში მოხვიდე. // აი, მე - მურსილი მოგიხმობ პურითა და ღვინით // სიბრაზე დაიცხრე, // მოდი და მოისმინე ჩემი სათქმელიც!") ღვინოს სხვადასხვა კონტექსტში ამინდის ღვთაება ფიხასასისადმი მიმართულ მუვათალის ლოცვაშიც (CTH 318) ვადასტურებთ, სადაც ღვთაებისადმი (არინას მზის ქალღმერთი, ამინდის ღვთაება ფიხასასი, ხებათი, ცის ამინდის ღვთაება, ციფლანდას ამინდის ღვთაება, ქვეყნის მამრი ღვთაებები...) აუცილებელ შეწირულობათა ჩამონათვალს (სხვადასხვა სახის პურები, წმინდა ზეთით შეზავებული თაფლი, ბურღული), როგორც წესი, ერთიდაიგივე ტრაფარეტული ფრაზა მოსდევს: "(მათ) წინ კი ერთ დოქ ღვინოს შეასხურებს" (§§ 76-81, 88). ამავე ლოცვაში ღვთაებებისადმი (არინას მზის ქალღმერთი და ამიდის ღვთაება ფიხასასი) განკუთვნილ ლერწმისაგან მოწნულ მაგიდაზე განლაგებულ შესაწირავს შორის 30 დოქი ღვინოც იხსენიება (§1 (1-9).

CTH 414 §50 (13-16) კერაში დარგული ვაზის ყლორტზეც მოგვითხრობს: "ვაზის ყლორტს რგავენ (კერაში-ნ.ხ.) (და ასე ამბობენ:) როგორც ვაზი (გაიდგამს ქვემოთ ფესვებს, მაღლა კი ყლორტებს მოისხამს, დაე, მეფემ და დედოფალმა ასევე გაიდგას ფესვები ქვემოთ, მაღლა კი ყლორტები მოისხან").

მეევნახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული იეროგლიფი გვიანხეთური ხანის ანატოლიაში არსებულ ვითარებასაც მიესადაგება. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას სულთანხანში (თაბალის ქვეყნის ეოფილ ტერიტორიაზე) აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები იმსახურებს, რომლებიც მეფე ვასურმეს ქვეშევრდომის მიერ ვაზის გაშენებასა და "ვაზისა" და "ხილის" პურების შეწირვაზე მოგვითხრობენ.

გვიანხეთური ხანის (ძვ. წ. X-VIII სს.) სამეფო-სამთავროებში მევენახეობა-მეღვინეობის როგორც მეურნეობის ერთ-ერთი დარგის დაწინაურებაზე გვიანხეთური პანთეონის უზენაესი ღვთაების ქ. ივრიზში აღმოჩენილი ბარელიეფიც მიუთითებს, სადაც იგი პურის თავთავის კონასთან ერთად ყურძნის დიდი აკიდოთია წარმოდგენილი.

ჩატარებული კვლევა-ძიება კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მიერ ადრე გამოთქმულ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ არა მხოლოდ იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებული წერილობითი ძეგლები, არამედ თავად ლუვიური იეროგლიფები პირველხარისხოვან საისტორიო პირველწყაროს წარმოადგენს ძველი ანატოლიის ისტორიის ცალკეული მნიშვნელოვანი ასპექტების წარმოსაჩენად.

დამოწმებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

1. Laroche E., Les hieroglyphes hittites, I, Paris, 1960, № 60.

2. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и Индоевропейцы, Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, II, Тбилиси, 1984, с. 651. იქვე იხ. მითითება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე.

3. გიორგაძე გრ., სავაჭრო-კულტურული ურთიერთობანი კაპადოკიასა და მეზობელ ქვეყნებს ‘მორის ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში, “კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული”, II, თბილისი, 1962, გვ. 11, შენ. 17. II, Клинописные тексты из Кюльтепе, в собраниях СССР (Письма и документы торгового обьединения в Малой Азии, XIX в. до н. э).,

4. Менабде Э. А., Хеттское общество. Экономика, собственность, семья и наследование, Тбилиси, 1965, с. 40. იქვე იხ. მითითება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე.

5. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., указ. соч. с. 647.

6. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 179, 181-182.

7. Hoffner H., The Lows of The Hittites, Leiden-New York-Köln, 1997, p. 99.

8. Hoffner H., დასახ. ნაშრ. გვ. 102.

9. Hoffner H., დასახ. ნაშრ. გვ. 132.

10. გიორგაძე გრ., ათასი ღვთაების ქვეყანა (ხეთები და ხეთური ცივილიზაცია), თბილისი, 1988, გვ. 89.

11. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 215-216.

12. იქვე, გვ. 226; იხ. ტაბიშვილი ი., ხეთური რელიგია. გენეზისი, ფორმირება, პანთეონის სტრუქტურა, თბილისი, 2001, გვ. 46.

13. იქვე, გვ. 230.

14. იქვე, გვ. 232.

15. იქვე, გვ. 235.

16. იქვე, გვ. 234.

17. იქვე, გვ. 81-82.

18. იქვე, გვ. 80, 83.

19. იქვე, გვ. 84.

20. იქვე, გვ. 89, 99-100.

21. იქვე, გვ. 83.

22. ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 102.
23. AnSt, 49, 1999, p. 166.

К ИСТОРИИ ЛУВИЙСКИХ ИЕРОГЛИФОВ

Изучение данных клинописных ассирийских, хатто-хеттских, древне и позднехеттских, а также иероглифическо-лувийских письменных памятников, однозначно показывает, что создатели лувийского иероглифа, изображающего виноградную лозу и обозначающего понятия „виноградная лоза", „вино", а в отдельных случаях являющегося и детерминативом слов, связанных с вином - виноделием, полностью владели реальной информацией о высоком развитии виноградарства и виноделия в Анатолии II тысячелетия до н. э. Тем самым еще раз подтверждается правомерность высказанного нами предположения о том, что не только надписи выполненные лувийской иероглификой, но и сама иероглифическо-лувийская письменность является первостепенной важности источником для реконструкции весьма важных аспектов истории и культуры древней Анатолии.

ON THE HISTORY OF THE LUWIAN HIEROGLYPHS

The study of the cuneiform Assyrian, Hattic-Hittite, Old and Late Hittite as well as Hieroglyphic Luwian written sources, demonstrates that the creators of the Luwian Hieroglyphs showing a vine and denoting the concepts "vine", "wine", in some cases also serving as the determinative of the words linked with wine - wine-making, were well-aware of the high development of viticulture and wine-making in Anatolia of the II millennium BC. This confirms once more the relevance of the assumption advanced by the present author that not only the inscriptions executed in Luwian Hieroglyphs, but also the Hieroglyphic Luwian script proper are major sources for the reconstruction of the important aspects of the history and culture of Ancient Anatolia.

TOWARDS THE IDENTIFICATION OF LUWIAN HIEROGLYPHS DENOTING FAUNA OF ANCIENT ASIA MINOR

Written monuments in the Hieroglyphic Luwian script, discovered at various sites of Asia Minor in the 19th -20th cc., along with Assyrian and Hittite cuneiform texts, are one of the important primary sources for the study of the history of the peoples of Ancient Asia Minor. Hieroglyphic Luwian inscriptions provide significant information concerning natural conditions and resources of Asia Minor of the 2nd-1st millennia BC, as well as political, socio-economic and cultural processes going on there.

The Hieroglyphic Luwian script proper is equally valuable from the scholarly point of view.

The present study deals with Luwian hieroglyphs denoting fauna of Ancient Asia Minor*. On the basis of the data available to date, the number of Luwian hieroglyphs containing representations of animals reaches 50. Some hieroglyphs denote a particular animal ("dog", "horse", "sheep"), others reflect both an animal ("donkey", "deer", "bull") and syllables - constituent parts of words (ta_4, rû, kar, sá, u(wa), muwa, mu. i_4, li, etc.), which is clear from the examples below:

"lion", Sumerogram UR.MAH-aš, UR.MAH-iš uncertain pronunciation (Laroche, N97: Meriggi, N88 a, b)

"dog", logogram, pronunciation: suwana- (Laroche, N98; Meriggi, N112-113).

"horse", logogram", pronunciation: asuwa- (Laroche, N99: Meriggi, N90 cf. N95).

I. "donkey", logogram, pronunciation: tarkasna-, turlakalisa-.
II. ta_4 (Laroche, NIOO $_{1,2}$; Meriggi, N94-96).

* Examples are cited according to lists compiled by E.Laroche and P. Meriggi (see E. Laroche, Les hiéroglyphes hittites, I, Paris, 1960: P. Meriggi, Hieroglyphisch - Hethitisches Glossar, Wiesbaden, 1962).

"horse", logogram", pronunciation: asuwa- (Laroche, N99: Meriggi, N90 cf. N95).

I."(deity) deer", logogram, pronun-ciation: Tuwat-.
II. rû (Laroche, N102 Sfr. 412; Meriggi, N94-96.sa (Laroche, N104; Meriggi, N98).

I. "bull", logogram, pronunciation: wawa- or uwa-.
II. logogram, pronun-ciation: usapata-, uncertain meaning.
III.u (wa) (Laroche, N105; Meriggi, N109).

Ligature of two signs, muwa-, mu-. (Laroche, N107: N105+ N391; Meriggi, N108).

Logogram denoting the name of the city of Malatya, uncertain pronunciation (Laroche, N109; Meriggi, N111).

I. "(deity) deer (transliteration: "deer,"), logogram pronunciation: Tuwat-, Ruwat-.
II. ru.

II. kar (Laroche, N103; Meriggi, N118-120).

ma (Laroche, N110; Meriggi, N104).

"sheep", logogram, pronunciation: hawa/i- (Laroche, N111; Meriggi, N107).

"hare", logogram and determinative pronun-ciation: tapa or tapar (Laroche, N116; Meriggi, N121).

Let us see how adequately Luwian hieroglyphs reflect the history of fauna of Asia Minor of the 2nd-1st millennia BC.

Significant reports regarding the fauna of Ancient Asia Minor are furnished by the text of the so-called "Cappadocia tablets", dated to the beginning of the 2nd millennium BC, in which one often finds lexemes and expressions: "bull", "cow", "donkey",

"black donkey", "donkey saddle", "black donkey with its harness", "goat", "sheep", "horse"[Khazaradze, 1978, 102-103]. Some documents deal with cattle and small livestock, the road tax price for livestock, e.g. donkey etc.

The existence in the Assyrian economic documents of terms denoting posts, such as: rabi alpatim ("chief drover of bulls", rabi sisl ("chief table-keeper"), rabi rē'îm ("chief of shepherds"), sarridum ("drover of donkeys"), is also very noteworthy [Cuneiform Texts from Kultepe, 1968, 220].

Significant information concerning the question of my present interest is found in Articles 57-90 from Tablet I of "the Hittite Laws" drafted as early as the period of the Old Hittite Kingdom (1656-1500 BC), which lists quite scrupulously the punishments provided for by the law for the damage caused to the owner of cattle and small livestock in different situations. In this written source of primary importance, the following animals are mentioned: "bull", "yearling", "two-year-old bull", "three- year-old bull", "bull", "plow ox", "cow", "pregnant cow", "horse", "stallion", "draft horse", "mare", "sheep", "goat", "lamb", "mule", "donkey", "pig", "pregnant pig", "dog", "guard dog", "sheepdog", "hound", "wolf", etc.

Thus, § 57 of "the Hittite Laws" reads: "If anyone steals a bull if it is a weanling, it is not a bull; if it is a yearling, it is not a bull; if it is a two-year-old, that is a bull they would formerly give 30 bulls. Now (the thief of the bull) shall give 15 bulls 5 two-year-olds, 5 year lings and 5 weanlings and he shall pledge his estate as security" [Friedrich, 1959, 168; Giorgadze, 1965, 87; Imparati, 1964,164]. Under the Hittite laws, thieves of a stallion and a ram were also punished ("If anyone steals a stallion if it is a weanling, it is not a stallion; if it is a yearling, it is not a stallion; if it is a two-year-old, that is a stallion they would formerly give 30 horses. Now (the thief) shall give 15 horses 5 two-year-olds, 5 year-lings (and) 5 weanlings and he shall pledge his estate as security"; "If

anyone steals a breeding ram, they would formerly give 30 sheep. Now (the thief) shall give 15 sheep – 5 ewes, 5 rams, 5 lambs and he shall pledge his estate as security".

Several articles of the Hittite laws (§ 60, 61, 62) are devoted to persons finding and misappropriating cattle and small livestock: "If anyone finds a bull and removes the brand (of its owner), and if [its] owner [traces it out], he shall give 7 bulls – 2 two-year-olds, 3 yearlings (and) two weanlings and he shall pledge his estate as security". Under the law, the same compensation must have been made by persons finding and misappropriating a stallion and a ram.

The verdict of the Hittite laws for the thieves of a plow ox and a draft horse is the following: "If anyone steals a plow ox, they would formerly give 15 oxen. Now he shall give 10 oxen – 3 two-year-olds, 3 yearlings (and) 4 weanlings and he shall pledge his estate as security". The same is provided for by the law for the thief of a draft horse ("If anyone steals a draft horse, the compensation is exactly the same for it").

[93] Еще Палефат II (IV в. до н. э.) в сочинении «О невероятном» поставил под сомнение предание о принесении Фриксом барана в жертву. Однако Страбон, по-видимому, свое сведение о запрете жертвенного заклания барана почерпнул не у Палефата. Дело в том, что Палефат вообще исключает и путешествие Фрикса на баране и принесение барана в жертву (см. Palaeph., XXX(31)), а Страбон упоминает барана именно в связи с Фриксом.

святилище (или роще) Ареса. Вместе с отмеченным, связь Фрикса с Зевсом и Аресом подтверждается и в следующем указании комментатора «Аргонавтики» Аполлония Родосского: «Тенистая роща Ареса, где на верхушке дуба развешано руно; а Гелланик говорит, что руно лежало в храме Зевса. Многие вспоминают так называемые долину Ареса и рощу Ареса в Колхиде. Аполлоний говорит, что золотое руно было развешано на дубе в роще Ареса и там его охранял невиданной величины дракон»[94].

Таким образом, интересующее нас сведение Страбона [XI, H, 17] содержит не одну неточность и противоречие[95]. Совершенно прав был М. Ростовцев, отмечая: «...почти во всей своей книге Страбон не перерабатывает своего материала, а его эксцерптирует или, лучше сказать, сокращает, причем механически соединяет выдержки из источников разных категорий»[96]. Тем не менее, XI, II, 17 «Географии» Страбона в определенной мере дополняет информацию, содержащуюся в XI, II, 18 этого же сочинения. Выясняется, что XI, II, 17 «Географии» дает нам три важных ориентира для локализации страны мосхов: 1) страна мосхов находится по соседству с регионом, который охватывает реку Фазис-Риони и ее притоки Главк и Гипп («В стране мосхов над упомянутыми реками...»); 2) страбонова страна мосхов представляет собой страну, связанную со сказанием о Фриксе («В стране мосхов... находятся основанные Фриксом святилище Левкофеи и оракул Фрикса...»); 3) страну мосхов следует искать в ареале военных

[94] Schol. Apoll. Rhod., Arg., II, 404. Представляется важным, что, согласно хеттским источникам, руну поклонялись в храме бога войны Забабы. Интересно и то, что во времена Нунтариясхи хетты иногда называли руно именем божества-покровителя Цитхарии (см. Гиоргадзе Г. Г. „Руно" в хеттских источниках и его античные параллели. — Труды Тбилисского гос. ун-та, 1982, т. 227, с. 287 — 293. На груз. яз.).

[95] Об источниках XI книги «Географии» Страбона см. Болтунова А. И. Описание Иберии в «Географии» Страбона. — ВДИ, 1947, № 4, с. 149.

[96] Болтунова А. И. Описание Иберии..., с. 151.

операций Фарнака и Митридата Пергамского («Некогда богатый, в наше время оракул был ограблен Фарнаком и несколько позднее Митридатом Пергамским»).

Рассматриваемое нами сведение «Географии» Страбона [XI, 11,17] уже давно привлекало внимание специалистов. Особый интерес исследователей вызывает упоминание святилища и оракула, возведенных Фриксом. В грузинской историографии нет единого мнения о местоположении этого святилища («святилище Левкофеи»), С. Джанашиа считал, что, «поскольку это сведение помещено в описании Колхиды, и местоположение храма следует предполагать вблизи территории собственно Колхиды (Страбон говорит, что он находится над Фазисом), ясно, что он принадлежит Колхиде»[97]. В грузинском и русском вариантах «Истории Грузии», изданных в 1946 г. под редакцией С. Джанашиа, святилище Левкофеи предполагается на территории Картли (Иберии)[98]. Н. Бердзенишвили, рассказывая об Ацкурском храме в «Дневнике Боржомского ущелья», пишет: «Предполагать можно и большее, что тот первый христианский храм был здесь воздвигнут на месте языческого храма (храм Левкофеи?)»[99]. Г. Меликишвили святилище Левкофеи помещает на территории Картлийского царства[100]. Г. Гозалишвили интересующее нас святилище локализует на

---

[97] Джанашиа С. Н. К происхождению феодальных отношений в Грузии.— Труды II, с. 154.

[98] Бердзенишвили Н. Г., Джавахишвили И. А., Джанашиа С. Н. История Грузии (Под ред. С. Н. Джанашиа). Тбилиси, 1946, т. I, с. 76 (на груз. яз.); Бердзенишвили Н. Г., Джавахишвили И. А., Джанашиа С. Н. История Грузии (Под ред. С. Н. Джанашиа). Тбилиси, 1946, т. I, с. 73.

[99] Бердзенишвили Н. Г. Вопросы истории Грузии. Тбилиси, 1964, т. I, с. 261 (на груз. яз.).

[100] Меликишвили Г. А. К истории древней Грузии, с. 333, 335, 407, 408; Очерки истории Грузии (в восьми томах). Тбилиси, 1970, т. I, с. 495, 584 (на груз. яз.).

[101] Гозалишвили Г. Митридат Понтийский. Тбилиси, 1962, с. 177-179.

территории Понтийской Каппадокии[101]. Ряд авторов тот же храм связывает с конкретными пунктами Самегрело, Имерети, Аджары и Месхети. Еще в прошлом столетии К. Кох высказал предположение об идентификации храма Левкофеи с Нокалакеви[102].

Д. Надирадзе этот же памятник помещает в долине р. Квирила, на месте совр. Саирхе[103]. По мнению О. Лордкипанидзе, святилище Левкофеи и ее оракул следует локализовать в Рионской долине, в окрестностях Ванского городища[104]. Согласно А. Иоселиани, этот храм следует искать в ущелье р. Кинтриши, вблизи сел. Хуцубани[105]. Г. Лордкипанидзе помещает его в колхской части страбоновой «Мосхике» (совр. Хуло-Адигенский район)[106]. По мнению Г. Чеишвили, святилище Левкофеи можно локализовать либо на месте языческого храма Ацкури, либо в окрестностях Артануджи[107]. В монографии, посвященной этнополитическим проблемам древней истории Грузии, мы также касались рассматриваемого вопроса[108] (см. ниже).

Как отмечалось, для локализации страны мосхов «География» Страбона дает нам три основных ориентира. Первым из них является упоминание Фазиса-Риони и его притоков — Главка и Гиппа. Установить местонахождение

---

[102] Ломоури Н. Ю. Нокалакеви-Археополис-Цихегоджп. — В кн.: Нокалакеви-Археополис, 1. Археологические раскопки 1973—1974. Тбилиси, 1981, с. 26. на груз. яз.

[103] Надирадзе Д. Ш. газ.: "Комунисти", 1967, 23 марта.

[104] Лордкипанидзе О. Д. Город Вани. жур.: "Цискари", 1968, № 7; его же. К локализации..., с. 106 и след.; его же. Ванское городище. Тбилиси, 1973, с. 81 и др. (на груз. яз.).

[105] Иоселиани А. Очерки истории Колхиды. Тбилиси, 1973, с. 150 и след. (на груз. яз.).

[106] Лордкипанидзе Г. А. Колхида в VI—II вв. до н. э,, с. 21.

[107] Чеишвили Г. Г. К вопросу о местонахождении святилища Левкофеи.—(в печати).

[108] Хазарадзе Н. В. Этнополитические проблемы..., с. 62—68.

этих притоков достаточно сложно[109]: если Страбон и Плиний представляют Главк как приток р. Фазис-Риони[110], Клавдий Птолемей[111] называет его рекой, которая вместе с р. Лик вливается в Апсар-Чорохи на 72°30'—43°45.

Нет единого мнения и по вопросу местонахождения р. Гипп. Упомянутая Страбоном, Плинием и Прокопием Кессарийским р. Гипп может быть отождествлена с совр. Цхенисцкали[112]. Но того же нельзя сказать о р. Гипп, которую упоминают Клавдий Птолемей и Ариан. Согласно высказанной в научной литературе точке зрения, Птолемей и Ариан так называют р. Кодори либо близлежащую р. Лагваш[113].

О Фазисе-Риони и его притоках Страбон пишет следующее: «Фазис судоходен до Сарапан (совр. Шорапани)»

---

[109] Рассматривая вопрос о локализации колхидских рек, И. Джавахишвили писал: «Квирила (Главк) и Цхенисцкали (Гипп) являются притоками Риони» (см. Джавахишвили И. А. История грузинского народа, I, с. 417). С Квирилой отождествляет Главк и комментатор «Известий древних писателей о Скифии и Кавказе» В. В. Латышев (см. ВДИ, 1947, № 4, с. 215, прим. 9; там же, 1949, № 2, с. 290, прим. 7). По мнению С. Джанашиа, отождествление Цхенисцкали с Гиппом (цхени, груз, лошадь) «представляется менее спорным», но Квирилы с Главком — «полностью недопустимым: если Гипп — это Цхенисцкали, то, естественно, Главк — это Риони» (см. Джанашиа, с. 280, прим. 39). Г. Меликишвили ставит знак равенства между Главком и Земо Риони (см. Меликишвили Г., К история древней Грузии, с. 306). О. Лордкипанидзе, как и С. Джанашиа, исключает возможность отождествления Квирилы с Главком. По его мнению, более правильной была бы идентификация Главка с левым притоком Фазиса-Риони, с р. Сулори (см. Лордкипанидзе О. К локализации..., с. 110).

[110] Strabo, XI, II, 17; XI, III, 4; Plin., NH, VI, 13.

[111] Ptolem., V, 10,3. Н. Ломоури отождествляет Главк с совр. р. Олтучай, а Лик — совр. р. Тортум, что, по нашему мнению, вполне вероятно.

[112] Ломоури Н. Ю. Из исторической географии древней Колхиды.— ВДИ, 1957, № 4, с. 103. 56.

[113] Там же, с. 103, 104; также см. Лордкипанидзе О. Д. К локализации..., с. 110.

[XI, II, 17], и далее: «Существует 4 прохода в страну (Иберию. — Н. Х.). Один ведет через колхское укрепление Сарапаны и ущелье вблизи него. Через это ущелье Фасис (из-за извилистости этой реки через нее ведут 120 мостов) бурным и стремительным потоком низвергается в Колхиду, причем, во время ливней местность покрывается рытвинами от множества горных потоков. Истоки Фасиса в горах, лежащих над Иберией, где он наполняется водами множества источников, а на равнинах он принимает еще и другие реки, среди них Главк и Гипп. Наполнившись водами притоков и став судоходной, эта река впадает в Понт» [XI. Ш,4].

Таким образом, из вышеприведенных двух сведений можно заключить, что Страбон называет «Фасисом» не всю совр. р. Риони от истоков до устья, а среднее и нижнее течения рек Квирила и Риони[114]. А это, со своей стороны, говорит о том, что ни Главк, ни Гипп не могут быть отождествлены с реками Квирила, Риони и Земо Риони. Кроме того, становится очевидным, что Главк и Гипп следует искать среди тех многочисленных притоков Риони, которые вливаются в нее южнее или юго-западнее г. Кутаиси (в Рионской долине). Исходя из вышесказанного, главным ориентиром при локализации страны мосхов, упомянутой в XI, II, 17 «Географии» Страбона, должна стать, как нам представляется, именно Рионская долина. Местоположение страны мосхов относительно этой равнины Страбон обозначает при помощи термина ὑπερκειμαι (ὑπέρκειμαι δὲ τῶν λεχθέντων ποταμῶν...)[115]. Как в «Географии» Страбона, так и в сочинениях других древнегреческих авторов (Аристотель, Полибий, Диодор Сицилийский и др.)[116] это слово часто встречается в описаниях

[114] Подробнее см. Джанашиа С. Н. Фасид, с. 274 и след. MITITEBA AR CANS

[115] Strabo, XI, II, 117.

[116] Δημητρακου Δ. Μεγα Λεξικον της Ελληνικης Γλωσσης. — Αθηναι, θ Τομος, с. 7421.

географического характера. На греческом языке ὑπέρκειμαι означает κεῖμαι ὑπεράνω, κεῖμαι ὑψηλότερου[117]. Его обычно переводят как „лежать над или выше чего"[118], «быть расположенным выше, т. е. дальше»[119], «to be placed or situated above or beyond»[120]. В сочинени Стребона вышеуказанное слово встречается во всех значениях[121]. Но в интересующем нас контексте оно, по нашему мнению, означает расположенный «над», «выше», «на высоком месте». Исходя из сказанного, можно сделать вывод, что упомянутую как в XI, II, 17, так и в XI, II, 18 «Географии» Страбона страну мосхов (Μοσχική) следует искать на территории исторического Месхети. Такая локализация отвечает основным требованиям сведений Страбона: страна мосхов находится по соседству с Колхидой, Иберией и Арменией, южнее Мосхийских гор, расположенных «над», «выше» Рионской долины. В пользу такой локализации говорит и следующее: в XI, II, 17 «Географии» Страбона эта страна представлена связанной с именем Фрикса. Дело в том, что ареной действия героев сказаний о Фриксе и аргонавтах (Язона, Медеи, Медоса, Армена и др.), согласно Страбону, является не Рионская долина в Колхиде, а регион, расположенный за ее пределами (к югу от нее). В этом отношении представляются важными сообщения Страбона о том, что в Колхиде существует много памятников обоих походов — сперва Фрикса, а затем Язона. Географ пишет: ...святилище Фрикса, расположенное на границах Колхиды и Иберии, и святилища Иазона, которые показывают во многих местах в Армении и Мидии, в соседних с ними странах» [1,11,39]. Эти данные уточняются в XI, II, 18 «Географии»: «В Иберии есть также городок (город Фрикса)

[117] Там же, с. 7421.

[118] Греческо-русский словарь. (Сост. А. Д. Вейсман). СПб., 1882, с. 1269.

[119] Древнегреческо-русский словарь. М., 1958, т. 2, с. 1677.

[120] Liddle H. G., Scott R. A. Greek-English Lexikon. Oxford, 1968, p. 1865.

[121] Strabo I, III, 21; VI. IV. 2; VII, III, 7; IX. V, 9: XI, II; XII, XIV. 2; XII. III, 19.

— современная Идеесса, хорошо укрепленный пункт на границе Колхиды» [XI, II, 18]. Опираясь на Эратосфена, Страбон сообщает, что Язон «оставил корабли и из страны колхов предпринял поход вплоть до Армении и Мидии...» [1,111,2]. Согласно «Географии», о пребывании Язона в Армении свидетельствует наличие там святилищ его имени [XI, XIII, 10; XI, XIV, 12]. Страбон рассказывает, что именно Язону приписывают изменение русла р. Аракс [XI, XIV, 13]. В тесной связи с Арменией и соседними с ней странами представляет географ Язона и его спутников, особенно фессалийца Армена, которого, согласно письменной традиции (Кирсил Фарсалийский, Мидий Ларисский)[122], автор «Географии» считает эпонимом Армении [XI, IV, 8; XI, XIV, 12]. Здесь же Страбон сообщает: «Часть спутников Армена поселилась в Акилисене (которая в прежние времена была подвластна софенам), тогда как другие в Сиспиритиде[123] вплоть до Калахены и Адиабены за Армянскими горами» [XI, XIV, 12; ср. XI, IV и др.). Следует обратить внимание и .на следующее: в названии Мидии Страбон угадывает имена Медеи и ее сына Медоса (Мида) [XI, XIII, 10]. Географ приводит и другие данные, свидетельствующие о наличии связи между Медеей, Медосом и Язоном[124]. Так, например, р. Аракс Страбон связывает не только с Язоном, но и с его сыном Медосом (он упоминает реку Медос (Мид), которая берет начало в Мидии и сливается с Араксом) [XV, III, б][125].

---

[122] Как сообщает Страбон, историки Кирсил Фарсалийский и Мидий Ларисский были современниками Александра Македонского [см. XI, IV, 12].

[123] По мнению С. Джанашиа, страбонова Сиспиритида — то же, что и древнегрузинское «Спери» (см. Джанашиа С. Н. Древнейшие национальные сведения..., с. 58 и след.; ср. Ингороква П. Георгий Мерчуле..., с. 606 и след.).

[124] Strabo, XII, XIII, 10; ср. Herodotus, VII, 12.

[125] Джанашиа С. Н. Античная схема кавказских этнархов и эпонимов. Труды, II, с. 239 и след.

Достаточно интересную информацию содержит «География» и о топонимах Юго-Восточного Причерноморья, которые, по мнению Страбона, проистекают от имен героев сказаний о Фриксе и аргонавтах. Так, основываясь на сведениях Эфора, название древнего торгового города синопцев «Киторон» Страбон связывает с именем сына Фрикса [XII, III, 10]. По его же данным, синопцы считали основателем своего города одного из спутников Язона — Автолика и поклонялись ему, как богу. Тут же находился и оракул Автолика [XII, III, II и др.][126].

Таким образом, выясняется, что географический регион действия как главных героев сказаний о Фриксе и Язоне (Фрикс, Язон, Медея), так и второстепенных мифических персонажей (Киторон, Медос, Армен, Автолик) территориально граничит с землями, где, как мы предполагаем, находилась страна мосхов. Этот вывод позволяет искать страну мосхов и возведенный Фриксом храм к югу от приморской Колхиды, в Юго-Западной Грузии (на месте исторического Месхети).

Такое предположение согласуется и с тем указанием интересующего нас сведения Страбона [XI, II, 17], согласно которому находящиеся в стране мосхов храм и оракул были

---

[126] В связи с рассматриваемым вопросом заслуживают внимания подтвержденные в «Географии» и следующие топонимы: «Гераклов мыс», «мыс Иасоний», «городок Киторос» [XII, III, 17] и др. В этом отношении также представляется интересным идентичность топонима «Апсар» (близ совр. Гонио), одного из древних названий реки Чорохи — «Апсар» — «Апсор» с именем сына Айэта и брата Медеи — "Апсирт". Здесь же следует добавить, что еще Прокопий Кессарийский в De Bello Gothico пытался идентифицировать топоним «Апсар» — «Апсор» с именем «Апсирт». «В древности эту местность (Апсар. — Н. Х.) называли мужским именем Апсирт, — пишет Прокопий, — в память происшедшего здесь несчастья. Местные жители говорят, что здесь из-за вероломства Медеи и Язона ушел из жизни Апсирт, и поэтому место это получило его имя; он ведь умер здесь, и место, где он умер, стали называть по его имени» [VIII, 2].

ограблены сперва Фарнаком, а затем Митридатом Пергамским. Сопоставление сведений Страбона, Плутарха, Аппиана и Диона Кассия делает очевидным, что страна мосхов непосредственно граничила с ареалом военных операций Фарнака и Митридата Пергамского (Колхида, области Трапезусия и Фарнакия, Синоп, Вифиния, часть территории Каппадокии и Понта, Малая Армения), поскольку была расположена между Колхидой и Малой Арменией[127].

В пользу локализации страбоновой страны мосхов на месте исторического Месхети свидетельствуют также письменные источники более позднего периода (I в. до н. э.— III в. н. э.). Рассмотрим некоторые из них. Плиний, рассказывая о Фазисе- Риони, отмечал, что эта река вытекает из страны мосхов [VI, 13][128]. Если допустить, что истоком Фазиса-Риони Плиний считал исток какого-либо из ее левых притоков[129], а также принять во внимание, что несколько притоков Риони (рр. Саджавахосцкали, Ханисцкали)[130] берут начало в горах Гадо, или Персати (страбоновы «Мосхийские горы»), тогда плиниеву страну мосхов следует искать опять-таки на территории исторического Месхети.

К такому же выводу мы придем и в том случае, если дадим рассматриваемому сведению Плиния иную интерпретацию. Представляется вполне вероятным предположение, что Плиний (подобно другим древним авторам) вместо истока

---

[127] Об интересующих нас маршрутах военных операций Фарнака и Митридата Пергамского подробнее см. Чеишвили Г. Г. К вопросу о местонахождении...

[128] ВДИ, 1949, 2, с. 289.

[129] Джанашиа С. Н. Фасид, с. 275; Лордкипанидзе О. Д. К локализации..., с. 109, прим. 23.

[130] Вахушти пишет, например: «Кроме того, ниже устья Цхенисцкали в Риони притекает с юга Саджавахосцкали. Она вытекает из Персати...». Чуть ниже географ продолжает: «Выше Варцихе впадает в Рион Ханисцкали, она вытекает из Персати, идет к северу и изливается в Рион с юга» (см. Царевич Вахушти. География Грузии, с. 202, 203).

р. Фазис-Риони, указывает на исток собственно месхетской р. Фазис-Чорохи (как могли убедиться выше, в отрывке, содержащем название р. Фазис, он говорит именно о Фазисе-Риони, а не о Фазисе-Чорохи). Если в Мосхийских горах (гора Гадо, или Персати), лежащих у северной границы страны мосхов, берут начало только притоки р. Фазис-Риони, то из расположенных у южной границы Мосхийских гор (горы Ириджлу, Девабоини и Калну) вытекают месхетские реки: Чорохи (из Ириджлу) и ее притоки — Тортоми (из Девабоини) и Бана — Фанаскерт (из Калну)[131]. Подтверждение этому мы находим у Солина (III в. н. э.), сочинение которого в основном опирается на «Естественную историю» Плиния: истоки рек Фазис, Араке и Евфрат Солин упоминает вместе. (По мнению Солина, «из Гениохских гор вытекает река Аракс, а из Мосхийских гор река Фазис. Река Аракс берет начало вблизи верховьев Евфрата, затем она (Аракс.— Н. Х.) течет к Каспийскому морю» [XV, 9][132]. Поскольку Солин говорит об истоках рек, расположенных в одном определенном регионе, а не в разных отдаленных друг от друга областях, естественно напрашивается вывод, что «Фазисом» Солин именует не колхидскую реку Фазис-Риони, а месхетскую реку Фазис-Чорохи (близость верховьев р. Чорохи и рек Аракс и Евфрат общеизвестна).

В пользу локализации страны мосхов на территории исторического Месхети говорят также те указания Корнелия

[131] Вахушти сообщает нам: «Ныне же начинаем с Кларджети. И в этой стране наибольшая река есть Чорох. Она вытекает из горы Ириджлу и идет от юга к северу, сделав маленький уклон к востоку, до места Хварамзес-хиди» (см. География Грузин, с. 172). Об истоках р. Тортом Вахушти пишет следующее: «А река Тортоми вытекает из горы Девабоини и идет от юга к северу...» (там же, с. 185). И наконец, о Бана-Фанаскерте тот же автор сообщает: «Выше того притекает речка в Чорох Бана Панаскетская, вытекающая из горы Калну и идущая от востока к западу» (там же, с. 181).

[132] См. ВДИ, 1949, № 3, с. 243.

Тацита (I—II вв.), согласно которым земли мосхов следует искать близ Армении (в сообщении говорится, что мосхи «сделали набег на захолустья Армении»)[133].

Такая локализация страбоновой страны мосхов согласуется и с данными греческих источников VI—V вв. до н. э. о расселении мосхов. Из анализа сведений этих источников явствует, что с юга земли мосхов непосредственно граничили с предполагаемой нами территорией страбоновой страны мосхов (историческая Месхети).

Предложенный нами вариант локализации страны мосхов согласуется и с выводами Д. Мусхелишвили о местонахождении этой страны[134]. Наш вариант локализации согласуется с высказанными в научной литературе соображениями (см. выше), согласно которым, возведенные Фриксом святилище и оракул (святилище Левкофеи Страбона) следует искать в Месхети или, более вообще, в Картли (в Иберии). В пользу правомерности помещения связанных с именем Фрикса памятников и страны на территории исторической Юго-Западной Грузии свидетельствует и заслуживающая внимания концепция Т. Микеладзе, в свете которой Колхиду, связанную с сказанием об аргонавтах, точнее, Айа-Колхиду, следует искать не в Рионской долине, а на территории Юго-Западной Грузии[135] (в бассейне р.Чорохи).

Таким образом, вышерассмотренные сведения дают нам основание локализовать страбонову страну мосхов (до ее деления на 3 части) на месте исторического Месхети, охватывавшего всю историческую Юго-Западную Грузию (Самцхе, Аджара, Джавахети, Шавшети, Артаани, Кола, Кларджети, Тао, Спери и Басиани).

---

[133] Tac., Ann., XIII, 37; ВДИ, 1949, № 3, 203; ср. Меликишвили Г. А. К истории древней Грузии, с. 367.

[134] Мусхелишвили Д. Л. Основные вопросы..., с. 59.

[135] Микеладзе Т. К. Исследования по истории древнейшего населения..., с. 84 и след.

სტრაბონისეული მოსხების ქვეყნის ლოკალიზაციისათვის (Μοσχική)

ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად, ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სტრაბონისეული მოსხების ქვეყანა ისტორიული მესხეთის ანუ სამცხე-ჯავახეთის, კლარჯეთის, სპერის, ტაო-ბასიანის, შავშეთის, კოლა-არტაანის ტერიტორიაზეა მოსათავსებელი. ავტორის თვალსაზრისით, მოსხების ქვეყნის ამგვარი ლოკალიზაცია პასუხობს სტრაბონის ცნობების ძირითად მონაცემებს: მოსხების ქვეყანა მოთავსებულია კოლხეთის, იბერიისა და არმენიის მეზობლად, რიონის დაბლობზე „მაღლა" გადაჭიმული მოსხური მთების (ვახუშტისეული ღადო ანუ ფერსათისა და აჭარა-გურიის შორის მდებარე მთების) სამხრეთით.

სტატიაში გამოთქმულ თვალსაზრისს გარკვეულწილად ამყარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდები, რომელთა თანახმად, ფრიქსეს მიერ აგებული ლეკოთეას ტაძარი მესხეთში, ან უფრო ზოგადად, ქართლში მდებარეობდა.

LOCALIZATION OF STRABO'S THE COUNTRY OF MOSKHS (Μοσχική)

In the light of this localization of the Moskhian mountains it is suggested that Strabo's Μοσχικη) ("the country of the Moskhians") prior to its partition between the Colchians, Iberians and Armenians (as related by Strabo) must have occupied a vast area – the entire south-western historical Georgia, in particular the territory of Adjara-Shavsheti-Klarjeti-Samtskhe-Tao-Kola-Artaani-Speri-Bassiani. Proceeding from the above localization, the author assumes, that the boundaries of the country of the Moskhians must have run along the western ridges of the Lesser Caucasus and the watershed ridges of tie Chorokhi-Kura, Chorockhi-Euphrates-Araxes.



“Мосхике” в IV-III вв до н.э.

სხვადასხვა დროის, სხვადასხვაენოვან (ასურულ, ურარტულ, ძველბერძნულ, ლათინურ, სპარსულ, არაბულ თურქულ, რუსულ, იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ...) წერილობით პირველწყაროებში არაერთი ქართული ეთნონიმი მოწმდება. სკეითინების (Σκυθινοί) სახელწოდება პირველად ქსენოფონტის (ძვ. წ. V-IV სს.) "ანაბასისში" იხსენიება. მოგვიანებით, ამავე ეთნონიმს სკიტინების (Σκυτινοί) ფორმით დიოდორე სიცილიელის (ძვ. წ. I ს.) "ისტორიული ბიბლიოთეკის" ტექსტშიც ვხვდებით.

ქსენოფონტი გვამცნობს, რომ ხალიბების ქვეყნის "შემდეგ ელინები მივიდნენ მდინარე ჰარპასოსთან, რომლის სიგრძე ოთხი პლეთრონია. აქედან იარეს სკეითინების [ქვეყანაში] ვაკეზე ოთხ გადასავლად 20 ფარასანგი და [მივიდნენ] სოფლებში, სადაც დარჩნენ სამი დღე და სურსათი მოიმარაგეს. აქედან გაიარეს ოთხ გადასავლად 20 ფარასანგი დიდ, მდიდარ და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქამდე, რომელსაც გუიმნიასი ეწოდებოდა. იქედან ქვეყნის მმართველმა ელინებს მეგზური გაუგზავნა, რათა ისინი თავის მტრების ქვეყანაზე გაეტარებინა. მან მისვლისთანავე თქვა, რომ 5 დღეში მიიყვანს [ელინებს ისეთ] ადგილზე, საიდანაც ზღვა მოჩანს... მეხუთე დღეს მიაღწიეს მთას. მთის სახელი იყო თეხესი. როგორც კი მეწინავენი მთაზე ავიდნენ, ატყდა დიდი ხმაური. როცა ქსენოფონტმა და არიერგარდში მყოფმა მეომრებმა [ხმაური] გაიგონეს, გადაწყვიტეს, რომ წინიდან სხვა მტერი დაესხათ თავს... მალე მათ გაიგონეს, რომ მეომრები ყვირიან: "ზღვა, ზღვა!" და ერთიმეორეს გადასცემენ [ამ სასიხარულო ცნობას] (შემდეგ მეგზური დაასაჩუქრეს – ნ. ხ.)... მან უჩვენა მათ სოფელი, სადაც შეიძლებოდა დაბანაკება მაკრონების

[ქვეყანაზე] სამ გადასავლად 10 ფარასანგი გაიარეს" [მიქელაძე, 1967, 82-85]. ამავე ეპიზოდის დიოდორე სიცილიელისეული აღწერა ასეთია: "იქიდან აიყარნენ და 7 დღეში გადაიარეს ეგრეთწოდებული ქალდების ქვეყანა და მივიდნენ ჰარპაგოსად წოდებულ მდინარესთან, რომელიც 4 პლეთრონის სიგანისა იყო. აქედან მიდიოდნენ სკიტინების (ქვეყანაზე) დაბლობის გზით, სადაც 3 დღეში მომჯობინდნენ, რადგან ყოველივე აუცილებელი უხვად ჰქონდათ. მეათე დღეს მიადგნენ დიდ ქალაქს, რომელსაც გუმნასია ერქვა. ამ (ქალაქიდან) ყველა ამ ადგილების გამგებელმა მათ ზავი დაუდო და მეგზურები დაუყენა ზღვაზე გასაყვანად. 15 დღეში მივიდნენ მთა ხენიონთან. მათ, ვინც პირველები მოდიოდნენ, ზღვა რომ დაინახეს, დიდად გაიხარეს და ისეთი ყიჟინა ასტეხეს, რომ ბოლოში მყოფებმა იფიქრეს, მტერი დაგვხვდა ჩასაფრებული და იარაღი იშიშვლეს. როდესაც ყველანი ავიდნენ, საიდანაც ზღვა ჩანდა, ხელები აღაპყრეს და ღმერთებს მადლობას სწირავდნენ, როგორც უკვე გადარჩენილები...მეგზურს ვერცხლის ფიალა და სპარსული ტანსაცმელი აჩუქეს. მან უჩვენა გზა მაკრონებისაკენ და წავიდა" [ყაუხჩიშვილი, 1976, 103-104].

ამ ორი ნაწყვეტის ურთიერთშეჯერებიდან სავსებით ნათელია: მიუხედავად იმისა, რომ დიოდორე სიცილიელი სკვითინებს სკიტინების სახელით მოიხსენიებს, მდ. ჰარპასოსს – ჰარპაგონად, ხალიბებს – ქალდებად, გუმნეასს – გიმნასიად, ხოლო მთა თეხესს – ხენიონად, სკვითინების ქვეყანაში ბერძენ მოქირავნეთა პერიპეტიების ისტორიის აღწერისას, ფაქტობრივად, ქსენოფონტიც და დიოდორე სიცილიელიც ურთიერთმსგავს ინფორმაციას გვაწვდიან.

თ. მიქელაძე, ქართველური ტომების შესახებ ქართულ ენაზე "ანაბასისის" ცნობების პირველი და დღემდე ერთადერთი მთარგმნელი, ამ თხზულებაში დაცული

ცნობების შესწავლის გზით, ქსენოფონტის მიერ მოწოდებული ყველა გეოგრაფიული კოორდინატის გათვალისწინებით, საკსებით მართებულ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქსენოფონტისეული სკვითინეს აღმოსავლეთიდან ხალიბები ემეზობლებოდნენ. საზღვარი მათ შორის მდ. ჰარპასოს-ჭორუხზე გადიოდა. ჩრდილოეთით სკვითინების კუთვნილი ტერიტორია პონტოს ტავროსს ემიჯნებოდა, თეხესი – ზიგან-დაღის მიდამოებში – მაკრონების მიწა-წყალს, ხოლო სამხრეთით და დასავლეთით მათი გავრცელების არეალის ფარგლები ძნელი დასადგენია [მიქელაძე, 1967, 130-131].

სკვითინების საკითხთან დაკავშირებით სხვაცაა საყურადღებო: პონტოს ტავროსის ერთ ნაწილს, მდ. ჭოროხის ქვემო წელიდან ტრაპეზუნტის ხახამდე, (სადაც თ. მიქელაძის თვალსაზრისით ქსენოფონტისეული სკვითინები იყვნენ განსახლებული) სტრაბონი (ძვ. წ. I-ახ. წ. I სს.) სკვითინების სახელწოდებასთან ფონეტიკურად მსგავს სახელწოდება "სკიდისს" (Σκυθινοί) უწოდებს, ხოლო მის მწვერვალზე განსახლებულ ტომებს - "ჰეპტაკომეტებს", "შვიდსოფლელებს" [ყაუხჩიშვილი, 1957, 203-204].

იე. ჯავახიშვილი სტრაბონის ცნობის განხილვისას წერდა: "...იმათ, რომელნიც სკუდისის მთის მწვერვალზე ბინადრობდნენ, თურმე ჰეპტაკომეტებს ეძახდნენ... ბერძნულად იგი "შვიდ სოფლის მცხოვრებლებს" ნიშნავს. ოცი საუკუნის შემდეგ, ეხლაც კი შენახულია ეს სახელი. ინგლისის კონსული ბ. ჯიფორდი თავის ანგარიშში მოგვითხრობს, რომ ტრაპიზონის სანჯაყის (ოლქის) მეორე მაზრა, რომელსაც სახელად "კურა სებაა" ანუ "შვიდი სოფელი" ჰქვია, რიზეს მახლობლად, ამ ქვეყნის 'შუაგულ მთებში მდებარეობსო. იგი მხოლოდ ამ სიტყვის არაბული თარგმანია (კურა – სოფელი, სებაა – შვიდი), ხოლო არაბულად იმიტომაა ნათარგმნი, რომ

წინათ ოფიციალური მიწერ-მოწერის დროს ოსმალეთში არაბულ ენას ხმარობდნენ ხოლმე. ცხადია, მაშასადამე, "კურა სებააც" და "ჰეპტაკომეც" ადგილობრივი სახელის თარგმანი უნდა იყოს. იქნებ მთის სახელში, რომლის მწვერვალზედაც "შვიდსოფლელები" ცხოვრობდნენ, ადგილობრივი სახელწოდება იყოს კიდეც შენახული: "სკუდისი" იქნებ ბერძნულად გადმოცემული "შკვიდიში" იყოს, რაც (შკვითი) მეგრულად შვიდს ნიშნავს: "შ"-ინის მაგიერ ბერძნულად "ს"-ინი იმიტომა ზის, რომ ბერძნებს ბგერა "შ"-ინი არ მოეპოვებოდათ. თუ ეს სწორი გამოდგა, მაშინ ამ სიტყვის მხოლოდ პირველი ნაწილი ყოფილა შერჩენილი, ხოლო ამ ადგილს "შვიდსოფელი"-ს სახელი იმიტომ დაერქმეოდა, რომ მოსახლეობა იქ ალბათ შვიდ სოფლად ყოფილა დანაწილებული. ეს ჰეპტაკომეტები, ანუ შვიდსოფლელები მოსსინიკები, ანუ მეგრულ-ჭანურ შტოს წარმომადგენელ ტომის ხალხი ყოფილან" [ჯავახიშვილი, 1951, 411-412].

თ. მიქელაძე ივ. ჯავახიშვილის ზემომოყვანილი მოსაზრებების გათვალისწინებით, დაასკვნის, რომ "სტრაბონთან დაცული სახელწოდება ადგილობრივი სახელწოდებისა Ἑπτακωμῆται ბერძნული თარგმანია ქსენოფონტესთან დამოწმებული ადგილობრივი სახელწოდების (Σκυθινοί), რაც ნიშნავს შვიდსოფელს. ამ სახელწოდების ახსნის შესაძლებლობა მეგრულ-ჭანური ენის მეშვეობით მიუთითებს იმაზე, რომ სკვითინების სახით დასავლურ-ქართულ ეთნიკურ ელემენტთან გვაქვს საქმე, მეორე მხრივ, რაკი მოცემული სახელის სემანტიკა რიცხვით სახელთანაა (შვიდთან) დაკავშირებული, საფიქრებელია, რომ ეს ეთნიკური სახელი სოციალურ ნიადაგზეა წარმოშობილი. Σκυθινοί ტერმინში და მის ბერძნულ თარგმანში Ἑπτακωμῆται ასახული უნდა იყოს შვიდი სათემო ერთეულის ერთ სოციალ-პოლიტიკურ ორგანიზაციად შერწყმის ფაქტი.

როგორც ჩანს, სკვითინების გაერთიანების პროცესი ძვ. წ. V ს-ის დასასრულისათვის თითქმის მომთავრებული ჩანს. შექმნილია ერთი ძლიერი ეთნო-პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ერთი მმართველი განაგებს. მმართველის რეზიდენციაა ქ. გუმნიასი – დიდი, მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქი" [მიქელაძე, 1967, 131].

ამგვარად, სკვითინების, მისი თანამოსახელე მთის – სკიდისის, მთის მწვერვალებზე მცხოვრები ჰეპტაკომეტების და ამავე რეგიონში ბ. ჯიფორდის მიერ დამოწმებული კურასებაას სახელწოდებებში მეგრულ-ჭანური შკვითის (შვიდის), მისი ბერძნული შესატყვისი Επτα-ს და არაბული "სებაა"-ს არსებობა ეჭვს არ უნდა ბადებდეს. უფრო მეტიც, ჩემი აზრით, სკვითინების (სკიტინების) სახელწოდების იდენტიფიკაციისათვის ამოსავალი არა ტერმინ "შვიდსოფლებშია", რომელიც ტერმინ "სკვითინის" თარგმანს არ წარმოადგენს, ან შვიდი სოფლის სინოიკისმოსშია საძიებელი, არამედ თავად სკვითინების სახელწოდების სკვით, შკვით- ფუძეში, რომელიც ბერძნულში მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი οι-თ და სამი ხმოვნის (ι, ο, ι) გამყოფი ν-თია გაფორმებული. აქვე იმასაც დავძენ, რომ თავად შვიდის სემანტიკის თვალსაზრისით, სკვითინების სახელწოდება დღემდე არავის განუხილავს, არა და, ჩემი აზრით, ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ ამ ქართველური ტომის თვითდასახელება მაინცდამაინც შვიდთანაა დაკავშირებული, რომელიც ერთ-ერთ საკრალურ რიცხვს წარმოადგენს და სავარაუდოა, რომ სკვითინების სახელწოდებაშიც სწორედ ამ ფუნქციითაა აღჭურვილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისით, მსოფლიოს ხალხთა კულტურულ ტრადიციაში შვიდის საკრალიზაცია კოსმოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებში იღებს სათავეს [Бородин, 1970, 62. Бикерман, 1975, 78]. მართლაც, თუ სადღეისოდ ცნობილ

წერილობითი პირველწყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ საკრალური შვიდი შუმერებისათვის, ეგვიპტელებისათვის, ბაბილონელებისათვის, აცტეკებისათვის და სხვა ე. წ. "მკვდარი ხალხებისათვის", კარგად ცნობილი საკრალური რიცხვი იყო. შუმერული წერილობითი ძეგლის "იშთარის მოგზაურობის" მოწმობით, როდესაც შუმერთა დიდი ქალღმერთი ინანა ქვესკნელს გაემგზავრა, შვიდი ღვთაებრიები ნიჭით დაჯილდოვდა, შვიდი ჭიშკარი გაიარა, მას შვიდჯერ წაართვეს ყველა სამკაული და შვიდჯერ ჩააგონეს. საკრალური შვიდის მოტივს "გილგამეშის ეპოსშიც" ვხვდებით. როდესაც გილგამეში ქვესკნელში წასასელელად მოემზადა, მზის ღმერთმა უთუმ ანის შემზარავი შვიდი გმირი, შვიდი მაცნე მღვიმეში ჩაკეტა (ვეშაპი, ურჩხული, ცეცხლი, წარღვნა, გველი, ქარიშხალი და მისი ძმა). შუმერებთან ფართოდ იყო გავრცელებული წარმოდგენები 7 სულზე. ისინი წყალთა და სიბრძნის ქალღმერთ ეას მტრებად იყო მიჩნეული.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო მონაცემებს ეგვიპტურ პაპირუსებში ე. წ. "მიცვალებულთა წიგნშიც" ვხვდებით. ამ წერილობით წყაროში საუბარია ადამიანის შვიდ სულზე. ამ შვიდ სულს იგი გარდაცვალების შემდეგ თანდათან კარგავს, რათა მარადისობაში გადავიდეს. ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით, სული უკვდავია. ადამიანი გარდაცვალების შემდეგ მზესთან ერთად არსებობს, მზესთან ერთად ამოდის ცაზე და დაისის ჟამს სიბნელეში იძირება. საგულისხმო ისიცაა, რომ ეგვიპტელებს ადამიანის პირველწინაპრებად მთვარის ღმერთი – თოთი მიაჩნდათ, რომელიც მათი რწმენა-წარმოდგენებით ბუნების შვიდი სტიქიის გამაერთიანებელი და მატარებელი იყო. საკრალურ შვიდთანაა დაკავშირებული ფარაონის სიზმრის შვიდი მჭლე და შვიდი მსუქანი ძროხაც,

რომელიც შვიდწლიან გვალვასა და შვიდწლიან მოსავალს განასახიერებდა.

ძველ ბაბილონში შვიდი ღვთაების სახელწოდება შვიდ ქალაქს დაუკავშირდა. საყურადღებო ისაა, რომ მოგვიანებით შვიდივე ღვთაება მნათობებთან იყო ასოცირებული: აბელ-მარდუქი – იუპიტერთან, ნაბუ – მერკურთან, ნერგალი – მარსთან, ზაბაბა-ნინურთა – სატურნთან, იშთარი – ვენერასთან, შამაში – მზესთან, სინი – მთვარესთან.

შვიდ მნათობთან, საკრალურ შვიდთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ბაბილონელთა კულტურულ ტრადიციაში სხვა ფორმითაც ელინდება. ჰეროდოტეს მოწმობით, ეთემენანკის ზიქურატს შვიდი საფეხური ჰქონდა. ასეთივე კონსტრუქციით იყო ცნობილი ესაგილაც. რიცხვი შვიდი ბაბილონური ქალაქების არქიტექტურაშიც აისახა (შვიდი ჭიშკარი, შვიდი გალავანი, შვიდი კოშკი...). უფრო მეტიც, თითოეულ მნათობს მისთვის განკუთვნილი ფერი მიეწერებოდა. ცალკეული მნათობისათვის მიძღვნილ ტაძარს მისთვის განკუთვნილი ფერით ღებავდნენ. შვიდი მნათობისადმი მიძღვნილი ნინევიის ცნობილი ობსერვატორია შვიდსართულიანი იყო და შვიდფერად იყო შეღებილი: მზის (შამაშის) სართული –ოქროსფრად, მთვარის (სინი) – ვერცხლისფრად, ბელ-მარდუქის (იუპიტერის) სართული – თეთრად, იშთარის (ვენერას) სართული – ჭრელად, ნაბუს (მერკურის) სართული – მწვანედ, ნერგალის (მარსის) – წითლად, ზაბაბა-ნინურთას (სატურნის) – შავად. ბაბილონის სამეფოში შვიდფერად არა მხოლოდ ტაძრებს, არამედ სასახლეებსაც, გალავნებსაც, ჭიშკრებსაც და სხვა ნაგებობებსაც ღებავდნენ.

შვიდის საკრალიზაციის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას ინდო-ირანულ კულტურულ ტრადიციებშიც ვხვდებით. ირანელთა რწმენა-წარმოდგენებით, ღვდამიწა

შვიდ ნაწილად. შვიდ ქვეყნად, შვიდ ხმელეთად იყოფა [ნახუცრიშვილი, 1979, 21-27]. იგივე თვალსაზრისია გაბატონებული ცასთან დაკავშირებითაც, რომელიც შვიდი მნათობის კუთვნილ შვიდ ცადაა გააზრებული. ზოროასტრიზმი ექვს უკვდავ წმინდანს (ამეშასპენტი) და მეშვიდეს – ახურამაზდას იცნობს. რიგვედაში ადიტი (ღვთაება) შვიდი მთავარი ღმერთის დედაა. ვედურ მზის ღვთაებას, სურის შვიდი ფაშატი დაატარებს. ავესტას კალენდარში თვის პირველი შვიდი დღე უკვდავი ღვთაებების სახელებითაა ცნობილი. საყურადღებო ისიცაა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულით დათარიღებულ ერთ-ერთ სამარხში მაინცადამაინც შვიდი სამსხვერპლო ცხოველის ჩონჩხია აღმოჩენილი, რაც, როგორც ვარაუდობენ, საკრალური შვიდის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ძველ ირანში მეფე შვიდი ქვეყნის მბრძანებლად ითვლებოდა. როგორც წესი, მას შვიდი მრჩეველი ჰყავდა. მეფის ნახვის უფლება სპარსელთა და მიდიელთა მხოლოდ შვიდი წარჩინებული გვარის წარმომადგენლებს გააჩნდათ. ასევე იყო სასანიანთა ირანშიც.

შვიდის საკრალიზაცია ირანულ წეს-ჩვეულებებშიც აისახა. მაგალითად, ახალ წელს მეფეს სინზე დადებულ ხორბლის, ქერის, ცერცვის ორი სახეობის, ქუნჯუთისა და ბრინჯის შვიდ-შვიდ მარცვალს მიართმევდნენ. სპარსელი ქალებისათვის ცნობილი იყო მათთვის განკუთვნილი მორთულობის შვიდი ნივთი. შვიდი აქტიური რიცხვია ირანულ ეპოსში, ზღაპრებში, ანდაზებში. აქ ხშირად ვხვდებით გამოთქმებს: "შვიდი ძმა", "შვიდი და", "შვიდი დღე", "შვიდი თვე", "შვიდი წელი", "შვიდი დოლი და შვიდი ზურნა", "შვიდი ვეული", "შვიდი მთა", "შვიდი უღელტეხილი" და "შვიდი სახლი". ისევე როგორც შვიდის შემცველ რიცხვებს: 70, 700, 7000

(შაჰნამეს ერთ-ერთი გმირი 700 წელი ცხოვრობს, მზეთუნახავს 700 მხევალი დარაჯობს).

ინდურ, ტიბეტურ და ჩინურ კულტურულ ტრადიციებში საკრალური შვიდის შესახებ პირველხარისხოვან მონაცემებს ჯერ კიდევ XIX ს-ში, ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულ ე. ბლავატსკაიას ნაშრომის "საიდუმლო დოქტრინას" I ტომში ვპოულობთ, რომელიც რუსულ ენაზე პირველად 1991 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში მოყვანილი ძიანის წიგნის "კოსმოსური ევოლუცია" სტროფებში (ე. წ. ტრანსებში) "შვიდ მარადისობაზე", "ნეტარებისაკენ მიმავალ შვიდ გზაზე", "შვიდ უზენაეს უფალზე", "შვიდ ჭეშმარიტებაზეა" საუბარი [Блаватская, 1991, 64-65]. ინდიელთა კულტურულ ტრადიციაში შვიდი მნათობი დასტურდება, რომელთაგან ყოველი შვიდჯერ შვიდს წარმოშობს.

შვიდის საკრალური ბუნება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებშიც აისახა. სწორედ ებრაელებს ეკუთვნით შვიდ-სამშაბათიანი დროისა და სამყაროს შექმნის შვიდდღიანი ციკლი, წარმოდგენები შვიდ ეშმაკზე. ქრისტიანულ მოძღვრებაში ღვთისმშობლის შვიდი სიხარული და შვიდი ვნება, შვიდი საეკლესიო საიდუმლოა (ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, აღსარება, ზეთისცხება, მღვდლობა, ქორწინება).

შვიდის სიმბოლიზმი ძველი ბერძნებისა და რომაელებისთვისაც იყო ცნობილი. გავიხსენოთ თუგინდ შვიდი საოცრება ("ჰეპტა თეამატა" და ლათინური septem miracula mundi), შვიდი ბრძენი, შვიდი მუზა, არიფმომანტია, რომელიც კაბალისტიკას დაედო საფუძვლად, აპოლონის ბედნიერ რიცხვად შვიდი ითვლება. მოგვიანებით, პითაგორელებიც იგივეს ამტკიცებდნენ. ისიცაა ცნობილი, რომ ბერძნებმა ასურულ-ბაბილონური ღვთაებების შვიდეულს, რომელიც შვიდ მნათობს ასახიერებდა, შესაბამისი ეკვივალენტები მოუძებნეს.

შვიდი საფუძვლად რომაულ კვირას დაედო, რომელიც, იულიუს კეისრის რეფორმამდე, შვიდი სამუშაო და ერთი ბაზრისათვის განკუთვნილი დღისაგან შედგებოდა. კონსტანტინე დიდის (IV ს.) მიერ ჩატარებული ღონისძიებების შემდეგ კვირა (მზის დღე) უქმედ გამოცხადდა და კვირამ შვიდეულის სახე მიიღო. კვირის სახელწოდება მნათობებს დაუკავშირდა: ორშაბათი – მთვარის დღედ გამოცხადდა, სამშაბათი – მარსის, ოთხშაბათი – მერკურის, ხუთშაბათი – იუპიტერის, პარასკევი – ვენერას, შაბათი – სატურნის, კვირა – მზის დღე.

"ქართლის ცხოვრების" ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის I-II ტომებში წარმოდგენილ თხზულებებში "შუდ"-ი და "შუდ" კომპონენტიანი რიცხვითი სახელები უმთავრესად საკრალური სიმბოლიკით ხასიათდება. სავარაუდოა, რომ შვიდის საკრალიზაციის სათავეები არა მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ ლიტერატურაშია საძიებელი, არამედ ქართველთა უძველეს, წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებშიც, რომელთა რეკონსტრუქციას დიდად უწყობს ხელს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვარი, ქართული ფოლკლორის ნიმუშები, ხატოვანი სიტყვა-თქმანი და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად დაგროვილი უნიკალური მასალა [ხაზარაძე, 2005, 165].

უძველესი არქეოლოგიური ნივთი გვარჯილას კლდის მღვიმის მეზოლითურ ფენაში 1953 წ. აღმოჩენილი ე. წ. "მეთაურის კვერთხის" ფრაგმენტია. იგი მსხვილფეხა საქონლის ნეკნისგანაა დამზადებული (სისქე 1, 3 სმ, სიგრძე 6, 2 სმ-ია). მის ორივე ზედაპირზე შვიდ-შვიდი ამონაკაწრია. ნაკაწრები ღრმადაა დატანილი და ისარს ან ორმხრივ შუბის პირს მოგვაგონებს. ამ ნივთის აღმომჩენი დ. თუშაბრამიშვილი წერდა: აღნიშნული ორნამენტი არ წარმოადგენს უბრალო დეკორატიულ

მოტივს, არამედ მას განსაზღვრული, შესაძლებელია, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა" [კიკვიძე, 1976,153]. ი. კიკვიძე უფრო შორს მიდის და ვარაუდობს, რომ გამორიცხული არაა შვიდ-შვიდი ხაზის ამოკაწვრა ასტრალური შინაარსის იყოს და შვიდ ცთომილს გამოხატავდეს. ი. კიკვიძისავე აზრით, "მთავარი ისაა, რომ გვარჯილას კლდე'ში ნაპოვნი მეთაურის კვერთხის ფრაგმენტი მყარი საბუთი ჩანს ჩვენში უკვე ძველი ქვის ხანის დასასრულისათვის კოსმოლოგიურ შეხედულებათა და სოლარულ რწმენათა განვითარების დასანახად. ადამიანი ირჩევს შვიდ მნათობს, თაყვანს სცემს მას და რიცხვი შვიდის მაგიურ ძალაში დარწმუნებულია" [კიკვიძე,154].

სადღეისოდ არსებული არქეოლოგიური, ენიობრივი, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული, ტრადიციული მედიცინის მასალები, საისტორიო წერილობითი პირველწყაროები ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენებს, რომ ქართველურ ტომებში შვიდის საკრალიზაციას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამჯერად, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ ჯერ კიდევ მ. ჯანაშვილმა, 1904 წ. ბერძნულ-რომაული კვირეულის სახელწოდებებთან მეგრული სახელწოდების შედარების გზით, ამ უკანასკნელის წარმართული, წინაქრისტიანული ხასიათი წარმოაჩინა. რეკონსტრუქციის შედეგად გაარკვია, რომ მეგრულში კვირას (მზის დღე) ჟაშხა ეწოდებოდა, ორშაბათს (მთვარის დღე) – თუთაშხა, სამშაბათს (არეს-მარსის დღე) – თახაშბა, ოთხშაბათს (ჰერმეს-მერკურის დღე) – ჯუმაშხა, ხუთშაბათს (აფროდიტე-ვენერას დღე) – ცაშხა, პარასკევს (ზევსი-იუპიტერის დღე) – ობიშხა, შაბათს (კრონოსის დღეს) – საბატონი [ვახუშტი, 1904, პგ-უბ].

ჩემი აზრით, არანაკლებ საყურადღებოა სამეგრელოში დადასტურებული საკრალურ შვიდთან დაკავშირებული

რიტუალებიც. მაგ.: "შქვითული" ("შვიდეული"), რომელიც ჭირნახულის აღებისა და დაბინავების შემდეგ ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ორშაბათ (თუთაშხა) დღეს იმართებოდა. ამ დღეს უნდა დაეკლათ: გოჭი, ბატკანი, ხბო, მამალი, იხვი, ციკანი და დაეჭირათ თევზი. აკვირდნენ პურის, ფეტვის და სიმინდის კვერებს, ოჯახში მოკეთეებს იწვევდნენ. სადილის წინ ყველა მამაკაცი, ოჯახის უფროსის წინამძღოლობით, შქვითულის ქვევრთან მიეიდოდა და დაიწოქებდა. იქვე ხონჩას მოათავსებდნენ, რომელზედაც კვერები და დაკლული ცხოველების გულ-ღვიძლი და თავები ელაგა. ოჯახის უფროსი ქვევრის თავს ანთებულ სანთლებს მიაკრავდა და კარგი და დოვლათიანი მოსავლისათვის სამადლობელ ლოცვას წარმოთქვამდა. ღმერთს ოჯახის კეთილდღეობას და მფარველობას შესთხოვდა... დასასრულს შქვითულის ქვევრს თავს მოხდიდნენ, დანაყრდებოდნენ, მასპინძლის სახლში დაბრუნდებოდნენ და სუფრას შემოუსხდებოდნენ [მაკალათია, 1941, 320; თოფურია, 1954, 89].

არანაკლებ საყურადღებოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შვიდი მაისის წვიმასთან დაკავშირებული რეალიები. ეს დღე ქართული ეროვნული მასალის მიხედვით, სამიწათმოქმედო სამუშაოების კომპლექსს განეკუთვნება და აღორძინების უნარის მქონე ძალადაა მიჩნეული: "შვიდი მაისის ნამს ოჯახის უფროსი სახაშეში ჩაუშვებდა, ღმერთო ბარაქა დაადე ჩვენ მოსავალსო; "შვიდი" მაისის ყანას 7 ფეხი რო ედგეს, იმედი გქონდეს კიდევ შეემატებაო, იმედ ნუ გადაიწყვეტამ აღარ ამოვაო; "შვიდი" მაისის წვიმაო თავზე დამედინაო, "შვიდი" ნაწნავი დავიწან მხრებზე გადამედინაო [რუხაძე, 2001, 199]. ვ. კოტეტიშვილის თანახმად, "ხავსი მოედო ზურმუხტად, შვიდად ნაწნავსა თმასაო". მისივე ცნობით, შვიდი მაისის დილის ნამს მაწვნის დედისათვის აგროვებდნენ [კოტეტიშვილი, 1934, 60]. შვიდ რიცხვთან

დაკავშირებით, გ. გოცირიძემ კახეთში ჩამოსახლებულ ფერეიდნელ ქართველებთან ძალზედ საგულისხმო მასალა მოიძია. თავის მთხრობელებთან მკვლევარმა დაადასტურა "შვიდკაცა", "შვიდფერი", "შვიდნი ძმანი", "შვიდი ცხენი". ერთ-ერთი ფერეიდნელი ქართველის სიტყვებით: "შვიდი ფერის ყოილი ყვაოდა პაპას ბაღში", ხოლო მეორის - "საქმის მოსარიგებლად შვიდი კაციც რო წაეყვანა, თუ პატრონს არ უნდოდა, ქალს არ მისცემდა". მკვლევარმა ისიც გაარკვია, რომ საქორწილო სუფრისათვის 7 ცხვარი, 7 ლიტრი ბრინჯი, 7 ქვაბი ერბო, 7 შეკვრა ჩაი იყო განკუთვნილი*.

მაგალითების გამრავლება უსასრულოდაა შესაძლებელი...

ახლა თუ ყოველიფე ზემოაღნიშნულის კონტექსტში, ჩვენთვის საინტერესო სკვითინების სახელწოდების იდენტიფიკაციის საკითხს დაუბრუნდებით, იმ მართებულ დასკვნამდე მივალთ, რომ მეგრული "შკვითი-შქვითი" (შვიდი) შემცველ ეთნონიმსა (სკვითინები) და ორონიმში (სკიდისი) საკრალური შვიდია ნაგულისხმევი. შვიდის საკრალიზაცია ქართველური ტომების (მათ შორის – მეგრელ-ჭანების) უძველეს კოსმოლოგიურ წარმოდგენებშია საძიებელი.

---

* ბატონ გ. გოცირიძეს უღრმეს მადლობას მოვახსენებ მის მიერ შეგროვილი საველე ეთნოგრაფიული მასალის მოწოდებისათვის.

დამოწმებული პირველწყაროები და ლიტერატურა

1. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მოსე ჯანაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1904.

2. თოფურია ნ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები საქართველოში), დისერტაცია ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 1954.

3. კიკვიძე ი., ადრესამიწათმოქმედო კულტურები, თბილისი, 1976.

4. კოტეტიშვილი ვ. ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934.

5. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941.

6. მიქელაძე თ., ქსენოფონტის "ანაბასისი", თბილისი, 1967.

7. ნახუცრიშვილი ნ., რიცხვი "შვიდი" ირანულ ენებში, "ჯევანმარდი" II, თბილისი,1979.

8. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957

9. ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, თბილისი, 1976.

10. ხაზარაძე ნ., "შუდ"-ის სიმბოლიკისათვის "ქართლის ცხოვრებაში", სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბილისი, 2005.

11. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951.

12. Бикерман, Хронология мира, Москва, 1975.

13. Блаватская Е. Секретная доктрина, Москва, 1991.

14. Бородин А. Число и мистика, Донецк, 1970.

HISTORY OF THE GEORGIAN ETHNONYMICS

For the purpose of explanation of the semantic code of the Skvithians (Σκυθινοί, Σκυτινοί) recurring several times with Xenophon (5th 4th cc. BC) and Diodorus Siculus (1st c. BC), the author made wide use not only of evidence by authors of the Classical period, but materials of archaeology, linguistics, ethnography, folklore and traditional medicine as well. Sharing the opinion expressed in the scientific literature, according to which the root of the name of the Skvithians should be linked with Megrelian-Chan *skviti* ("seven"), the author thinks that the existence of this number in the above-mentioned ethnonyms can be explained by sacred seven and its roots must be sought for in the ancient cosmological beliefs of the Georgians.

თანაავტორებთან ერთად
WITH THE COAUTHORS
ВМЕСТЕ С СОАВТОРАМИ

ბრიგოლ გიორგაძე
ნანა ხაზარაძე

ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და ძველაღმოსავლური ეთნოკულტურული სამყარო

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ენობრივი მონაცემები წარმოადგენს. ქართველთა უძველესი საცხოვრისის ლოკალიზაციისთვის ამ პირველწყაროს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ენობრივი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველური ეთნოსის განსახლების ტერიტორია მჭიდროდ იყო დაკავშირებული წინააზიურ რეგიონთან. ქართველთა წინაპრებს შორეულ წარსულში ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ ძველ აღმოსავლეთში მცხოვრებ ისეთ ცნობილ ეთნოსებთან, როგორიც იყვნენ შუმერები, სემიტები, ინდოევროპელები (განსაკუთრებით ხეთები), ხათები (პროტოხეთები), ხურიტები, ურარტელები და სხვანი. ქართველურ და ძველაღმოსავლურ ენებში არსებული ლექსიკური შესატყვისობანი, ისევე როგორც ამ ენათა ურთიერთმსგავსი სტრუქტურული მახასიათებლები, ცხადია, მიგვანიშნებს იმ გეოგრაფიულ არეალზე, რომლის ფარგლებში უნდა ეცხოვრა ქართველ-ურ ეთნოსს.

შუმერულ და ქართველურ ენათა ლექსიკის შედარებითმა ანალიზმა მკვლევართა ნაწილი (მ. წერეთელი, ჰ. ფენრიხი, ჯ. შარაშენიძე, კ. თოფურია, ნ. ხაზარაძე) იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შუმერული ლექსიკა – ორ ასეულზე მეტი ლექსიკური ერთეული – გარკვეულ სიახლოვეს ქართველურ ენათა შესაბამის ლექსიკასთან ავლენს. შდრ., მაგალითად: შუმ. TUNIR "თონე", "თორნე"

და ქართ. "თუნი, თორნე, თურნე"; შუმ. DUG "ღოქი, თიხის ჭურჭელი" და ქართ. "ღოქი, ღუგუნი"; შუმ. DERG "ქვეერის სახეობა" და ქართ. "დერგი", შუმ. DIḪ "ქვა, თიხის დაფა" და საერთოქართ. *დიჭ-, ქართ. "თიხა, ტალახი", მეგრ. "ღიხა", "მიწა, ადგილი", ლაზ. "ღიხა", "მიწა, ნიადაგი" შუმ. GIBIL "ცეცხლი" და ქართ. "ყვერბი", მეგრ. "ყებური, კებური, კრებული"; იგივე შუმ. GIBIL და საერთო ქართ. *გაბ/გბ-, ქართ. "გბობა, გბოლვა", მეგრ. "გიბუა" "ხარშვა აბრეშუმის ძაფისა", ლაზ. "ოგუბუ" "ხარშვა", სვან. "ლიჯაბ" "ხარშვა"; შუმ. GI.IZI "ცეცხლმოკიდებული ლერწამი, ჩირაღდანი" და საერთო-ქართვ. *გზ-, ქართ. "გიზ-გიზი", "ძლიერი ცეცხლის ხმა, ბრიალი, გუზგუზი", "აღგზება", "ცეცხლის ანთება", მეგრ. "რზამა", "წაკიდება ცეცხლისა", "ვორზანქ", "ეუკიდებ", "დორ-ზამილი" "ანთებული", ლაზ. "ოგზაფუ" "წაკიდება ცეცხლისა", "ეიგ-ზერ" "ვიწვი"; შუმ. BABBAR "ბრწყინვა, სინათლე" და საერთო ქართ. *უარ-, ქართ. "ვარვარებს, გავარვარებული, გავარვარება", სვან. უარუალ "ბრწყინვა", შუმ. GAN "მინდორი, ყანა"; ძველქართ. "ყანა", "აგარაკი", "ველი, ყანო-ბირი", ქართ. "ყანა", მეგრ. "ყონა", ლაზ. "ყონა", შუმ. ḪAR "ხარი" და საერთო ქართ. *ჭარ-, ძველქართ. "ჭარი", "ხუარაკი", ქართ. "ხარი", მეგრ. "ხოჯი", ლაზ. "ხოჯი", სვან. "ჭანი"; შუმ. PAB/P "მამა" და ქართ. "მამა, პაპა", მეგრ. "ბაბაი, ბაბუა", ლაზ. "პაპუ"; შუმSAL "ქალი" და საერთოქართვ. *ც'ოლ-, ქართ. "ცოლი", მეგრ. "ჩილი", ლაზ. "ჩილი", სვან. "ჩოშ/ჩუშ-, ლიჩ. შუილი"; შუმ. SAR "წერა" და ქართ. "წერა, სერვა"; შუმ. DAG "სუფთა, ნათელი" და საერთოქართ. *ღეღ-, ქართ. "ღღე", მეგრ. "ღღა", სვან. "ღეღ, ლადეღ"; შუმ. ENEM "ენა, სიტყვა" და ქართ. "ენა"; შუმ. ÉRIN "ლაშქარი" და ძველქართ. "ერისაგანი, ერისკაცი, მხედარი, ჯარისკაცი", ქართ. "ერი"; შუმ. NU "არა" და საერთოქართ. *ნუ, ქართ. "ნუ", მეგრ. "ნუ", სვან. "ნო"; შუმ. "MARUN" და ქართ. "მარანი"; შუმ

É. ḪUḪUL "შუმერული მთვარის ღვთაების სახლი ცაზე" და ქართ. "ხუხულა", "ხულა"; შუმ. IZI და ქართ. "ეზო", მეგრ. "ოზე" და სხვა მრავალი (ჩიქობავა 1938, გვ. 265; ორბელიანი, 1949, გვ. 111, 114, 165, 192, 247, 249, 460; ორბელიანი, 1965, გვ. 231; Климов, 1964, გვ. 77, 80; აბულაძე, 1973, გვ. 300, 465, 566; კიკნაძე, 1977, გვ. 117; ღლონტი, 1984, გვ. 206, 254; შარაშენიძე, 1983, გვ. 41. შდრ. იქვე, გვ. 38, სქ. 1;Гамкрелидзе, Иванов,1984, გვ. 821; ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, გვ. 70-71, 80, 101, 105, 118, 242, 413, 494; ჩიტაია, 1997, გვ. 216, 217; ხაზარაძე, თოფურია, 2000, გვ. 22, 26 და სხვ.).

შუმერულ და ქართველურ ენათა შედარებამ მკვლევარნი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: შუმერული ლექსიკის უდიდესი ნაწილი არც დრავიდულია, არც სემიტური და არც ნახურ-დაღესტნური (ე.ი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური). იგი აჩვენებს გარკვეულ სიახლოვეს ქართველურ ენათა ლექსიკასთან. ყურადღება მიაქციეს აგრეთვე შუმერულ და ქართველურ ენათა შორის ტიპოლოგიური მსგავსების არაერთ მაგალითს (თუმცა ეს არ მიუთითებს მათ გენეტიკურ კავშირზე): ეს ენები აგლუტინაციურია. სიტყვის ძირს ან ფუძეს ემატება როგორც პრეფიქსები, ასევე სუფიქსები. სიტყვათწარმოება ხდება ძირის გაორმაგებით, ხმოვნის შეცვლით, პრეფიქსაციით, სუფიქსაციით. ამ ენებში არსებობს ერგატივი – მოთხრობითი ბრუნვა ქვემდებარის სპეციფიკური ხმარებით გარდამავალ ზმნასთან და ა.შ. (Tseretheli, 1959, გვ. 77 და შმდ.; Fähnrich, 1981, გვ. 89 და შმდ.; შარაშენიძე, 1983, გვ. 28 და შმდ.).

ჯერჯერობით არ ხერხდება რა შუმერულსა და ქართველურ ენებს (ეთნოსებს) შორის გენეტიკური კავშირების გამოვლენა, დასადგენია, სად უნდა ყოფილიყო ამ ენათა საკონტაქტო რეგიონი. ასეთ ადგილად სავარაუდოდ უნდა იყოს ან სამხრეთ შუამდინარეთი, სადაც ძვ. წ. IV ათასწლეულიდან დასტურდება

შუმერების ყოფნა, ან კავკასია, საიდანაც ადრეულ ხანებში უნდა მომხდარიყო შუმერების მიგრაცია სამხრეთ შუამდინარეთში, ანდა სამხრეთ ამიერკავკასია, სადაც მტკიცდება ქართველთა ბინადრობა. როგორც ვარაუდობენ, აღნიშნულ ენათა შორის საკონტაქტო რეგიონად უფრო მეტად მისაღები უნდა იყოს კავკასია, სახელდობრ, ამიერკავკასია (სამხრეთ მესოპოტამია საერთოდ გამოირიცხება იმის გამო, რომ იქ ქართველური ტომების განსახლება, მთელი რიგი მიზეზების გამო, არ დასტურდება).

სემიტურ-ქართველურ ლექსიკურ პარალელებთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებენ რიცხვით სახელებზე, რომელთა სესხება ძალზე გავრცელებული მოვლენაა მსოფლიოს სხვადასხვა ენებში, რაც მჭიდრო კავშირებითა და კულტურული ურთიერთქმედებით აიხსნება. სემიტური რიცხვითი სახელი "შვიდი"- *SAB'-*SAB'AT- ნასესხები აქვს საერთოქართველურ ენას როგორც "შვიდ". წინარე სემიტურიდან ნასესხებ სიტყვად მიაჩნიათ აგრეთვე ქართული რიცხვითი სახელი „*არვა"/ /„რვა" (Гамкрелидзе, Иванов, 1984, с. 875, 842). გამოვლენილია აგრეთვე შემდეგი ლექსიკური დამთხვევები: სემ. *FĪL "სპილო" და ქართ. "სპილო"; სემ. *K-L`- "დაკავება, დაჭერა, დამწყვდევა" და ქართ. "კლი-ტ". შდრ. აგრეთვე სემ. *M-T-k- "(მ)ტკბილ-" და ქართ. "ტკბილი"; სემ. *P-L-K "ჩუგლუგი, ცუდი" და ქართ. "ფელქვა, ჩეხვა, ფელკი"- "ნაჭერი" (მოჭრილი ან მოჩეხილი რამ), ზან. მეგრ. "ფელეკანს" "ჩეხავს". შეინიშნება ქართველურ-აქადური ნასესხობანიც, მაგ., აქად. AGURRU და ქართ. "აგური", აქად. (კასიტური) KUDURU "სამიჯნე ქვა" და ქართ. "კედელი", მეგრ. "კიდა" - "კიდალ", ჭან. "კოდ-ა", "კიდა"; აქად. ṬĪḪU- და ქართ. "ტიხარი"; აქად. kudurru "ცის შუმერული ღვთაების სახლი მესამე ცაზე" და ქართ. "დარანი, სამალავი" (აქედან: ძველქართ.

“დადარნება, დამალვა, საფარს ცხოვრება“), აქად. ŠUK- და ქართ. “შუკა“ და ა.შ. (აბულაძე, 1973, გვ. 1, 70, 106, 193, 213, 412; ორბელიანი, 1949, გვ. 192, 470; ჩიქობავა, 1938, გვ. 70, 154-155; ხაზარაძე, თოფურია, 2001, გვ. 25)*.

არეალური ადრეული კონტაქტები სემიტური ენებისა ქართველურ ენებთან უნდა განხორციელებულიყო ახლო აღმოსავლეთის იმ განსაზღვრულ რეგიონში, სადაც ერთმანეთის ახლოს უნდა ეცხოვრათ ადრეული ხანის სემიტებსა და ქართველურ ტომებს. ასეთ რეგიონად შეიძლება მივიჩნიოთ სემიტური ენების გავრცელების ჩრდილოეთი პერიფერია, რომელიც ემეზობლებოდა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და მოიცავდა ჩრდილოეთ სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის რაიონებს ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე, ამ რეგიონში ხურიტების გამოჩენამდე, რის შემდეგაც პირდაპირი კონტაქტები ქართველური წარმოშობის ტომებისა სემიტ ტომებთან უნდა შეწყვეტილიყო. მათ შორის კონტაქტები კვლავ გაგრძელდა მას შემდეგ, რაც ხურიტები დასუსტდნენ და თანდათან დატოვეს პოლიტიკური ასპარეზი, ე.ი. ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებიდან, როდესაც გამოჩნდნენ არამეული წარმოშობის სემიტი ტომები (გიორგაძე, 1999, გვ. 50 და შმდ.).

ქართველური და ინდოევროპული ენების კონტაქტები უნდა მომხდარიყო საერთო ინდოევროპულისა და საერთო-ქართველურის დონეზე, რაც გარკვეულ შუქს შეიტანს ამ ეთნოსთა თავდაპირველი განსახლების საკითხში. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსემები, რომლებიც ქართველურ ენებში წინარე ინდოევროპული წარმომავლობის უნდა იყოს (“უღელი“, “ღორი (ეშვი)“, “მატლი“, “თხა“, “თიხა“, “დადება“, “სისხლი“, ”მკერდი“, “ქამარი“, “შობა (დაბადება)“, “ბერვა“, “შეკრება“, “ექვსი“,

*მაგალითების ერთი ნაწილის მოწოდებისათვის მ. ქურდიანს მადლობას მოვახსენებთ.

"მაგარი", "გათბობა (თბობა)" და სხვ.) (Гамкрелидзе, Иванов, 1984, с. 877 и сл.). წინარე ინდოევროპულ ენას კონტაქტები უნდა ჰქონოდა წინარე ქართველურ ენასთან წინა აზიის ჩრდილოეთ პერიფერიის რაიონებში, ამიერკავკასიის სამხრეთით ზემო მესოპოტამიამდე ძვ. წ. V ათასწლეულიდან. ასეთ შემთხვევაში სრულიად გამოირიცხება შესაძლებლობა ამ კონტაქტების არსებობისა წინარე ინდოევროპულისათვის ტრადიციულად დადგენილ რაიონებში – ცენტრალურ ევროპაში თუ ბალკანეთში.

ქართველური და ინდოევროპული ენების კონტაქტების საკითხისათვის საგულისხმოა **ხეთური ენების მონაცემებიც**. გამოვლენილია შემდეგი ლექსიკური პარალელები: ხეთ. ištamana- "ყური" და ქართ. "მო(სმენა)"; ხეთ. gimmantariya- "გამოზამთრება" და ქართ. "ზამთარი"; ხეთ. šuppi- და ქართ. "სუფთა, წმინდა"; ხეთ. wellu- "მდელო" და ქართ. "ველი"; ხეთ. wiyana- "ღვინო" და ქართ. "ღვინო"; ხეთ. duddumili- "ჩუმად, ფარულად" და ქართ. "დუმილი"; ხეთ. aku- "ქვა" და ქართ. "ქვა".

ცნობილია, რომ რიგ ენაში სამეთუნეო მორგვის აღსანიშნავად ტერმინი "ბორბალი" გვევლინება. იგივე ვითარებას ვადასტურებთ ძველქართულშიც, სადაც "მორგუს", "მორგვს" სხვა სიტყვებთან ერთად "ბორბალიც" შეესატყვისება. აღიშნულის კონტექსტში ინტერესს იმსახურებს, ერთი მხრით, ხეთური სიტყვა ?`ḫurki, რომელიც ბორბალსაც აღნიშნავს და მორგვსაც და, მეორე მხრით, ფონეტიკურად და სემანტიკურად მასთან ახლომდგომი ბორბლიანი ქართული ტრანსპორტის ერთ-ერთი სახელწოდება "ურიკა" (Гамкрелидзе, Иванов, 1984, с. 708, 718; აბულაძე 1973, გვ. 33, 273; ნეიმანი, 1951, გვ. 40, 215; ღლონტი, 1984, გვ. 377, 526; ხაზარაძე, თოფურია, 2000, გვ. 23 და სხვ.).

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: ხეთურ ენაში ზმნის აწმყო დროის მხოლოობითი რიცხვის პირველი,

მეორე და მესამე პირის დაბოლოებანი **-მი, -ში (-სი), -ცი** ბგერითი შემადგენლობით იდენტურია ქართველურ ენებში მხოლობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელებისა – "მე", "შენ", "ის"; ხეთური ზმნის მხოლოობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის დაბოლოებანი **-ვენი, -თენი** თითქმის იდენტურია ქართველური ენების ნაცვალსახელებისა "ჩვენ", "თქვენ" და ა.შ. (ი. დიაკონოვის მიხედვით, ზემოაღნიშნული ლექსიკური პარალელები არის არა ნასესხობანი პროტოქართველურში, არამედ დამადასტურებელია ნათესაობისა, რომელიც მომდინარეობს საერთოქართველური-ინდოევროპული ენის დიალექტიკური კონტინუუმიდან. მისივე აზრით, პროტოქართველურის ტიპოლოგია სიტყვისა საოცრად წააგავს პროტოინდოევროპულს). ზემოაღნიშნული ენობრივი მონაცემების მიხედვითაც, ხეთურ-ქართველურ ენათა კონტაქტების ადგილად შეიძლება ჩავთვალოთ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერია და ჩრდილოეთ მესოპოტამიის უფრო ჩრდილოეთით მდებარე რაიონები (გიორგაძე, 1999, გვ. 62 და შმდ.).

ცალკეულ ტიპოლოგიურ და ლექსიკურ ნასესხობებს მკვლევარნი ავლენენ **ხურიტულ და ქართველურ ენებშიც.** ნ. ნოზაძის გამოკვლევების მიხედვით, ამ ენებში აფიქსების მეშვეობით ერთნაირად იწარმოება პროფესიის აღმნიშვნელი სახელები (მაგ., "მე-ბაღ-ე", "მე-წაღ-ე" და ა.შ.). ამასთანავე გვხვდება მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფორმები პროფესიის აღმნიშვნელი სახელების ფუნქციით ("მხატვარი", "მწერალი" და ა.შ.). ზოგიერთ შემთხვევაში ხურიტული ზმნის პასივის ფორმები გამოიყენება აქტივის ფუნქციით, ისევე როგორც ქართულში ("იგზავნება", "იწერება"). ზოგჯერ რელატიურ დეპონენსებს მხოლოდ პირდაპირი ობიექტი ახლავს როგორც ხურიტულში, ასევე ქართულში ("ერეკება", "ეზიდება" და სხვ.). ტიპოლოგიური სიახლოვე ზოგიერთი

ხურიტული -ი ფორმისა ქართულ დეპონენსებთან სრულიად ნათელია. ტიპოლოგიურ პარალელს აკლებენ აგრეთვე ხურიტული უღლების მრავალპირიანობასა და ქართული უღლების მრავალპირიანობას შორის (ხურიტულ და ქართულ ენებს შეუძლიათ აბრუნონ არა მხოლოდ სახელები, არამედ ზმნური ფორმებიც).

ხურიტული ლექსიკისაგან ქართულ ენას შეიძლება შემდეგი სიტყვები ჰქონდეს ნასესხები: ხურ. **aw-ari** "მინდორი", ქართ. "არე (-მარე"); ხურ. **ezi,** საერთოქართ. ***ცა,** ქართ. "ცა", მეგრ. "ცა", ლაზ. "ცა", სვან. ცჯა; ხურ. **šeri** "სალამო", საერთოქართ. ***სერ-,** ქართ. "სერი, სერობა", "ვახშამი, ვახშმობა", მეგრ. "სერი, ღამე", ლაზ. "სერი, ღამე"; ხურ. **šala** "ქალიშვილი", ქართ. "წული"; ლაზ. "წულუ, მცირე, პატარა"; ხურ. **t:ibne** "ბზე, თივა", ქართ. "თივა, თიბვა"; ხურ. **šur** "სწრაფვა", ქართ. "საშური, მიეშურება"; ხურ. **kad** "თქმა", ქართ. "ქადილი" და სხვ. (გიორგაძე, 1999, გვ. 67 და შმდ.; ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, გვ. 268, 394, 451).

ხურიტები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ბინადრობდნენ ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან. ქართველურ ტომებს მათთან სწორედ ამ დროიდან უნდა ჰქონოდათ ურთიერთობა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლომდე, როდესაც ერთიანი ხურიტული ეთნოსი აღარ არსებობდა (ამის შემდეგ, ალბათ, აქა-იქ შემორჩენილი იყო ხურიტების ცალკეული ჯგუფები). ურთიერთობებს ადგილი უნდა ჰქონოდა ჩრდილოეთ მესოპოტამიის ჩრდილოეთით მოსაზღვრე რაიონებში. შესაძლოა ყივარაუდოთ ქართველ ტომთა ნაწილის ინფილტრაცია მეზობელი ხურიტებით დასახლებულ ტარიტორიაზე, სადაც ისინი ხურიტული წარმოშობის ტოპონიმებს უნდა დაპატრონებოდნენ.

ქართველურ ტომებს ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც ურთიერთობები ჰქონდათ მცირე აზიის

ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებ ერთ-ერთ უძველეს ეთნოსთან – **ხათებთან (პროტოხეთებთან)**, რასაც აჩვენებს ხათური და ქართველური ენების ზოგიერთი მონაცემი: ხათური მორფემა **-ḫ-**, ისევე როგორც **-s-** ანალოგს იჩენს ქართველურ ენებში, რომლებშიც დაცულია ხათურში ცნობილი სიტყვათწარმოების სუფიქსი კუთვნილებისა და წარმომავლობისა **-ელ**. ამასთან აკავშირებენ სვანურში გამოყენებული სახელების პრეფიქსს **ლი-**, ან მრავლობითი რიცხვის **ლ-**ს. ლექსიკური პარალელებიდან ყურადღებას აქცევენ შემდეგს: ხათ. **tete** "დიდი" და ქართ. "დიდი"; ხათ. **tumail** "წვიმა" და ქართ. "წვიმა"; ხათ. **šavaT** "ვაშლი"და ქართ. "ვაშლი"; ხათ. **karam** "ჭურჭელი" და ქართ. "ქვევრი"; ხათ. ***win** "ღვინო" (სიტყვაში **windukaram** "მეღვინეთუხუცესი") და ქართ. "ღვინო"; ხათ. **ureš** "მჭედელი" და ქართ. "ურო"; ხათ. **(wa)zar** – "ცხვარი" და ქართ. "ცხვარი", ხათ. **tuḫḫukuru** – "ხედვა", რომლისგანაც გამოიყოფა **-kuru-** და ქართ. "ყურება" (გიორგაძე, 1999, გვ. 66).

დასასრულ, ქართველურ ტომთა და ურარტელთა კონტაქტებზე უნდა მიუთითებდეს შემდეგი ქართველურ-ურარტული ლექსიკური პარალელები: ურარტ. **kira** "მიწა" და ქართ. "ყირამალა"; ურარტ. **šališan** და ქართ. "შარშან", ქართულ მისამღერებში შემორჩენილი ურარტული გამოთქმები: **ივრი ალალე** (არალე) – "უფალო ალალე", **თარი ალალე** – "ძლიერო ალალე", **არი ალალე** – "მომეცი ალალე" და სხვ. (Сванидзе, 1937, с. 37; Меликишвили, 1954, с. 417)*.

ამით ვამთავრებთ მიმოხილვას ქართველური ეთნოსის კავშირურთიერთობებისა წინა აზიის ისეთ

* გამოელენილია აგრეთვე კონტაქტები მედიტერანულ სამყაროსთან, ბასკებთან, დასავლეთ მცირე აზიასთან, დადგენილია არაერთი საინტერესო ფაქტი, რომელთა შესახებ აქ აღარ შეეჩერდებით.

ცნობილ ეთნოსებთან, როგორიც იყვნენ შუმერები, სემიტები, ინდოევროპელები (ხეთები), ხურიტები, ხათები (პროტოხეთები), ურარტელები, რომელთა მხრიდან, შესაძლოა, ადგილი ჰქონდა კიდეც ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შეღწევას – ინფილტრაციას საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ისინი ასიმილაციას განიცდიდნენ ადგილობრივ ქართველურ ტომებთან. პარალელურად ქართველურ ეთნოსს იმავე ხანებში ურთიერთობანი უნდა ეწარმოებინა ჩრდილო კავკასიის, სახელდობრ აფხაზურ-ადიღეურ და ნახურ-დაღესტნურ ეთნოსებთან: საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე ელინდება ლექსიკური პარალელები ამ კავკასიურ ფუძე-ენებთან. მართალია, ამ ლექსიკური პარალელების კვალიფიკაციის საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება სრული უეჭველობით აღინიშნოს: ქართველური ტომების (ქართველების) წინაპრები და ნახურ-დაღესტნური თუ აფხაზურ-ადიღეური ტომების წინაპრები ერთ დიდ რეგიონში ცხოვრობდნენ და ერთმანეთთან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ. ამ ურთიერთობების ხანგრძლივ და უწყვეტ ხასიათზე მეტყველებს იმ მრავალ ნასესხობათა არსებობა, რომელიც დაფიქსირებულია კავკასიური ენების ოჯახის ისტორიულად დადასტურებული წევრების ლექსიკაში.

ქართველურ და ახლოაღმოსავლურ ეთნოსებს შორის არსებულ ურთიერთობებს დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ქართველურ ტომთა ეთნოგენეზის პროცესის განვითარებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძვ. წ. III-II ათასწლეულებში ქართველური ეთნოსი წარმოგვიდგება როგორც ერთ-ერთი დამოუკიდებელი და მყარად ჩამოყალიბებული ეთნიკურ-ენობრივი ერთობა თავისი დამოუკიდებელი კულტურულ-ისტორიული ტერიტორიით. იგი არსებობდა არა იზოლირებული სახით,

არამედ როგორც მის თანადროულ ცივილიზაციებთან მჭიდროდ დაკავშირებული ეთნიკური ერთობა საკმაოდ განვითარებული ენობრივი სისტემით. ზემოაღნიშნულ ურთიერთობებს უნდა დაეჩქარებინა ქართველურ ტომთა საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, რომელიც, წინა ასიის დიდ ეთნოსებთან შედარებით, მაინც შენელებული ტემპით მიმდინარეობდა, რაც კარგად ჩანს ქართველურ ტომთა ტერიტორიაზე თუნდაც სახელმწიფოს ჩამოყალიბების შეყოვნებით.

Г. Гиоргадзе
Н. Хазарадзе

Этногенез грузинского народа и древневосточный этнокультурный мир

Авторы предлагаемой статьи, на основе данных лексики и грамматических систем картвельских и древневосточных языков (шумерский, хаттский, хеттский, хурритский, урартский, семитские языки), пришли к заключению, что регион расселения грузинского этноса на протяжении III-I тыс. до н. э. следует локализовать северо-восточнее и восточнее Анатолии и севернее северной Месопотамии, т.е. на юге и юго-западе Закавказья.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

Гамкрелидзе, Иванов, 1984 – Т.В. Гамкрелидзе, Вяч. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984.

გიორგაძე, 1999 – გ. გიორგაძე, ზოგიერთ ძველ-აღმოსავლურ ენასთან ქართველური ენების კონტაქტების საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში (მოკლე მიმოხილვა), "ენათმეცნიერების საკითხები", თბ., 1999, №3.

ნეიმანი, 1951 – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951.

კიკნაძე, 1977 – ზ. კიკნაძე, ბაბარი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1977, ტ. 2.

კიკნაძე, 1984 – ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, თბ., 1984.

Климов, 1964 – Г.А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

Меликишвили, 1954 – Г.А. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954.

ორბელიანი, 1949 – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

ორბელიანი, 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV_1, თბი., 1965.

Сванидзе, 1937 – А.С. Сванидзе, Материалы по истории алародийских племен, Тб., 1937.

Tseretheli, 1959 – M. Tseretheli, Das Sumerische und das Georgische, Bedi Kartlisa, Paris, 1959, N32-33.

Fähnrich, 1981 – Heinz Fähnrich, Das Sumerische und die Kartvelsprachen, Georgica, Jena-Tbilisi, 1981, N4.

ფენრიხი, სარჯველაძე, 1990 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

ჩიტაია, 1997 – გ. ჩიტაია, შრომები, ტ. I, თბ., 1997.

შარაშენიძე, 1983 – ჯ. შარაშენიძე, შუმერები და მათი კულტურა, თბ., 1983.

ჩიქობავა, 1938 – ა. ჩიქობავა, ჭანური-მეგრული-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ხაზარაძე, თოფურია, 2000 – ნ. ხაზარაძე, კ. თოფურია, ახლო-აღმოსავლური წარმომავლობის ქარ-თული ტექნიკური ტერმინოლოგიის ისტორიი-სათვის, საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო დარგების განვითარების ისტორიის საკითხებზე, თბ., 2000.

N. Khazaradze, T. Tsagareishvili

THE CULT OF SACRED TREE IN GEORGIA
(Mythological Parallels)

The identification of the ^{GIŠ}eja-, repeatedly referred to in the Telepinu myth, Hittite law (§50), and a number of ritual-mythological texts and documents has long been the subject of controverry and clash of opinions. At various times views have been advanced by: J. Friedrich, H. Güterbock, E. Laroche, V. Haas, S. Alp, C. Girbal, N. Bendukidze, V. Ivanov, G. Giorgadze, and others.

Some researchers indentify ^{GIŠ}eia- with fir, others with oak, and others translate it as "evergreen tree", without specifying the species.

In 1984 a new point of view was advanced in connection with the interpretation of ^{GIŠ}eia. Th. Gamkrelidze and V. Ivanov identified the ^{GIŠ}eia- of the Hittite written sources with yew (Taxus), conceptualizing it as the tree of the world.[1] This view is based on the following: I. According to Gamkrelidze and Ivanov, the *eḭ-//*oḭ- form is reconstructed for the designation of yew (Taxus) at the Common Indo-European level, phonetically being identical with eia-. The myths and rituals associated with the ^{GIŠ}eia- of Hittite sources evince considerable semantic affinity with those Indo-European (German, Norwegian, Saxon, Old Celtic) traditions related to the yew. Thus, in the German, tradition the evergreen yew was symbol of rebirth after death. In a poetic text written in Old Norse the yew is glorified as the greenest among the trees in winter. Anglo-Saxons planted the yew near graves, where it personified eternal life and resurrection from the dead. Old Celts also considered the yew a sacred tree.[2]

An attempt will be made below to demonstrate that the viewpoint advanced by Gamkrelidze and Ivanov, is supported by Georgian tradition as well.

However, before treating this aspect of the problem in hand, we shall review the evidence of Hittite written sources, which will enable a more or less precise reconstruction of Hittite beliefs and ideas with regard to this tree. From this point of view, one passage in a Hittite text has long been deserving attention, for it contains a significant characterization of the tree. The text, devoted to the description of the ritual of placing the hearth,says that among other objects and plants the ^{GIŠ}eia was set down, and the following was said: "(In the same way) as the ^{GIŠ}eia (is) always green and (its) leaves are not shed, let the King and the Queen also be "green!" Let thear word be also eternal!" (KUB, XXIX, 1, 4, 17-20).[3]

It is clear from this fragment that the ^{GIŠ}eia- in ques-tion is an evergreen plant. Furthermore, the ^{GIŠ}eia- in the Hittite conception symbolized eternity. The cited text contains one more point of interest, viz., that the ^{GIŠ}eia- was necessarity placed at the hearth.

A unique role is assigned to ^{GIŠ}eja- in the Telepinus myth. Here it figures in the final part of the myth, describing the homecoming of the God Telepinus who had walked away and lost himself in the steppe. The Hittite text (KUB, XII, 10; XXXIII, 2) says: "Telepinus came home to his house and cared (again) for his land... He let the sheep go to the fold, he let the cattle go to pen. The mother tended her child, the ewe tended her lamb, (25) the cow tended her calf. Also Telepinus tended the king and queen and provided them with enduring life and vigor. Telepinus cared for the king. A pole (^{GIŠ}eja-) was erected before Telepinus and from this pole the fleece of a sheep was suspende. It signifies fat of the sheep, it signifies grains of corn (and) (30) wine, it signifies cattle (and) sheep, it signifies long yers and progeny.

It signifies the lamb's favorable message. It signifies fruitful breeze. It signifies... satiation..."

Thus, in a myth related to Telepinus - the dying and reviving god - ^{GIŠ}eia- is the sacred tree from which the sacred fleece was suspended. The fleece signifies fertility, progeny, long years, the revival of the king and the queen, and every favour. The special importanse of ^{GIŠ}eia- in the Telepinus myth is also indicated by the exclusive use of a logogram expressing the tree image to designate the proper name Telepinus in Hieroglyphic-Luwian writing[4].

We find ^{GIŠ}eia- in differing context as well. According to §50 of tablet of Hittite Laws, when the 11 th month set in the city of Arina the house of the person on whose gate ^{GIŠ}eia- appeared was exempted from the state duty[5]. This article of the Hittite code contains several important details. In the first place, it is clear that the ^{GIŠ}eia- was a symbol of immunity. We learn also that this symbol was placed on the gate of the house of the person granted immunity. Finally the significant evidence that the ^{GIŠ}eia- designated an evergreen tree, found in the above text devoted to the ritual of setting up the hearth, is corooborated. G. Giorgadze[6] has drawn attention to the fact that in the historical document of legislative character the appearance of the ^{GIŠ}eja- on the gate of the exempted person's house as the symbol signifying this act is timed to the 11 th month, which coincides with Jannuary-February of our calendar[7]. Now, in the indicated season only an evergreen plant can have preserved its greenness, excluding all leaf-bearing trees (the oak included)[8].

The ^{GIŠ}eia- in KUB, XIII, 8, 1-12, dealing with the grant-ing of immunity to the newly-established "stone house" (É. NA_4) from sahan and lutsi, also appears to signify freedom[9].

The foregoing warrants the conclusion that the ^{GIŠ}eia- was anevergreen tree, embodying eternity, inexhaustible vitality, fertility, progeny, dying and reviving nature and freedom.

As noted above, the point of view, advanced by Gamkrelidze and Ivanov, on the identification of the yew with the ^{GIŠ}eia- of Hittite sources is supported along with Indo-European mythological traditions by Georgian evidence as well.

The sacred tree and associated beliefs and ideas are known held an important place in the mythological reasoning of Georgian tribes. A number of studies have shown that the oak, lime, willow, ash, poplar, fir, pine, and other plants were considered sacred in different parts of Georgia[10].

Ethnographic research has demonstrated the existence of the cult of the evergreen yew in various parts of Georgia. The tree grows almost everywhere in Georgia. In Racha, Lechkumi-Imereti, and Guria it is called "urthkmela", in Achara - "mada", "urtkhmela" and "satila"; in Lower Racha - "tsutuli"; in Kartli - "urtkhli"; in Megrelia - "urtkheli"; in Svaneti - "urtkhel", "shaira"; in Mtiuleti - Gudamaqari - "urtkhli", and in Pshavi - "utkhovari"[11].

The Georgian peoples were aware of the chief characteristics of the species: durability, and slow growth. It must have been due to there botanical features of the plant that the yew had, from time immemorial, been the object of worship.

According to ethnographic evidence gathered in Mountainous Megrelia, the festival "Urtkhaoba" (from Georgian "urtkheli," "yew"), connected with yew, was held in spring.

A tall, one thousand-year old yew was chosen as the ritual tree. The tree was visited with offerings and prayers. It was entreated to grant all manner of good. The text of one such supplication runs thus: "God Allmighty, sacred tree given of strength! Give than to our people victory, progeny; make good our prayer and supplication, multiply our cattle, give us a bounty harvest, give us this day happiness, and do not reject our offering".

The festival of "urkhaoba" was attendedly the following ritual: The members of the family stood round the yew in the yard where the rite was performed. The male chief of the family would approach

the tree with an offering; putting it under the tree, he asked it to grant the family happiness and health. Then he broke off a twig and holding it, went round the tree times with prayers, three times strohing each member of the family with the twig and supplicating the tree to protect the family from an evil eye. This rite performed, the family returned home. The yard was again first entered by the head of the family. He hung the twig brought from the "urtkhelioni" ("yew yard") on the gate, smearing the gate with charcoal beforehand. Finally, the entire household entered the house and sat down to a festive meal. On the day following "urtkhaoba", early in the morning,before sunrise, the head of the house again went to the yew tree, broke off several twigs, smeared them with charcoal, fashioned the twigs into crosses and hung them on the doors of the outhouses in the orchard, vineyard, field, and kitchengarden. A year later the yew crosses had to be replaced with new ones. The old twig and the fallen needles were gathered and buried near the gate.

The yew twig figured also in the New Year cycle of festivities. It was believed that a yew twig fixed for gate or door would bring opulence and happiness to the family, and ward off an evil eye. As a rule the twig was hung by the head of the family. Some let the twig hung till the next New Year,others would remove it after a month, burying it at the gate. It was forbidden to throw out the yew twig. The peasants would the local landlords a happy new year by hunging a yew twig on the landlord's gate or door.

Other beliefs were also connected with yew as a sacred tree. Thus, in Mountainous Megrelia the yew was supplicated to grant their children victory and a progeny. A woman (mother) was the principal personage in this ritual. The supplicant women prepared for a visit to the yew night before. To bake the ritual loaves, they made the dough from maize coarse flour, adding yew needles to it. As soon as the moon appeared in the sky they baked cakes in the name of the sacred tree and the children. Then they went to the

tree, put the assigned cake under it, and prayed thus: "Thou mughty tree. my sacred tree, I have come to tree to supplicate happiness and health for my children." After the prayer-supplication, if the son attended the mother, the latter would blacken her hand with charcoal, then would first smear the tree, and then the son's forehead, letting him eat the cake baked for him. In case the child happened to be debilitated by illness as to preclude its walking to the sacred tree the mother would bring home a yew twig and fix it to the door of child's room. A week later, early in the morning, before sun rise, the mother again went to the tree and, neeling down to it, would pray: "Powerful God, life giving tree, powerful and mighty yew tree, accept my supplication for my child's health". She repeated this prayes three times, going round the tree on her knees thrice; she made the sign of the cross on the tree with her chsrred hand, then put her forehead against it in such a way that the image of the cross was impressed on her forehead. The woman returned home without uttering a word, went up to the child aud pressed her forehead against that of the child, so that now the image of the cross was impressed on the child's forehead.

An increase of progeny and sound health was suppli-cated of the sacred yew tree at the "Pertoba festival" as well, which was held on 29 June. The festival was held at the niche which was situated near a large and tall, 1000 year-old yew. Returning home, the supplicant brough with them a yew twig. Before the festival meal was laid the yew twig was passed three times across the cover of the family wine jar, with the following prayer: "On this Pertoba give us strength and progeny". The lid of the wine jar was raised as soon as the prayer was said.

In Mountainous Megrelia the yew was supplicated for aid and succour on ordinary days as well. They would go to the tree and set down an offering under it. It was forbidden to touch the offering. The suuplicant would take some ground in his hand, go round the tree thrice, addressing it thus: "Great power, thou destroy

one enemy and traitor, thou increase our progeny and gladden us. Give us power and strength. Let your protection ever attend my family and the fruit of my labour". This ritual was performed privately.

Traces of the yew cult have also been discovered in the ethnographic reality of Eastern Georgia. In Pshavi the tree was considered sacred. Under the direction of the chief khevisberi it was planted close to the shrine. As a rule the offering to the icon (sheep, goat) was hung on a special forked pole made of the yew tree.

In Pshavi the yew was also connected with the cult of the deceased; it was planted near graves. The tree played the principal role in the burial rite of a missing person. According to the custom prevalent in Pshavi, in erecting a cenotaph they would cut off a yew branch of the height of the missing person, and clothe and inter it according to all the burial rites.

The rendering of the yew sacred must have been facilitated by the rather strict taboo imposed on it in Pshavi. Although the Pshavs were well aware of the excellent economic qualities of the tree, they assiduously avoided using it in everyday economic life.

Thus, the evidence adduced gives a fairly clear picture of the chief mythological motifs of the beliefs and ideas related to the yew in Kartvelian tribes. In particular, it is found to symbolize might, omnipotence, life-giving power and purity (it will be noted that in the above prayers there often occur phrases like "Sacred tree", "life - giving tree", "powerful and omnipotent", "great power"). It also obvious from the texts of prayer-supplications and rituals that the yew was looked to as the source of the well being of the family, increase of progeny, health and victory, increase of livestock, bumper crop, plenty, happiness, revival of life, resurrection from the dead, vanquishing of the enemy and traitors, and protection from an evil eye. The various rites related to the yew highlighted the sacred significance of the yew branch and its

needles. As a rule the branch (twig) was fixed to the gate or to the door of the dwelling or of an outhouse.

A comparison of the Indo-European and Georgian traditions, related, on the one hand, to the ^{GIŠ}eia- of Hittite sources, and the yew, on the other shows an obvious semantic affinity, which seems to indicate a serious basis for the identification of ^{GIŠ}eia-with the yew.

REFERENCES

1. Gamkrelidze Th. V., Ivanov V. V., The Indo-European Language and the Indo-Europeans, II, Tbilisi, 1984, pp. 628- 631 (in Russian).
2. Ibid., p. 629.
3. Tatishvili I., The Hittite ritual of setting up the hearth (KUB XXIX, I, III, 37-IV-29). Arkeologiuri dziebani, Tbilisi, pp. 142-151.
4. Laroche. E., Les Hieroglyphes Hittites, Paris. 1952, N 151.
5. Giorgadze G., Hittite "immunity charters". Matsne (Ser. History), 1976, N, 4 p. 41. (In Georgian).
6. Giorgadze G., Interpretation of § 50 of the Hittite laws.
7. Friedrich J., Kammenhuber A., Hethitisches Wörterbuch- Lfr., 4, Heidelberg, 1979, p. 320.
8. Haas V., Bemerkungen zu^{GIŠ}eia-, AF, V, Berlin, 1977, S. 270.
9. Giorgadze G., Essays on the socio-economic History of the Hittite State, Tbilisi, 1973, pp. 30-32 (In Russian).
10. Lomia V., Towards the Tree Cult in Georgia, Bulletin of the Georgian SSR State Museum, 1927, v. 3, pp. 164-178. (In Georgian): Chitaia G., The motif of the tree of life in a Laz ornament, Enimkis moambe, 1941, X, pp. 301-320 (In Georgian); Bardavelidze V. V., Ancient religious beliefs and ritual graphic art of Georgian tribes, Tbilisi, 1957, pp. 55 ff. (In Russian); Ochiauri T., Mythological traditions in the mountainous areas of Eastern Georgia, Tbilisi, 1967, pp. 102 ff.; Rukhadze J., Concerning one religious festival in Svaneti, Dzeglis megobari, 1980, pp. 35-40 (in Georgian); Surguladze I., Symbols of Geor-gian folk ornament, Tbilisi, 1986, pp. 146 ff (In Georgian).
11. Tsagareishvili T., Monuments of the living nature. The Yew, Dzeglis megobari, 1983, pp. 5-8. (In Georgian); N. Khazaradze, T. Tsagareishvili, Georgian— Old-Anatolian Mythological Parallels, International Conference Dedicated to the 120th Birth Anniversary of Ivane Javakhishvili, The Caucasus in the Context of World History, Abstract of Papers, Tbilisi, 1996, p. 65-66; N.

Khazaradze, T. Tsagareishvili, Towards the Identification of the GIŠeia- of Hittiten Written Sources, Kavkasiur - Akhloagmosavluri Krebuli, IX, Tbilisi, 1998, p. 112- 119; N. Vachnadze, The System of Mentality and Moral Ideal of Georgian Society (5th-10th centuries), Tbilisi, 1998, p. 214- 245 (In Georgian).

წმინდა ხის კულტი საქართველოში

ავტორები ხეთურ წყაროებში მრავალგზის მოხსენიებული GIŠeia-თან და საქართველოში ურთხელთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების ანალიზისა და მათი ურთიერთშეჯერების გზით იმ საყურადღებო დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს რწმენა-წარმოდგენები, ფაქტობრივად, სემანტიკურ იდენტობას ავლენენ, რაც, თავის მხრივ, იმის მოწმობაა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს (თ. გამყრელიძე) ურთხელთან GIŠeia-ს გაიგივების შესახებ საკმაოდ სარწმუნო საფუძველი აქვს.

ნანა ხაზარაძე, ნანა ბახსოლიანი

ძალის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების ინტერპრეტაციისათვის

ძველ ანატოლიაში ძვ. წ. XVI საუკუნეში ხეთების მონათესავე ლუვიელების მიერ შექმნილი დამწერლობა 496 ნიშანს ითვლის. ლოგოგრამებითა და დეტერმინატივებით წარმოდგენილი იეროგლიფური ნიშნების ერთი ნაწილი ადამიანთან, მის სხეულთან, სოციალურ სტატუსთან, სხვადასხვა ქმედებებთან დაკავშირებულ ცნებებს ასახიერებს (მე, ადამიანი, თავი, ხელი, ფეხი, ტერფი, ქალი, დედა, ქალბატონი, დედოფალი, მეფე, დიდი მეფე, ბავშვი, ვაჟი, უფლისწული (ქალი, ვაჟი), ძმა, ძლიერი, მრისხანება, საუბარი, აღება, დადება, მიტანა, თაყვანისცემა, რიტუალის აღსრულება და ა. შ), მეორე – ცხოველებს (ძაღლი, ცხენი, სახედარი, ირემი, ხარი, ცხვარი...), მესამე – მცენარეებს (პურის თავთავი, ბროწეული, ყურძნის მტევანი, მარადმწვანე ხე...), მეოთხე – მნათობებს, ბუნების მოვლენებს, ლანდშაფტს (ცა, მზე, მთვარე, ექვსქიმიანი და მრავალსხივიანი ვარსკვლავები, ელვა, მიწა, დაბლობი, მთა, მდინარე, წყალი, წყაროს სათავე, აღმოსავლეთი...), მეხუთე – ნაგებობებს (ქალაქის ჭიშკარი, სასახლის ჭიშკარი, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, სასახლის და ტაძრის ფუნდამენტის სქემატური გამოსახულებები...), მეექვსე – საბრძოლო და შრომის იარაღებს, ავეჯს (საბრძოლო ეტლი, ბორბალი, სამეფო ტახტრევანი, სკამი-სავარძელი, მაგიდა, თითისტარი, საბეჭდავი...), მეშვიდე ჭურჭელს (დოქი, ფიალა), მერვე – სიმბოლოებს (ღვთაების, ქალღვთაების, მეფის, ქურუმის,

მოსამართლის აღმნიშვნელი სიმბოლოები, მეცხრე – ციფრებს, გეომეტრიულ ფიგურებს (1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 1000...). მეათე ჯგუფში ჯერჯერობით დაუდგენელი სემანტიკის იეროგლიფებს აერთიანებენ [1, 31].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა თავდაპირველად საკულტო დანიშნულების იყო. საკანცელარიო ლურსმულისაგან განსხვავებით, იგი მონუმენტურ რელიგიურ დამწერლობას წარმოადგენდა. გვიანხეთურ ხანაში (ძვ. წ. X-VIII სს.) ეს დამწერლობა სეკულარიზაციას განიცდის. ჩნდება სააღმშენებლო და მიძღვნითი წარწერები, ქარხემიშში (ჩრდილოეთი სირია) იწერება ისტორიული შინაარსის ტექსტები, ტყვიის ფირფიტებზე სრულდება სამეურნეო ხასიათის დოკუმენტები (კულულუ) [1, 8].

ისევე როგორც ლუვიური იეროგლიფების ცალკეული ნიშნები, ასევე ამ დამწერლობით შესრულებული ტექსტები გენდერის პრობლემასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის.

ქალის გამოსახულების ამსახველი იეროგლიფები რამდენიმე თვალსაზრისითაა საინტერესო. ისინი, უპირველეს ყოვლისა, საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ ძველანატოლიელი ქალის ანთროპოლოგიური იერსახე [2, 92]. მოყვანილი იეროგლიფური ნიშნები (ე. ლაროშისეული კლასიფიკაციით №15, 16, 79,[3, 9] ჰ. მერიჯისეული კლასიფიკაციით №13, 14, 288c [4, 181]) საკმაოდ ადეკვატურად ასახავენ ძველ ანატოლიელთა (ძვ. წ. II-I ათასწლეულები) იერსახეს. ეს მითუმეტეს ასეა, თუ გავითვალისწინებთ ხეთური და გვიანხეთური ხანის კულტურის ძეგლებზე დამოწმებულ

* მოყვანილი პირველი და მეორე ლუვიური იეროგლიფის ფონეტიკური წაკითხვა უცნობია, რაც შეეხება მესამეს, როგორც წესი, - it და nati- ფონეტიკური კომპლემენტები ახლავს.

ქალთა სახეებს, რომლებიც, უმთავრესად, პროფილშია წარმოჩენილი, ხასიათდებიან ნუშისებრი ფორმის თვალით, მკვეთრად გამოხატული ცხვირით, მცირე ზომის ტუჩებით, მოკლე ნიკაპითა და მაღალი ყელით. მოყვანილი იეროგლიფები, აგრეთვე, საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ძველანატოლიელი ქალის ვარცხნილობა და თავსაბურავის ფორმა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ დამწერლობის შემქმნელნი ქალებს საზოგადოებაში მისი ფუნქციის მიხედვით განასხვავებდნენ. ერთ შემთხვევაში ხაზგასმულია ქალის ფიზიოლოგიური ფუნქცია – დედობა, ხოლო მეორეში – სოციალური, თანაც გაბატონებული "ქალი"-"დედა" 0 სულხან-საბა ორბელიანის ტერმინოლოგიით საშვილოს [5, 64] სქემატური ნახატით აღინიშნება, "ქალბატონი" – ქალის გამოსახულებით, "დედოფალი" - "ქალბატონისა" და "დიდის" ცნებების ამსახველი ნიშნების ლიგატურით. აქვე დავძენთ, რომ ეს უკანასკნელი იეროგლიფური ნიშანი №363, როგორც წესი, მეფის აღმნიშვნელ შუმეროგრამასთან ერთად გვხვდება.

ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო დამწერლობაში მამაკაცების გამოსახულებიანი იეროგლიფური ნიშნებიც დასტურდება: (№1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10, 12, 19, 20, 21, 22) [2, 92-93], მაგრამ, როგორც წესი, ისინი, ძირითადად, არსებით სახელებს, ზმნებს, ნაცვალსახელებს და გრამატიკის სხვა ნაწილებს (ადამიანი, თავი, ქანდაკება, გმირი, კითხვა, ჭამა, დალევა, ლაპარაკი, მე) ასახიერებენ ⅄.

გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიური ტექსტების ანალიზი და ხეთური ხანის წერილობითი ძეგლების კონტექსტებთან მათი შედარება ერთმნიშვნელოვნად

გვიჩვენებს, რომ ქალის სტატუსი ძვ. წ. X-VIII საუკუნეებში არსებითადაა შეცვლილი. თუ ხეთურ საზოგადოებაში, როგორც ამაზე არაერთი მკვლევარი მიუთითებს (ქალი, დედოფალი, ქალბატონი, ქურუმი ქალი) საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსით სარგებლობდა, გვიანხეთურ ხანაში ამგვარ სიტუაციას ვერ ვადასტურებთ. როგორც წესი, ჩვენს ხელთ არსებული გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებული ყველა ტექსტი, მცირე გამონაკლისის გარდა, მამაკაცის – მეფის ან სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე მყოფი პირის სახელითაა შედგენილი. იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების გავრცელების არეალში (ძველი ანატოლიის გარდა, ჰინესი, ჰამათი, სიპილოსი, ყარაბელი, კვიპროსი, ირანი) აღმოჩენილი ძვ. წ. X-VIII საუკუნეებით დათარიღებული წერილობითი ძეგლები შემდეგი სტერეოტიპული ფრაზებით იწყება:

"მე ვარ იარირისი, დინასტიის მქონე, ჩემი მზე, კაცი.... ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მეტისმეტად სახელგანთქმული, ღვთაების საყვარელი...", "მე ვარ პანუნა, კაცი მზისგან განათებული...", "მე ვარ თარხუნაზი, მმართველი, თარხუვარას შვილი, მეფე ვარპალავას ვასალი... მმართველი", "მე ვარ კურთია... ასქუას შვილი, დიდად პატივცემული დასავლეთსა და აღმოსავლეთში", "მე ვარ კითივარა სოსტურას საყვარელი ვასალი...", "მე ვარ [x დაy] შვილი... ვასურმეს ვასალი...", "მე ვარ დიდი მეფე ვასურმე..., შვილი დიდი მეფე თუვანთისა". "მე ვარ ხალპარუნთია, მსაჯული, გურგუმის მეფე, შვილი მსაჯულისა მუვათალის" [6, 25, 45, 100, 106, 108, 116, 124, 127]. "მე (ვარ) P, Ati-ს შვილი, შვილიშვილი ნუნასი..", "მე ვარ ვარპალავა თუვანას მეფე, სამართლიანი, ღვთისმოსაე, შვილი...", "მე ვარ შარუვანა, სამართლიანი, Nahitia-ს ბატონი", "მე ვარ ჰაპიპა..", "მე ვარ თარხუვარა, საყვარელი

შვილი თარხუირმასი", "(ურ)თარხუ, მეფის ძმისწული... სულუმალის შვილი, მმართველი მალატიის", "მე ვარ უილიპისა, ბატონი...", "მე ვარ თარა, მალატიის მმართველი" [7,9, 11, 12, 24, 28, 36, 37, 38]

ხეთური ხანიდან განსხვავებით, ქალის გამოსახულება მრავლად არც გვიანხეთური ხანის კულტურის ძეგლებზე გვხედება. აქაც, როგორც წესი, ანალების და სხვა ტიპის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები მათი ავტორების – სამეფო-სამთავროთა მმართველების გამოსახულებებითაა დამშვენებული (ხართაფუ, აზითავათა, ვარპალავა, იარირისი, ქამანასი...).

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ ცნობილ 300-ზე მეტ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში, რომელთა უდიდესი ნაწილი გვიანხეთური ხანით თარიღდება, გამონაკლისის სახით მაინცაა დამოწმებული სამიოდე შემთხვევა, როდესაც წარწერის მთავარი მოქმედი პირი დედოფალი, ქალი, ქალბატონი და ცოლია. ასე მაგალითად, მალატიაში აღმოჩენილ ერთ-ერთ სტელაზე ვკითხულობთ ტერმინს დედოფალი – SALLUGAL, რომელსაც ერთ ხელში თასი, ხოლო მეორეში ქალღმერთ ქუბაბასათვის შესაწირი ძღვენი უპყრია (Malatya VI) [7, 55]. არანაკლებ საყურადღებოა, ბოიბეიპინარში აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები, რომელთაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწიეს. იგი კუმუხის ქვეყნის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის მმართველის – ხათუსილის დედას ეკუთვნის. წარწერა ძველაღმოსავლური მეფეების წარწერებისათვის დამახასიათებელი კრულვის ფორმულით მთავრდება. ხათუსილის დედა "ბრძანებს": "ვინც ამ ტახტრევანს და წარწერას სიძულვილით დაამსხვრევს, ვინც ჩემს მიერ ამოკვეთილ ჩემი ბატონის – თუხამის, პანამუვათის და შვილის – ხათუსილის სახელებს წაშლის, ის ცისა და მიწის

ბოროტების მფლობელი გახდება" (Boybeypinari I, II) [7, 75-83].

ყურადღებას ერთ-ერთი გვიანხეთური ხანის სამთავროს - გურგუმის (დღევ. მარაში) მმართველის მეუღლის სტელაზე ამოკვეთილი წარწერაც იმსახურებს. იგი ქალღვთაება ქუბაბასადმი შესაწირის მირთმევის სცენას ასახავს. მიძღვნითი წარწერა ასე იკითხება: "მე ვარ თარხუნთივასტი, აიმის ცოლი..." [7, 84].

ჩატარებული კვლევა-ძიება, რომელიც, ფაქტობრივად, პირველად ხორციელდება, ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენებს დროში ქალის საზოგადოებრივი სტატუსის ცვალებადობას, კერძოდ, გვიანხეთურ ხანაში არსებულ გენდერულ დისბალანს ხეთური ხანისაგან განსხვავებით, გვიანხეთური ხანის საზოგადოებაში ქალთან შედარებით მამაკაცის როლის მნიშვნელობის გაზრდას. ჩვენი ვარაუდით, ქალის სტატუსის დაქვეითებას ძვ. წ. X-VIIIსს. ობიექტური საფუძველი გააჩნდა. საქმე ისაა, რომ ხეთების იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი წვრილი სამეფო-სამთავროები (მუშქების ქვეყანა, თაბალი, ხილაქუ, ქუე, მელიდუ-ქამანუ, ქარხემიში, გურგუმი, კუმუხი) პირისპირ აღმოჩნდნენ ისეთი დიდი და ძლიერი იმპერიის წინაშე, როგორიც ასურეთი იყო. სამთავროების პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ამ სამეფოების მესვეურებს თავდაცვა პერმანენტულად უწევდათ და ამ მიზეზით, ბუნებრივია, ქალის სტატუსი უკანა პლანზე უნდა აღმოჩენილიყო. ამ თვალსაზრისით, ისიც არაა შემთხვევითი, რომ გენდერული დისბალანსი გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა პანთეონშიც აისახა. ხეთური ხანისაგან განსხვავებით, პანთეონში უზენაესი ღვთაების სტატუსი მზის ღვთაების ნაცვლად ამინდის, ნაყოფიერების და ომის ღვთაება თარხუნთასმა დაიკავა. უფრო მეტიც, მამრი ღვთაების თარხუნთასის უპირატესობა ძვ. წ. X-VIII სს-ის მეფე-მთავართა

ტიტულატურაშიც აისახა. სამეფო ხელისუფლების გენეზისის იდეაც მდედრი მზის ღვთაების ნაცვლად თარხუნთასს დაუკავშირდა.

დამოწმებული პირველწყაროები და ლიტერატურა

1. ნ. ხაზარაძე, ლუვიური იეროგლიფების სამყაროში თბილისი, 2006.

2. Дунаевская И. М. Язык Хеттских Иероглифов, Москва, 1969.

3. Laroche E., Les hiéroglyphes hittites, I, Paris, 1960.

4. Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, Wiesbaden, 1962.

5. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი, 1993.

6. Meriggi P. Manuale di Eteo Geroglifico, Parte II: Testi-1a Serie, Roma, 1967.

7. Merrigi P., Manuale di Eteo Geroglifico, Parte II: Testi – 2a E 3a Serie, Roma, 1975.

8. ხაზარაძე ნ., ბახსოლიანი ნ., ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბილისი, 2012.

Nana Khazaradze, Nana Bakhsoliani

TOWARDS INTERPRETATION OF LUWIAN HIEROGLYPHS DENOTING WOMAN

The study from the viewpoint of gender of hieroglyphic Luwian signs and Hittite and Late Hittite texts executed in the hieroglyphic Luwian script leads the authors to the conclusion that the gender balance existing between men and women in the Hittite society experiences variations in the Late Hittite period. Men's role in public life increases considerably. The same is observable in the pantheon of the Late Hittite communities, where in the rank of the supreme deity the place of the sun deity is occupied by Tarhunt - the deity of weather, fertility and war. Moreover, the advantage of the male deity Tarhunt was also reflected in the titles of the kings and princes of the 10th-8th cc. BC. The idea of the genesis of the royal power was linked with Tarhunt, instead of a female deity [8, 90]. In the authors' view, the reason of this process must be sought for in the political history of the communities of the Late Hittite period.

ნანა ხაზარაძე, ნინო მინდაძე

გელასი კესარიელის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის

ცნობილია, რომ 1914 წლამდე ქართლის მოქცევის ისტორიის უძველეს ბიზანტიურ წყაროდ რუფინუსის (IV-V სს.) "საეკლესიო ისტორია" იყო მიჩნეული. 1914 წელს ანტონ გლასმა დაასაბუთა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, რუფინუსს ქართველთა მოქცევის ამბავი 395 წელს გარდაცვლილი ბერძენი ავტორის გელასი კესარიელის "საეკლესიო ისტორიიდან" ჰქონდა ნასესხები და ლათინურად ნათარგმნი. მიუხედავად იმისა, რომ გელასი კესარიელის თხზულება V ს-ის ბოლოს მოღვაწე კომპილატორის, გელასი კვიზიკელის ნაშრომის საშუალებითაა ჩვენამდე მოღწეული, იგი მაინც რუფინუსის "საეკლესიო ისტორიის" პირველ-წყაროდაა აღიარებული.[1]

ამჯერად გელასი კესარიელის "საეკლესიო ისტორიაში" შემონახული ერთი ცნობა გვაინტერესებს, რომელიც ქართლის მოქცევის შესახებ თხრობისას გვხვდება.

როგორც დავინახავთ, ამ ცნობამ ჩვენამდე ბიზანტიურ და ძველქართულ წერილობით წყაროებში ვარიანტების სახით მოაღწია.

გელასი კესარიელი გვამცნობს: "მაგრამ რადგან იმათში (იბერებში – ნ.ხ., ნ.მ.) ჩვეულება იყო, რომ თუ ვისმე ბავშვი გაუხდებოდა ავად, ყველა იქაურებს მოიელიდა და ყველას თხოვდა დახმარებას, - მოხდა [ეხლაც ისე], რომ ერთი ქალი, რომელიც ამ მიზნით

[1] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 186 და შმდ.

კარი-კარ დადიოდა, ამ ტყვე-ქალთანაც მოვიდა. ხოლო ამან მიმართა ქალს, რომელიც კარებში იდგა ბავშვით ხელში, და უთხრა: "მე ვერ შევძლებ ეუშველო ბავშვს; ქრისტეს კი, რომელზედაც ხშირად მილაპარაკია თქვენთან, ვიცი, შეუძლია მკვდრებიც აღადგინოს და მიტოვებულთ განკურნება არგუნოს". ხოლო ბავშვის დედა ემუდარებოდა ტყვე-ქალს. მაშინ ამან, აღძრულმა სიბრალუ-ლით მთხოვნელის მიმართ, თავის გარესამოსში გაახვია ბავშვი, შეავედრა ღმერთს და განკურნებული გადასცა იგი დედას".[2]

რუფინუსი გელასი კესარიელის მოყვანილ ცნობას მხოლოდ ნაწილობრივ იმეორებს. იგი წერს: "ამბობენ, რომ იმათში ჩვეულება იყო, რომ თუ [ვინმეს] ბავშვი გაუხდებოდა ავად, დედა ჩამოატარებდა მას სათითოოდ ყველა სახლში, რათა, თუ ვინიცობაა ვინმეს ეცოდინებოდა რაიმე გამოცდილი საშუალება, დახმარებოდა გაჭირვე-ბულს. და როდესაც ერთმა ქალმა თავისი ბავშვი, ჩვეულებისამებრ, ჩამოატარა ყველასთან, და ისე მოათვალიერა ყველა სახლი, რომ ვერავითარი წამალი ვერ მიიღო, [ბოლოს] მივიდა აგრეთვე ტყვე-ქალთან, რათა მას მიეთითებინა, თუ რამე საშუალება იცოდა.

ტყვე-ქალმა განუცხადა, რომ მან ადამიანური რამ საშუალება არაფერი იცის, მაგრამ არწმუნებს მას, რომ მის ღმერთს ქრისტეს, რომელსაც იგი თაყვანს სცემს, შუძლია მიანიჭოს მას ხსნა, რომლის იმედი ადამიანებს გადაუწყდათ. და მის შემდეგ, რაც მან ბავშვი დადვა თავის გარესამოსზე და ზედ უფლისადმი ვედრება შეწირა, გამოჯანმრთელებული ბავშვი უკან დაუბრუნდა დედას".[3]

შემდეგი ავტორი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება, თეოდორიტე კვირელია (393-457/8 წწ.).

---

[2] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1961, გვ. 186-187.

[3] იქვე, გვ. 201-202.

გელასი კესარიელისა და რუფინუსისაგან განსხვავებით, იგი ავადმყოფი ბავშვის კარდაკარ შემოტარების გავრცელებულ ჩვეულებას იბერების სამკურნალო ცოდნის დაბალ დონეს მიაწერს: "რადგან ბარბაროსები (იგულისხმება იბერები – ნ.ხ., ნ.მ.) სამკურნალო მეცნიერების ცოდნას მოკლებული იყვნენ, ავად რომ გახდებოდნენ, ჩვეულებრივ ერთმანეთ'ში დადიოდნენ, რომ უკვე იმ ავადმყოფობა-მოხდილთაგან და გამომრთელებულთაგან ესწავლათ, თუ როგორ გამოჯანმრთელებულიყვნენ".[4]

სოკრატე სქოლასტიკოსთან (380-440 წწ.) დამოწმებული ჩვენთვის საინტერესო ცნობა რუფინუსისეულს უახლოვდება, იმ განსხვავებით, რომ ავადმყოფი ბავშვი აქ მეფის შვილადაა წარმოდგენილი: "მოხდა ისე, რომ მეფის შვილი, მცირეწლოვანი, ავად გახდა. და, ადგილობრივი ჩვეულებისდა თანახმად, მეფის ცოლმა სხვა ქალებთან გააცანა ბავშვი სამკურნალოდ, იქნებ ვინმემ გამოცდილებით რაიმე საშუალება იცოდეს ამ სენის წინააღმდეგო. ასე ჩამოატარა ბავშვი ძიძამ, მაგრამ ვერც ერთმა ქალმა ვერ აღმოუჩინა სამკურნალო დახმარება; ბოლოს, ბავშვი მიიყვანეს იმ ტყვე ქალთან. ამან, მრავალი ქალის თანდასწრებით, ნივთიერი რამ საშუალება კი არ იხმარა, - არც იცოდა ასეთი, - არამედ აიყვანა ბავშვი, მიაწვინა თავის, მატყლისაგან მოქსილ ქეჩაზე და შემდეგი მარტივი სიტყვა წარმოსთქვა: "ქრისტე, რომელმაც მრავალი განკურნა, მოარჩენს ამ ბავშვსაც". ამ სიტყვების შემდეგ რომ ილოცა და ღმერთს შეევედრა, ბავშვი მაშინვე გამომთელდა და ამის შემდეგ კარგად გრძნობდა თავს".[5]

სოკრატე სქოლასტიკოსის ცნობას ერმია სოზომენე (V ს.) ავსებს: "ამ დროს, - ამბობს ავტორი, - მოხდა ისე,

[4] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1961, გვ. 210.

[5] იქვე, გვ. 230-231.

რომ მძიმედ გახდა ავად ერთი ბავშვი; დედა დაატარებდა [ავადმყოფ ბავშვს] კარი-კარ და აჩუენებდა [ხალხს]. იბერებს ჩვეულებად აქვთ ეს [იმ მიზნით] რომ, იქნებ ვინმე იპოვონ ამ ავადმყოფობის მკურნალი, და ამით გაუადვილდეს მაშერალთ ტკივილისაგან განთავისუფლება".[6]

ბუნებრივია, იბადება კითხვა, როგორია ამ მხრივ ძველი ქართული წერილობითი წყაროების ავტორთა პოზიცია?

"მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შატბერდისეულ ნუსხაში ქართლში გავრცელებულ ჩვენთვის საინტერესო ჩვეულებაზე არაფერია ნათქვამი. ნინოს ცხოვრების არსენისეულ ვერსიაში კი, შატბერდისეულისაგან განსხვავებით, განკურნების მიზნით, ავადმყოფი ბავშვის კარდაკარ ჩამოტარების ჩვეულების ამსახველი ცნობის სრული ვარიანტი დასტურდება. იგი გვამცნობს: "ესევითარითა მოღუაწებითა დაადგრა ადგილსა მას, შორის მაყუალთა, ექუს წელ, ხოლო ვინაჲთგან წარმართნი იგი მკურნალობისა ჭელოვნებასა უმეცარ იყვნეს და სიმრავლითა სნეულთაჲთა აღსავსე, ამისთჳსცა ურთიერთას მივიდოდეს და სნებისაგან სიმრთელედ შეცვალებისა მისგან სახესა თჳსთა სნეულთა კურნებისასა ისწავებდეს. ამისთჳსცა კაცისა ვისმე წარჩინებულისა ძე სნეულ იყო და მიეცა მის მიერ ღირსსა ნინოს, რაჲთა წარიყვანოს და იძიოს სხუათაგან სახე კურნებისა მისისაჲ. ხოლო ნეტარმან მან ყრმაჲ იგი მიიქუა და წარიყვანა და თჳსსა, ცხედარსა მიაწვინა. და ევედრა ღმერთსა, ყოველთა დამბადებელსა, განჴსნად და შეცვალებად იგი სნეულებისა მისგან..."[7]

---

[6] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1961, გვ. 210., გვ. 236.

[7] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.), თბ., 1971, გვ. 25.

არსენისეულისაგან განსხვავებულია ლეონტი მროველის თხზულებაში არსებული ვერსია. ჩვენთვის საინტერესო ჩვეულებას იგი მედიცინაში არა ქართველთა უმეცრებით ხსნის, არამედ ყმაწვილის დაავადების სიმძიმით. ლეონტი მროველი აღნიშნავს: "და იყო ესრეთ სამ წელ, ვინაცა განაცხადა ქადაგება ქრისტესი და დაიმოწაფნა მრავალნი (იგულისხმება ნინო – ნ.ხ., ნ.მ.). მაშინ იყო ვინმე ყრმა-წული, უფალი მძიმისა სენისა, და მიმოაქუნდა დედასა მისსა კარითი-კარად, რათამცა პოვა მეცნიერი ვინმე კურნებისა, და ჰყომცა სარგებელი მისი. და შეისწავეს იგი ყოველთა და არაოდეს პოვეს სარგებელი კურნებისა ყრმისა მისთჳს. და მკურნალთაცა რქუეს დედაკაცსა მას, ვითარმედ: "არა სარგებელ ეყვის ყრმასა მაგას". ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, გულფიცხელი, და მარადის სძაგებნ სჯულსა ქრისტიანეთასა, და აყენებდის სხუათაცა მისვლად და კითხვად წმიდისა ნინოსა, ხოლო ვითარცა სასოწარკუეთილ იქმნა მკურნალთა მიერ, მოვიდა და დავარდა წინაშე წმიდისა ნინოსსა, და ევედრებოდა კურნებასა ყრმისასა. მაშინ რქუა წმიდამან ნინო: "კურნება, რომელი კაცთაგან არს, მე არა რა ვყო; ხოლო ღმერთმან ჩემმან ქრისტემან მოსცეს ყრმასა მაგას კურნება, რომელი ყოველთაგან განწირულ არს". და რომელსა კილიკსა ზედა მარადის ილოცავნ წმიდა ნინო, მას ზედა დადება უბრძანა ყრმისა მის, და იწყო ვედრებად ღმრთისა მიმართ. და მასვე ჟამსა განკურნა ყრმა იგი და განცოცხლებული მისცა დედასა მისსა. ხოლო დედამან ყრმისამან აღიარა ქრისტე და თქუა: "არა არს სხუა ღმერთი თუნიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ნინო". და დაემოწაფა წმიდასა ნინოს, და შეუდგა კუალსა მისსა, და ადიდებდა ღმერთსა".[8]

დაბოლოს, ჩვენთვის საინტერესო ცნობა ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს დაცული: "იყო ვინმე ყრმა-წული

[8] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 103-104.

უფალი მძიმისა სენისა და მიმოაქუნდა დედასა, რათა განჰკურნოს. ესე იყო ყოვლადმოძულე ქრისტიანობისა; არამედ რა უსასო იქმნა მკურნალთაგან, მოვიდა წინაშე ნინოსა და ევედრა, ხოლო წმინდანმან დადვა კილიკსა ზედა თუსსა, ულოცა და აღადგინა და მისცა დედასა თუსსა, ამისთუს დედამან ყრმითურთ აღიარა ქრისტე და მადლობდა ღმერთსა"[9].

თუ განხილული ბიზანტიური და ქართული წერილობითი წყაროების მონაცემებს ურთიერთს შევუდარებთ, დავინახავთ, რომ "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შატბერდისეული ნუსხის ავტორისაგან განსხვავებით, ყველა დანარჩენი (გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ერმია სოზომენე, არსენ ბერი, ლეონტი მროველი, ვახუშტი ბატონიშვილი) ერთხმად ადასტურებს ქართლში (იბერიაში) ავადმყოფი ბავშვის კარდაკარ ჩამოტარების ჩვეულებას. თუმცა როგორც დავინახეთ, მოხსენიებული ავტორები ამ ჩვეულების სხვადასხვა ინტერპრეტაციას გვთავაზობენ.

ზემოაღნიშნულ კონტექსტში ორი საკითხია განსაკუთრებით საინტერესო. პირველი გელასი კესარიელის ცნობის პირველწყაროს ეხება, მეორე – გელასი კესარიელისა და მისი მიმდევრების ცნობების რეალურ-ისტორიულ ღირებულებას.

---

[9] ქართლის ცხოვრება, IV, თბ. 1993, გვ. 84; აქვე 'ენდა ითქვას, რომ მოვსეს ხორენაცი ჩვენთვის საინტერესო ჩვეულების შესახებ არაფერს ამბობს. იგი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ "სანატრელმა ნუნემ" (წმ. ნინომ)... დიდი გულმოდგინების წყალობით შეიოვისა მკურნალობის ხელოვნება და მრავალი სნეული მოარჩინა, სავსებით (განკურნა) ქართველთა წინამძღოლის, მირიანის ცოლიც. მაშინ ჰკითხა მას მირიანმა თუ რა ძალის მეოხებით ჩადის ამგვარ საოცრებებს [ნუნემ კი] ამა'ზე ქრისტეს სახარების ქადაგებით უპასუხა". იხ. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ. თბ., 1984, გვ. 170-171.

ჩვენთვის საინტერესო ცნობის პირველწყაროს საკითხი. ბუნებრივია, ქართლის მოქცევის შესახებ ქართული და ბიზანტიური წყაროების ურთიერთმიმართების შედარებითი კვლევის შედეგად შეიძლება გადაწყდეს. ამ თვალსაზრისით კი, შემდეგია გასათვალისწინებელი: ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ არგუმენტირებული თვალსაზრისი არსებობს გელასი კესარიელისა და რუფინუსის თხზულებაში მოთხრობილი ქართლის მოქცევის ამბის პირველწყაროს შესახებ. მ. ჩხარტიშვილმა ქართული, ბიზანტიური და სომხური წერილობითი წყაროების ანალიზის გზით აჩვენა, რომ "ფრიად სარწმუნო ბაკურს", რომელსაც გელასი კესარიელი და რუფინუსი ქართლის მოქცევაზე საუბრისას[10] იმოწმებენ, "სახელდახელოდ კი არ შეუთხზავს იბერთა მოქცევის ისტორია, არამედ წინასწარ მოფიქრებულ, საგანგებოდ შემუშავებულ ისტორიას ჰყვებოდა"[11].

მკვლევრისათვის აშკარაა, რომ ბიზანტიელი ავტორების ჩვენთვის საინტერესო ვერსიების პირველწყარო მაინცდამაინც ადგილობრივი ქართული ვერსიაა, რომელიც ბიზანტიაში ბაკურის ყოფნის დროისათვის (IV ს-ის მეორე ნახევარი) წერილობით უკვე გაფორმებული იყო[12]. მ. ჩხარტიშვილისავე თანახმად, "ნინოს ცხოვრების" ციკლის ყველაზე ადრეული ტექსტები ქართლის მოქცევის თანადროული უნდა იყოს. V ს-ის მეორე ნახევარში კი, მათ ბაზაზე თვისებრივად ახალი ნაწარმოები "მოქცევაჲ ქართლისაჲ" შეიქმნა, რომელშიც "ნინოს ცხოვრების" ციკლის ორი შტო გაერთიანდა[13].

---

[10] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 170-171.

[11] ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰაგიოგრაფიული წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, "ცხოვრება წმიდისა ნინოისი", თბ., 1987, გვ. 46-47. იქვე იხ. მითითება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე.

[12] ჩხარტიშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[13] იქვე, გვ. 92

თუ მ. ჩხარტიშვილის მიერ გამოთქმული ამ თვალსაზრისიდან ამოვალთ, მაშინ, ბუნებრივია, რომ გელასი კესარიელთან დამოწმებული ცნობა იბერიაში გავრცელებული ჩვეულების შესახებ კარდაკარ ავადმყოფი ბავშვის შემოტარებისა, ქართლის მოქცევის ისტორიის ამსახველი ადრეული ტექსტებიდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შატბერდისეულ ნუსხაში ცნობა ქართლში გავრცელებული ამ ჩვეულების შესახებ არ მოწმდება.

ახლა თავად ჩვენთვის საინტერესო ჩვეულების შესახებ. ნათელია, რომ იბერიაში გავრცელებული ჩვეულების თემას როგორც ბიზანტიურ, ასევე ქართულ წერილობით წყაროებში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. საქმე ისაა, რომ როგორც "ფრიად სარწმუნო ბაკურის" პირველწყაროს ავტორს, ასევე მასზე დამოკიდებულ გელასი კესარიელსა და რუფინუსს, უპირველეს ყოვლისა, მიზნად აქვთ დასახული ხაზი გაუსვან ნინოს "კურნების ნიჭს", თვალნათლივ დაგვანახონ, რომ მან შეძლო განეკურნა ბავშვი (ვარიანტი – უფლისწული) და დედოფალი, რომელთაც "ადამიანურმა საშუალებებმა" ვერ უშველეს. ეს მოტივი უკლებლივ ყველა ზემომოტანილ ცნობაში მოწმდება. ნინო, როგორც წესი, აღნიშნავს: "მე ვერ შევძლებ ვუშველო ბავშვს; ქრისტეს კი, რომელზედაც ხშირად მილაპარაკნია თქვენთან, ვიცი შეუძლია მკვდრებიც აღადგინოს და მიტოვებულთ განკურნება არგუნოს" (გელასი კესარიელი), ან "ტყვექალმა განუცხადა, რომ მის ღმერთს ქრისტეს, რომელსაც იგი თაყვანს სცემს, შეუძლია მიანიჭოს მას ხსნა, რომლის იმედი ადამიანს გადაუწყდა" (რუფინუსი) და ა.შ.

მ. ჩხარტიშვილი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ქართლის მოქცევის შესახებ ბაკურის მონათხრობში წარმოდგენილი ფაქტები ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის თვალსაზრისით სტერეოტიპურია, ნაწილი კი, სათავეს უშუალოდ სახარებიდან იღებს. კერძოდ, ასეთია,

მკვლევრის აზით, "კურნების ნიჭის" თემაც, რომელიც სახარების შესაბამისი მოტივის გამოძახილი უნდა იყოს[14]. როგორც ჩანს, ცნობა კარდაკარ ავადმყოფი ბავშვის ჩამოტარების იბერიაში არსებული ჩვეულების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, ნინოს "კურნების ნიჭის" ხაზგასმის მიზნითაა ტექსტში შეტანილი. მიუხედავად ამისა, ამ ცნობას რეალური საფუძველიც უნდა ჰქონოდა და იგი განსაკუთრებით საინტერესო ქართული მედიცინის ისტორიის თვალსაზრისითაა. როგორც აღვნიშნეთ, ყველა აეტორი, ბიზანტიელი თუ ქართველი, რომელიც ქართლის მოქცევას ეხება, გვაუწყებს, რომ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით ავადმყოფის კარდაკარ ჩამოტარება იბერების ძველ ჩვეულებას წარმოადგენდა.

რა შეიძლება ითქვას ამ ჩვეულების შესახებ. მსგავსი ტრადიცია, ფუნქციურად იგივე, ოდნავ განსხვავებული ფორმით, ჰეროდოტესაც აქვს დადასტურებული ბაბილონში: "ხოლო სიბრძნის მიხედვით მეორე ადგილი უჭირავს მათ'ში (ბაბილონელებში – ნ.ხ., ნ.მ.) დამკვიდრებულ შემდეგ წესს. ავადმყოფები გამოჰყავთ მოედანზე, რადგან მკურნალები მათ საერთოდ არ ჰყავთ, ავადმყოფთან მოდიან სხვადასხვა პირები და ეთათბირებიან მას ავადმყოფობის შესახებ. მოსულთა შორის არიან ისეთები, რომელთაც ან თვითონ გადაუტანიათ ის, რაც ავადმყოფს სჭირს, ანდა უნახავთ სხვა, რომელსაც სჭირვებია იგივე სენი. მოსულები ამის შესახებ ლაპარაკობენ და ურჩევენ ავადმყოფს იმას, რაც თვითონ გაუკეთებიათ და გადარჩენილან მსგავსი ავადმყოფობისაგან, ანდა სხვა უნახავთ, რომელიც გადარჩენილა. მათთვის არ შეიძლება ავადმყოფის გვერდით ჩუმად ჩავლა, რომ არ შეეკითხონ მას თუ რა ავადმყოფობა სჭირს"[15].

---

[14] ჩხარტიშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

[15] ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა და საძიებლები დაურთო ო. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1975, ტ. I, გვ. 109-110.

როგორც ვხედავთ, ჰეროდოტე ბაბილონელთა ამ ტრადიციას იმით ხსნის, რომ "მათ" ე.ი. ბაბილონელებს მკურნალები საერთოდ არ ჰყავდათ. საინტერესოა, რომ თეოდორიტე კვირელი სწორედ ამ არგუმენტით ასაბუთებს იბერებში აღნიშნული წესის არსებობას: "რადგან ბარბაროსები (იგულისხმება იბერიელები – ნ.ხ., ნ.მ.) სამკურნალო მეცნიერების ცოდნას მოკლებულები იყვნენ, ავად რომ გახდებოდნენ, ჩვეულებრივ ერთმანეთში დადიოდნენ, რომ უკვე ავადმყოფობა-მოხდილთაგან და გამოჯანმრთელებულთაგან ესწავლათ, თუ როგორ გამოჯანმრთელებულიყვნენ"[16].

ამგვარად, როგორც ჰეროდოტე, ისე თეოდორიტე კვირელი აღნიშნული ტრადიციის არსებობას ამა თუ იმ ხალხში სამედიცინო ცოდნისა და სამკურნალო საქმიანობის დაბალ დონეს უკავშირებენ.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ თეოდორიტე კვირელი, როგორც ჩანს, არ ითვალისწინებს, ან არ იცნობს ბერძნულ მითოლოგიაში თუ მწერლობაში არსებულ მონაცემებს მედეას საქმიანობის, მისი სამკურნალო მცენარეების ბაღის შესახებ და ანტიკურ ავტორთა სხვა ცნობებს, თუნდაც პლინიუსის "ბუნების ისტორიაში" არსებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით იბერიაში "საუკეთესო კამის წვენს ამზადებდნენ, რომელსაც თაფლს უმატებდნენ და საუკეთესო მალამოს აკეთებდნენ"[17].

მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ჰ. სიგერისტი კომენტარს უკეთებს ჰეროდოტეს ზემომოყვანილ ცნობას და აღნიშნავს, რომ არ შეიძლება იმის თქმა თითქოს ძველ ბაბილონში საერთოდ არ ჰყავდათ მკურნალები. ჰეროდოტეს ეს შეხედულება ეგვიპტის ფონზე შეექმნა, სადაც მრავალი სხვადასხვა სპეციალობის ექიმი მოღვაწეობდა. ჰ. სიგერისტის აზრით,

[16] გეორგიკა, I, 1961, გვ. 187.

[17] Ган К., Известия древних греческих и римских писателей о Скифии и Кавказе. 1864, გვ. 112.

ასეთი ჩვეულება ძველი აღმოსავლეთის ღარიბ მოსახლეობაში იყო გავრცელებული[18].

ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვიზიარებთ და აღვნიშნავთ, რომ იბერების ეს ძველი ტრადიცია შემორჩენილი იყო მოსახლეობის დაბალ სოციალურ ფენაში, ხოლო მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები მაღალ-პროფესიონალ მკურნალთა მომსახურებით სარგებლობდნენ, რასაც ლეონტი მროველის ცნობაც ადასტურებს: "მაშინ დედოფალი ნანა შევარდა სენსა დიდსა და მწარესა, რომლისა კურნება ვერავინ შეუძლო, რამეთუ ყოველთა **ჭელოვანთა მკურნალთა** (ხაზი ჩვენია) წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი და ვერ შესძლეს ყოველთა კურნება მისი, უღონო იქმნეს და სასოწარკუეთილ"[19].

როგორც მედიცინის ისტორიის ქართველი მკვლევრები აღნიშნავენ, ის გარემოება, რომ "ჭელოვანი მკურნალი" უმთავრესად მეფეს და მის მახლობლებს მკურნალობდა, იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ხელოვანი მკურნალი, ალბათ, სამკურნალო საქმეში დახელოვნებული, დაოსტატებული ექიმის ეპითეტი იყო. გამორიცხული არ არის ვიფიქროთ, რომ ხელოვანი მკურნალი[20] ექიმის მაღალ რანგზე მიუთითებდეს, ე.ი. "ჭელოვანი მკურნალი" პროფესიონალს, თავის საქმეში დაოსტატებულს, დახელოვნებულს წარმოადგენდა და შესაბამისად მაღალ არისტოკრატიულ წრეს ემსახურებოდა. ხოლო დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები პროფესიონალ მკურნალთა მომსახურებით ვერ სარგებლობდნენ, მათ, როგორც ჩანს, ემპირიული ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი, მედიცინაში გათვითცნობიერებული პირები მკურნალობდნენ. სწორედ ასეთი,

---

[18] Sigerist H. A., History of Medicine, Oxford, 1951, გვ. 425.

[19] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 104.

[20] სააკაშვილი მ., ბელაშვილი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, თბ., 1956, გვ. 173.

მკურნალობაში გამოცდილი, პირის მოძებნის ანდა მისგან კონსულტაციის მიღების მიზნით დაჰყავდათ ავადმყოფები კარდაკარ. თეოდორიტე კვირელისა და სოკრატე სქოლასტიკოსის ზემოთ მოყვანილი ცნობები ამაზე პირდაპირ მიუთითებს. თეოდორიტე კვირელის მიხედვით: "ბარბაროსები (ე.ი. იბერები – ნ.ხ., ნ.მ.)... ავად რომ გახდებოდნენ, ჩვეულებრივ ერთმანეთში დადიოდნენ, რომ უკვე **ავადმყოფობა-მოხდილთაგან** და **გამომრთელებულთაგან** ესწავლათ თუ როგორ გამოჯანმრთელებულიყვნენ"[21]. სოკრატე სქოლასტიკოსის მიხედვითაც: "მეფის ცოლმა სხვა ქალებთან გაატანა ბავშვი სამკურნალოდ, იქნებ ვინმემ **გამოცდილებით** რისიმე საშუალება იცოდეს ამ სენის წინააღმდეგ"-ო[22].

ამ შემთხვევაში რომ ემპირიულ სამკურნალო ცოდნაზეა ლაპარაკი, არსენ ბერის შემდეგი ინფორმაციაც მიუთითებს: "ხოლო ვინაჲთგან წარმართნი იგი **მკურნალობისა ჭელოვნებასა** უმეცარ იყვნეს და სიმრავლითა სნეულთაჲთა აღსავსე, ამისთჳსაცა **ურთიერთას მივიდოდეს და სნებისაგან სიმრთელედ შეცვალებისა მისგან სახესა თჳსთა სნეულთა კურნებისასა ისწავებდეს**"[23]. სრულიად აშკარაა, რომ არსენ ბერი განასხვავებს პროფესიონალურ სამედიცინო ცოდნას: "მკურნალობის ჭელოვნებას" ემპირიული სამედიცინო ცოდნისაგან, რომელიც საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებული სამკურნალო ცოდნის ურთიერთგაზიარებას გულისხმობდა: "ამისთჳსაცა **ურთიერთას მივიდოდეს და სნებისაგან სიმრთელედ შეცვალებისა მისგან სახესა თჳსთა სნეულთა კურნებისასა ისწავებდეს**"[24].

---

[21] გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 210.
[22] იქვე. გვ. 230.
[23] ძველი ქართული პაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 25.
[24] იქვე. გვ. 25.

არსენ ბერი აღნიშნავს, რომ წარმართნი ანუ არაქრისტიანი იბერები "სამკურნალო ხელოვნების" ცოდნას მოკლებულები იყვნენ, ე.ი. პროფესიონალი ექიმები არ ჰყავდათ. როგორც ჩანს, მას ავიწყდება, რომ სწორედ პროფესიონალები - "ჭელოვანი მკურნალნი" ემსახურებოდნენ მირიანის სამეფო კარს. IV საუკუნის ქართლში პროფესიონალი მკურნალების არსებობას ადასტურებს აგრეთვე მცხეთაში აღმოჩენილი ბეჭედი მამაკაცის გამოსახულებით, რომელსაც ხელში გველ-შემოხვეული ჯოხი უჭირავს. ქართველ არქეოლოგთა ვარაუდით, ეს ბეჭედი პროფესიონალი ექიმის კუთვნილება უნდა ყოფილიყო[25].

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ არსენ ბერი სამკურნალო საქმის უცოდინარობას არა ხალხს – იბერებს მიაწერს, არამედ არაქრისტიან წარმართებს, რომლებიც ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენელთა მიერ მოსახლეობის უმეცარ, უკულტურო ფენადაა მიჩნეული. სწორედ ამიტომ უსვამს ხაზს, რომ "ვინაითგან წარმართნი იგი (და არა იბერნი – ნ.ხ., ნ.მ.) მკურნალობისა ხელოვნებასა უმეცარ იყვნეს".

ამგვარად, მისი როგორც ქრისტიანი ბერის პოზიცია სავსებით გასაგებია.

ბიზანტიელ ავტორთა ცნობები, კერძოდ, სოკრატე სქოლასტიკოსის ინფორმაცია კიდევ ერთი ასპექტითაა საინტერესო: "მეფის ცოლმა სხვა **ქალებთან** გააცანა ბავშვი სამკურნალოდ"[26], წერს იგი, "მაგრამ ვერც ერთმა **ქალმა** ვერ აღმოუჩინა სამკურნალო დახმარება"[27].

მედიცინის ისტორიიდან ცნობილია, რომ სამკურნალო ცოდნა-საქმიანობა უძველესი დროიდან მამაკაცთა და ქალთა შორის იყო დანაწილებული. მამაკაცები უმეტეს-

[25] აფაქიძე ა., ბობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ., მცხეთა, I, თბ., 1955, გვ. 126.
[26] გეორგიკა, I, გვ. 230-231.
[27] იქვე, გვ. 230-231.

წილად სადასტაქრო საქმიანობაში იყვნენ დახელოვნებულნი, ქალები კი მეანობასა და თერაპიულ მკურნალობაში. ამ უკანასკნელთა საქმიანობას ძირითადად სამკურნალო მცენარეების შეგროვება და სხვადასხვა ბუნებრივი საშუალებებით დამზადებული მალამოებითა და წამლებით მკურნალობა წარმოადგენდა.

რა თქმა უნდა, ასეთივე ვითარება იყო საქართველოშიც, რასაც თუნდაც ბერძნული მითოლოგია, არგონავტების მითი, მედეას სამკურნალო საქმიანობა მოწმობს. როგორც ჩანს, სამკურნალო მცენარეთა საიდუმლოებას ამირანის მითის პერსონაჟი – ყამარიც ფლობდა.

ამ მიმართებით საინტერესოა არქანჯელო ლამბერტის შემდეგი ცნობა: "სამეგრელოში არიან ქალები, რომლებიც სიამოვნებით ეტანებიან ავადმყოფის მოვლას. როგორც კი ვინმე ავად გახდება, რომელიმე ამ ქალთაგანი მაშინვე მივა და უწყებს მოვლას, საჭმლის წესრიგს დაუნიშნავს და გაუკეთებს რამდენიმე წამალს როგორც დასალევად, ისე გარედან დასადებად. ბლომად ხმარობენ ბალახებს"[28].

იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ "მკურნალნი უფრორე იყვნენ მდედრთ ნათესავნი და აქიმობდნენ ბალახითა და ხის ნაყოფითა"[29].

სამკურნალო "დარგების" სქესობრივი ნიშნით დანაწილების ფაქტი ამ უკანასკნელ ხანებში მოპოვებული მასალითაც დასტურდება, რომლის მიხედვით, სრულიად აშკარაა, რომ სამკურნალო მცენარეების შეგროვება, მათგან მალამოებისა თუ შინაური წამლების დამზადება, ისევე როგორც მეანობისა თუ შელოცვების პრაქტიკა, ქალების საქმიანობას წარმოადგენდა, ხოლო დასტაქრობა მამაკაცების, რა თქმა უნდა, გარკვეული გამონაკლისის დაშვებით.

---

[28] ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991, გვ. 91.

[29] ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, ქართული პროზა, VI, 1984, გვ. 562.

სოკრატე სქოლასტიკოსის ცნობაც ძველ იბერებში სწორედ ასეთი ტრადიციის არსებობას ადასტურებს.

ყველა ზემომოყვანილი წყაროს მიხედვით, წმ. ნინომ ავადმყოფი ქრისტესადმი მიმართული ლოცვა-ვედრებით განკურნა. მაგრამ ქართლის მოქცევის შატბერდისეულ ვარიანტში არსებული ინფორმაციით შეიძლება ვიფიქროთ, რომ წმინდა ნინო თავად ფლობდა სამკურნალო ხელოვნებას. სიდონიას მონათხრობის მიხედვით: "სანატრელმა ნინომ ექუსი წელი ამათ შინა დაყო, ვითარ – იგი თვით იტყვის, ოდესმე შვიდნი დედანი დაგვამოწაფნა სულისსა მისსა, რამეთუ ჰყავდა ფარულად კურნებათა მრავალთა, ვიდრემდის სეფეთა ზედა იწყო კურნებად განსხვავებით ღმრთისაითს დედობისა ზედა ნანას"[30]. მირიანიც აღნიშნავს, რომ "...ამას ხოლო თვით თუალნი თქუენნი ხედვიდეს. საკვირველებლად მისსა და მისსა შემდგომად კუალად სასწაულთა და კურნებათა რომელთა აღასრულებს დღითი-დღე"[31]. მირიანის სიტყვების მიხედვით ჩანს, რომ კურნება აქ სასწაულის რანგში არ განიხილება და შესაძლოა ჩვეულებრივ სამკურნალო საქმიანობაზე იყოს მინიშნება. თუმცა, როგორც ჩანს, დედოფალი ნანა, რომელიც ადამიანის ხელით, ე.ი. ჩვეულებრივი მკურნალობით ვერ გამოჯანმრთელდა, ნინოს მხოლოდ ლოცვით განუკურნებია. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი ცნობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წმ. ნინო სამკურნალო საქმიანობაში გათვითცნობიერებული იყო და მხოლოდ ლოცვა-ვედრებით არ ეწეოდა ავადმყოფთა დახმარებას.

ამგვარად, გელასი კესარიელის ცნობის და მისი ბიზანტიური თუ ქართველ ავტორებთან დაცული ვარიანტების მიხედვით გარკვეული სურათი იქმნება IV საუკუნის საქართველოში სამკურნალო საქმიანობის

[30] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, I (V-XII), თბ., 1964, გვ. 131.
[31] იქვე, გვ. 131.

შესახებ. კერძოდ, სრულიად აშკარაა, რომ ამ დროს საქართველოში მედიცინას სოციალური ხასიათი ჰქონდა. აქ მოღვაწეობდნენ როგორც პროფესიონალი კარის ექიმები – **ჭელოვანი მკურნალნი**, ისე ემპირიული ცოდნით აღჭურვილი, მკურნალობაში გათვით-ცნობიერებული პირები, რომლებიც ძირითადად მოსახლეობის დაბალ სოციალურ ფენას ემსახურებოდნენ. მხოლოდ ეს ფაქტი, სხვა მონაცემების გათვალისწინების გარეშეც კი, სავსებით საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ IV ს-ის იბერიაში სამედიცინო საქმე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფს თეოდორიტე კვირელის ინფორმაციას.

ზემოგანხილული ცნობების მიხედვით აშკარაა, რომ სამედიცინო ცოდნის გავრცელების ერთ-ერთი გზა ამ ხანის იბერიაში სამკურნალო გამოცდილების ურთიერთგაზიარებაა. რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამახასიათებელი იყო ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის და, როგორც ჩანს, ერთ-ერთ უძველეს და ფართოდ გავრცელებულ ტრადიციას წარმოადგენდა.

ირკვევა აგრეთვე, რომ ძველ იბერებში სამკურნალო საქმიანობა სქესობრივი ნიშნით იყო განაწილებული: შინაური წამლებით მკურნალობა ქალთა საქმიანობას წარმოადგენდა.

ამგვარად, ზემომოყვანილი ცნობები IV საუკუნის რეალურ ვითარებას ასახავს და, უპირველეს ყოვლისა, იმის გამოა საინტერესო, რომ გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში საქართველოში სამედიცინო საქმის მდგომარეობის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. ამდენად, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ მედიცინის ისტორიის, არამედ ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

მეორე მხრივ, სრულიად აშკარაა, რომ ყველა ეს ცნობა ქრისტიანული რელიგიის პროპაგანდას ემსახუ-

რება და წარმართულ სამკურნალო ხელოვნებასთან მიმართებაში აშკარა უპირატესობას ქრისტიანულ ლოცვა-ვედრებას - "სულიერ მკურნალობას" ანიჭებს.

Nana Khazaradze, Nino Mindadze

ON INTERPRETATION OF ONE REPORT BY GELASIUS OF CAESAREA

The present paper studies the report preserved in the *Church History* by Gelasius of Caesarea, a Byzantine ecclesiastical figure of the 4th century, concerning the Conversion of Kartli and the miraculous healing of a sick child by the enlightener of Georgia Saint Nino. The authors have also identified that in Iberia in order to find medical assistance patients were taken from door to door. As a result of comparison and analysis of the report of Gelasius of Caesarea and other similar sources (Rufinus, Theodoret of Cyrus, Socrates Scholasticos, the Life of St. Nino, the work by Leonti Mroveli, the work by the 18th-century Georgian historian and geographer Vakhushti Bagrationi), an opinion is expressed, according to which, medicine in Iberia in the 4th century had the social character and one of the ways of distribution of medical knowledge was sharing of experience of treatment. It is also demonstrated that at the same time, according to these reports, superiority in relation to pagan medicine was given to Christian "spiritual treatment", which clearly indicates the correctness of the position of the authors of the report under study.

საიუბილეო თარიღები
ANNIVERSARY DATES
ЮБИЛЕЙНЫЕ ДАТЫ

ТИНАТИН КАУХЧИШВИЛИ – 90

В Тбилиси, в семье Тамары Ишхнели и патриарха классической филологии и византинологии в Грузии – Семена Каухчишвили, 10 мая 1919 года родилась дочь – Тинатин. Детство ее прошло в спокойной, интеллектуальной среде. На вопрос журналиста: «Какое у вас было детство?» Тинатин Семеновна отвечает: «Я была единственным ребенком. Отца, Семена Каухчишвили не помню до четырехлетнего возраста, он был за границей и в это время я воспитывалась в семье матери, у Ишхнели. Я была единственная девочка, самая младшая и старшие кузены всячески меня баловали и холили. Мама была редчайшим человеком – очень разумно воспитывала единственного ребенка. Не помню, чтоб она меня обнимала и целовала, чтоб сюсюкала. Даже, когда писала мне письма, обращалась по имени, а подписывалась – «мама», безо всяких «дорогая доченька» или «твоя мама». Эта внешне суровая и холодная женщина была необычайно скромной и самоотверженной. Это воспоминание Тинатин Семеновна завершает следующим: «Если я чего либо достигла в жизни, это всецело заслуга моей матери».

Свою первую встречу с отцом Тинатин Семеновна вспоминает следующим образом: «Мне было четыре года, когда отец вернулся из Германии... Выглядываю в коридор и вижу, идет мама и за ней какой-то мужчина. Это твой папа, говорит мама. До этого я знала, что у меня шесть отцов, все безногие. Раскладывала фотографии, а на них только лица. Застеснялась. Отец долго смотрел на меня с улыбкой, потом подошел к тахте, открыл чемодан, а оттуда заискрились куклы. Без слов, отец так и оставил чемодан открытым. Со временем я шаг за шагом приблизилась к куклам и тогда впервые

ощутила неосознанное тепло. Оказывается, это была тоска и любовь к досле незнакомому мне отцу». В детстве Тинатин Семеновна не была похожа на своих сверстников, самостоятельно научилась читать и писать в трехлетнем возрасте, равнодушна была к куклам, не привлекала ее и игра в мяч.

Ходила сперва в детский сад. Свои школьные годы Тинатин Семеновна описывает так: «Окончила первую школу (Тбилисская первая экспериментально показательная трудовая школа), которая в свое время называлась школой Зандукели. М. Зандукели строго отбирал не только учителей, но и учеников. Я оказалась настолько подготовленной, что посадили прямо во второй класс, но мама воспротивилась, ребенок должен пройти весь путь от первого до последнего класса и меня вернули в первый класс. В этой школе я проучилась десять лет».

Повезло Тинатин Семеновне с педагогами как в школе, так и позднее в Тбилисском государственном университете. В школе математику преподавали Илья Штейнберг и Василий Абдушелишвили, грузинский – Варлам Топурия и Илья Сихарулидзе, русский – Тамара Заалишвили, которая требовала писать сочинения по программе русских школ. В школьные года (1926-1936 г.г.) Тинатин Семеновна выделялась высокой академической успеваемостью. Школу она окончила в 1936 г. с аттестатом отличницы.

В выборе профессии Тинатин Семеновны мнения родителей разделились. Семен Георгиевич считал, что дочь должна стать врачом, но Тамара Николаевна утверждала, что у дочери явно гуманитарные наклонности. Победили аргументы матери и в 1936 году Тинатин Семеновна с аттестатом отличницы без экзаменов поступила на филологический факультет Тбилисского государственного университета, на отделение грузинского языка и литературы.

В Тбилисском государственном университете Тинатин Семеновну встретило целое созвездие грузинских ученых. Ей посчастливилось прослушать лекции Иване Джавахишвили и Григола Церетели. Ее педагогами были выдающиеся представители грузинской гуманитарной науки: Акакий Шанидзе, Георгий Ахвледиани, Арнольд Чикобава. Георгий Церетели, Нико Бердзенишвили, Варлам Топурия... Тинатин Семеновна с большой ответственностью и прилежанием относилась к выбранной профессии и с отличием окончила университет в 1941 году, специальность – филолог (грузинский язык и литература).

И вновь по аргументированному совету матери, Тинатин Семеновна наряду с грузинской, решила овладеть и классической филологией.

Осенью 1941 года, успешно сдав аспирантские экзамены, Тинатин Каухчишвили была зачислена в аспирантуру в институт языка, истории и материальной культуры при Грузинской академии наук по специальности греко-грузинская филология. Руководителем ее стал Семен Каухчишвили, который с детства ввел дочь в сказочный мир древнегреческой культуры.

Аспирантские годы прошли в каждодневном, упорном труде. Наряду с объязательными учебными дисциплинами Тинатин Семеновна изучала древне-грузинский язык у В. Топурия, древнеармянский у И. Абуладзе, арабский у Г. Церетели, а преподавателем английского, немецкого и французского языков был Т. Авилов.

Курс аспирантуры Тинатин Семеновна окончила с отличием в 1944 году, и к этому времени практически была завершена ее работа над диссертационной темой. 6 февраля 1945 г. ученый совет института истории им. И. Джавахишвили, под председательством академика Симона Джанашия, присвоил 26 летней Тинатин Каухчишвили ученую степень

кандидата филологических наук за труд: «Материалы к истории ᲥᲐ (по памятникам VI-X веков). Тезисы этого объемного труда (200 стр.) были опубликованы в том-же 1945 году. По единодушному мнению оппонентов и членов ученого совета, проделанная диссертантом трудоемкая работа и сделанные ею выводы открывали путь к изучению сложнейших проблем взаимоотношения грузинского и греческого алфавитов.

С января 1945 года Тинатин Семеновна связала свою научную деятельность с институтом истории им. Ив. Джавахишвили, где плодотворно и успешно проработала десятки лет сперва как младший, потом старший, ведущий и главный научный сотрудник. С 1956 года, опять-таки на протяжении десяток лет, Тинатин Семеновна была членом ученого совета этого же института и благославила не одного ученого в Грузии или за ее пределами на путь ученого филолога или историка, часто будучи их оппонентом.

С целью еще глубже изучить классическую филологию, в 1946-1953 г.г. Тинатин Семеновна ежегодно ездит в Ленинград, где на кафедре классической филологии Ленинградского университета тесно сотрудничает с известными русскими учеными, с академиком И.И. Толстым, профессорами И.М. Тронским, С.Я. Лурье и др. Годы, проведенные в научных коммандировках в Ленинграде, Тинатин Семеновна вспоминает следующим образом: «Начиная с 1946 года, на протяжении 7-8 лет я каждый год ездила в Петербург. Отец дал мне письмо к своему педагогу, академику Ивану Ивановичу Толстому с просьбой взять меня под свое крыло. И он, действительно, проявил необычайную заботу. Разрешил посещать лекции лучших специалистов. Мы систематически работали у него на дому, всячески подбадривал. Я многим ему обязана. Все, что я познала в науке, это благодаря моему тбилисскому руководителю (имеется в

виду С. Каухчишвили – Н.Х.) и И.И. Толстому. Позднее он был оппонентом моей докторской диссертации, но, к сожалению, сам не смог приехать».

В 1946-1953 годы Тинатин Семеновна занялась выявлением, изучением и изданием греческих эпиграфических памятников разных эпох, начиная с VI в. до н. э. и кончая XIX столетием, разбросанных в разных уголках Грузии. В эти годы Тинатин Семеновна плодотворно работала в Абхазии, в верхней Сванетии, в Мингрелии, Имерети, Раче, в Гурии, южной Грузии, Кахети и Картли.

В тоже время она знакомится с неизвестными материалами, которые хранились в музеях и спецхранилищах Сухуми, Поти, Озургети, Кутаиси, Местии, Гори, Тбилиси и в других центрах. В эти годы Тинатин Семеновна опубликовала ряд значительных статей, среди них: К надписи Берсума Питиахша, ТГУ, Труды XXX/I В. Тбилиси, 1947; Греческая надпись из Греми, ТГУ, Труды, 37, Тбилиси, 1949; Греческая надпись Иоанна-Вахтанга, Сообщения АН Грузии, X- XI, 6, Тбилиси, 1950 (на грузинском и русском языках); Греческие приписки на полях грузинских рукописей, Мимомхилвели, II, Тбилиси, 1952... Большим вкладом в науку явилась изданная в Тбилиси в 1951 году монография Тинатин Каухчишвили «Греческие надписи Грузии», за которую 34 летней Тинатин Семеновне объединенный ученый совет Тбилисского государственного университета в июне 1953 года присвоил ученую степень доктора филологических наук, подтвержденный высшей аттестационной комиссией СССР в ноябре того же года. Еще до опубликования труда «Греческие надписи Грузии», академик Н. Бердзенишвили писал: «Работа Т. Каухчишвили является монографией, в которой 1) собраны все греческие надписи, находящиеся на территории Грузии; 2) каждая надпись изучена в языковом и грамматическом аспектах с целью ее точной датировки; 3) каждая надпись в

смысловом аспекте с целью выявления ее исторической значимости. Отдельные надписи были опубликованы различными учеными. В 1881 г. И. Помяловский даже собрал некоторые из них по известным ему разным изданиям. Т. Каухчишвили изучила все эти публикации, каждую надпись проверила на месте. Она работала во всех краях Грузии, где находятся греческие надписи (а они во всех регионах) и во всех музеях. В результате она выявила много новых, до сих пор неизвестных надписей и посвятила исследование многим уже знакомым надписям, тем самым дав новый материал для изучения разных аспектов истории Грузии.

Следовательно, труд Т. Каухчишвили является результатом многолетнего научного исследования и настольной, вспомогательной книгой для исследователей истории и истории культуры Грузии».

Вышеупомянутая монография Тинатин Семеновны завоевала высшую оценку официальных (К. Кекелидзе, Ак. Шанидзе, И.И. Толстой) и неофициальных (Ш. Амиранашвили...) оппонентов. В связи с этой монографией академик К. Кекелидзе писал: «Она интересна как в общенаучном, так и в картвелологическом смыслах. Эти эпиграфические памятники указывают на те культурные взаимосвязи, которые были в древности между грузинами и греками. Этот труд станет учебником для изучающих существующие в Грузии греческие надписи. Автор проделал такой труд, который выходит за пределы уютного кабинета ученого. Автор обошел всю Грузию, проверил все известные доселе греческие надписи, исправил их и восполнил новым, добытым им материалом.

Мы до сих пор не имели такого полного и надежного корпуса греческих надписей в Грузии... Автор дал серьезный анализ добытого материала: языковой, палеографический,

исторический и литературный. На основе подобного анализа дана более точная датировка многих надписей».

По мнению академика Ш. Амиранашвили монография Т. Каухчишвили внесла особенно ценный вклад в искусствоведение. «Эта книга способствует точной датировке многих памятников и в ряде случаев вносит отдельные коррективы... Приведенные здесь надписи имеют значение не только для истории грузинского искусства, но и для истории искусств Византии... Труд Т. Каухчишвили – краса советской науки». Академик И.И. Толстой отмечал: «Книга Т.С. Каухчишвили является строго научным исследованием, построенным на приемах точного филологического анализа, научно очень ценным, поскольку она устанавливает ряд новых языковых и культурно-исторических фактов... Заключения строятся автором умело и всегда осторожно... Бесспорно огромную ценность представляет работа Т.С. Каухчишвили и для лингвистики... Содержание исследования Т.С. Каухчишвили порой перерастает рамки грузинской филологии, оказываясь научно важным и для смежных областей филологической науки, для всех, например, занимающихся историей культуры Греко-скифского мира северного Причерноморья».

Добавлю также, что один из самых престижных журналов «Вестник древней истории» опубликовал положительную рецензию на монографию Т.С. Каухчишвили. Вскоре последовали хвалебные отзывы французских и чешских коллег на «Греческие надписи Грузии».

Оценивая многогранное научное наследие Т.С. Каухчишвили, грузинские ученые: А. Шанидзе, Г. Меликишвили, Т. Гамкрелидзе, Д. Мусхелишвили, Т. Микеладзе, М. Инадзе, О. Лорткипанидзе, Н. Ломоури, Г. Аласания и другие, единодушно отмечают, что плодотворная научно-исследовательская работа ведется ею в трех основных направлениях:

1) Грузино-греческие языковые взаимосвязи,

2) Греческая эпиграфика,

3) Древнегреческие источники истории Грузии.

Научный интерес ко всем этим сложнейшим направлениям Тинатин Семеновна проявила еще в 40-50 годы прошлого столетия.

Как уже отмечалось, первая диссертационная работа «Материалы к истории ē (по памятникам VI-X веков) была посвящена языковым проблемам на примере досконального изучения одного конкретного аспекта. Тинатин Каухчишвили, изучив использование ē в эпиграфических памятниках и рукописях, выделила 6 групп, и сделала значительный вывод, что в грузинском алфавите не было реальной основы существования двух «е» и ē в грузинском алфавите используется как обозначение η (ē) греческого алфавита.

Греко-грузинским языковым взаимоотношениям Т. Каухчишвили посвящает в 1949-52 годы следующие статьи: υἱὸς ἄρρην ძე წული, Вестник ИЯИМК АН ГССР, XIV, Тбилиси, 1944; К значению некоторых частиц и союзов в древнегрузинском, Иверийско-кавказское языковедение, I, Тбилиси, 1946; Композиты в древнегрузинском языке; Труды Тбилисского государственного университета, 47, Тбилиси, 1952...

В этих статьях скрупулезно изучены языковые пласты письменных памятников, переведенных с греческого и армянского языков на грузинский. Именно этим путем доказывается идентичность терминов ძე (сын), წული (ребенок, отпрыск), მამრი (муж) грузинских текстов с греческим υἱὸς ἄρρην. В грузинском переводе Нового Завета выделены 4 группы композитов (собственно грузинские; обще-картвельские и греческие; обще-картвельские и армянские; обще-картвельские, греческие и армянские) и выявлены принципы формообразования композитов на трех языках.

По мнению академика Тамаза Гамкрелидзе «Своими трудами в сфере греко-грузинских языковых взаимоотношений Тинатин Каухчишвили внесла весомный вклад в изучение многих проблем грузинского языка».

Выше уже отмечалось о большой заслуге Тинатин Каухчишвили в изучении греческой эпиграфики. Эти изыскания продолжаются и по сей день.

Научные экспедиции 50-80-ых годов полностью охватили Грузию. Выявленные в Абхазии, Сванети, Мингрелии, Гурии, Имерети, Раче, Самцхе-Джавахети, Картли эпиграфические памятники легли в основу многочисленных статей, опубликованных в 1955-2007 годы. Напр.: Греческая надпись из Цилкани, Материалы к археологии Грузии, X, Тбилиси, 1955; Греческая надпись Бичвинтской мозаики, Сообщения АН Грузии, т. XVI, I, Тбилиси: Eine griechische Inschrift auf einen Öllämpchen aus Sochumi, Bibliotheca classica orientalis, 1960, 4; Epigraphische Neuigkeiten aus Grusien, Bibliotheca classica orientalis, 1962, 2; Грузинская надпись из Казрети, Византийский временник, 29, Москва, 1968; О Греческой надписи из Пицунды, Сборник посвященный Н. Бердзенишвили, Тбилиси, 1976; Греческие надписи на грузинских фресках, Atti del' primo simposio internationale, Milano, 1977; Грузинская эпиграфика, Историческая энциклопедия, Москва, 1978; Греческие надписи из Нокалакеви, в сборнике: Археополис-Нокалакеви, 1, Тбилиси, 1981; Греческая надпись из Цилканской аклдамы, Мацне. Серия истории, археологии, этнографии, истории искусств, Тбилиси, 1982, 2; Греческие надписи гелатского храма, Источниковедческие развития, Тбилиси, 1984; Греческая надпись эшерского городища, Источниковедческие разыскания, Тбилиси, 1985; Греческая надпись на бронзовой плите из Вани, Проблемы древней истории Причерноморья, Тбилиси, 1987. Греческие исторические надписи в Самегрело,

Грузинское источниковедение, VII, Тбилиси, 1987; Die griechischen Inschriften aus Georgien, Международный конгресс по греко-латинской эпиграфике, София, 1987. Греческая надпись из Хоби, журн. «Эгриси», Тбилиси, 1988. Древнегреческие надписи Грузии, Источниковедческие разыскания, Тбилиси, 1989; Греческие граффити из Саирхе, Грузинское источниковедение, VIII, Тбилиси, 1992. Греческие надписи, обнаруженные экспедицией в Нокалакеви, в Сборнике Археополис – Нокалакеви, III, Тбилиси, 1992; Обзор надписей из Кахети, Тезисы международной конференции посвященной Ал. Алексидзе, Тбилиси, 1992; Новые греческие надписи из Армазцихе-Багинети, Мцхета XI, Тбилиси, 1996; Новая греческая надпись из Армазцихе-Багинети (II), юбилейный сборник - Очерки, IV, Тбилиси, 1998; Предметы с греческими надписями из Мцхета, Очхари, Тбилиси, 2002; Ранние христианские греческие надписи в Грузии, Грузинское источниковедение, X, Тбилиси, 2005; Греческая эпитафия из Сухуми, в сборнике: Шота Месхия-90, Тбилиси, 2006; A recently discovered Inscription from Georgia, Moambe, т. 175, I, Tbilisi, 2007.

Вполне закономерно, что в 1999 году Тинатин Семеновна решила издать новое издание Греческих надписей в Грузии (Западная Грузия, том I). В 2002 году были изданы II и III тома корпуса греческих надписей, а в 2004 году последовало второе, дополненное издание «Греческих надписей». Вполне закономерно и то, что проделав за последние 50 лет трудоемкую, масштабную работу, Т.Каухчишвили преподнесела совершенно новое, отличное от аналогичной монографии 1951 года исследование, что проявилось как в количестве надписей, их классификации, в разнообразии, а также в их новом научном осмыслении. В новом издании на основе более 1000 выявленных греческих надписей в Грузии, заново пересмотрены отдельные страницы внутренних и внешних

взаимоотношений в истории Грузии, представлены политические, торговые или культурные взаимоотношения не только с грекоязычным миром, но и с Ираном, Причерноморьем и другими более дальными странами (М. Инадзе, Н. Ломоури, О. Лорткипанидзе, Д. Мусхелишвили, Г. Аласания).

Велика заслуга Т. Каухчишвили в издании перевода на грузинский язык и научной интерпретации сведений древнегреческих авторов об истории древней Грузии.

Здесь она не только успешно продолжила, но и развила и на качественно новый этап возвела дело, начатое Семеном Каухчишвили в сфере изучения греко-римских и византийских письменных памятников в связи с историей Грузии.

Если рассмотреть в совокупности изданные Тинатин Семеновной сведения древнегреческих авторов по истории древней Грузии, то убедимся, что они представлены по тщательно продуманной научной схеме: в вводной части характеризуется письменный источник, изучены первоисточники произведения, дается полная информация о рукописях, о существующих их переводах и изданиях. Здесь-же оценивается значение письменного источника для истории Грузии. Обычно Тинатин Семеновна при переводе древнегреческих авторов на грузинский пользуется новейшим критическим изданием греческого подлинника. Как правило, греко-грузинский параллельный текст сопровождается ценными индексами, где каждый термин представлен значительной информацией и авторскими комментариями. И вполне обоснованно мнение грузинсих ученых, что когда знакомишься с Каухчишвилиевской интерпретацией древнегреческих авторов, «ничего не остается исследовать и вынужден в основном повторить ее информацию и выводы».

Именно соответственно этим принципам изданы: «География», Страбона, Тбилиси, 1957; «История войн

Митридата» Аппиона, Тбилиси, 1959; Сведения Геродота о Грузии, Тбилиси, 1960 и «История» Геродота в двух томах, Тбилиси, 1975, 1976; «Трактат Гипократа о воздухе, водах и местностях», Тбилиси, 1965; Сведения о Грузии Полибийя, Тбилиси, 1967; В 1967-1987 годах в 6 книгах были изданы «Сведения греческих писателей о Грузии» (Scriptores Graeci).

Заслуга Т. Каухчишвили в том, что она первая ввела сведения малоизвестных греческих историков в грузинскую историографию, что дает возможность по новому представить и осмыслить значительные аспекты истории и этнической культуры нашей страны. К числу таких историков относятся Дионисий Галикарнасский, Николай Дамаскский, Мемнон, Лукиан, Дионисий Периегет, Клавдий Элиан, Алкифрон, а также представители эллинистической поэзии: Арат, Ликифрон, Калимах, Феокрит и др. Сведения этих авторов даны в трудах Т. Каухчишвили: Гераклид и его сведения о Грузии, Восточная филология, 1, Тбилиси, 1969; Héraclide et connaissances sur la Géorgie, Bedi Kartlisa, XXVIII, Paris, XXVIII, Paris, 1971; Сведения Греческих писателей о Грузии, Тбилиси, 1967-1987.

В 1976 году в Тбилиси Тинатин Каухчишвили издала монографию «Древнегреческие источники истории Грузии», которая и по сей день является настольной книгой для историков и филологов, без нее не мыслимо обучение источниковедения и древнегреческой литературы в высших учебных заведениях. Принимая во внимание хронологию и жанры письменных источников, в книге компактно представлены древнегреческие сказания (миф о Прометее, сказания об Аргонавтах), греческий эпос (Гомер, Гесиод), греческие лирики – Мимнерм и Пиндар, греческая драма (Эврипид), историческая проза (Гекатей Милетский, Геродот, Ксенофонт), научная проза (Гиппократ, Аристотель, Николай Дамаскский, Клавдий Элиан), периплусы и периодосы

(Скилакс Кариандский, Скимн Хиосский, Дионисий Периегет, Флавий Ариан аноним, Павсаний), всемирная история (Полибий, Диодор Сицилийский, Дионисий Галикарнасский), греческие географы (Страбон, Клавдий Птолемей), историки эпохи Митридата (Мемнон, Плутарх, Аппиан, Дион Касий, Иосиф Флавий), греческая беллетристика (Лукиан, Алкифрон). Книгу завершает обзор 14 образцов греческой эпиграфики (надписи упоминающие Колхов, дельфийские манумисии, фасисская чаша, надписи из Вани, Monumentum Ancyranum, надпись Веспасиана, римская эпитафия, эпитафия Серафиты, печати из Армазисхеви, поднос Берсумы, печать питиахша Уша (?), надпись Шапура, эпитафия Аврелия Ахолиса, надпись на светильнике из Сухуми).

С 60-х годов XX столетия Т. Каухчишвили достойно представляет достижения классической филологии Грузии за рубежом. Между прочим, в одном интервью она с сожалением отмечает, «Петербург был моим первым зарубежьем и лишь в 40 лет, и то в качестве туриста, удалось посетить Грецию и Кипр. Хотя позднее приняла участие в работе многих конгрессов и конференций». Начиная с 60-ых ее статьи печатались в Biblioteca classica Orientalis, в 70-ые статьи Т. Каухчишвили были напечатаны в Йене (1974, 1977), в Милане (1977), в Берлине (1978), в Бергамо (1979).

В 1979 году Т.Каухчишвили по приглашению немецких ученых читала лекции в Йенском и Лайпцигском университетах. А до того, в 1971 году, за особый вклад в развитие классической филологии, Тинатин Семеновна была избрана членом международного общества им. Иогана Винкельмана (Германия).

На протяжении многих лет Тинатин Семеновна принимала участие в работе множества форумов; институтских, университетских, республиканских, всесоюзных и международных. Прочитанные ею доклады вызывали большой

интерес в Тбилиси и Кутаиси, в Вани и Батуми, в Ереване и Ленинграде, в Москве и Йене, в Лайпциге и Дрездене, в Софии и Павия, в Бергамо и Милане. Ее доклады всегда отличались новизной материала и проблематики, новизной интерпретации. Как правило, ее публичные выступления всегда заслуживали высокую оценку специалистов и тексты докладов публиковались.

На сегодняшний день география путешествий Тинатин Семеновны охватывает десятки стран (Придунайские страны, Греция, Египет, Сирия, Англия, Германия, Италия и др.). Не ошибусь, если отмечу, что во время деловых или туристических поездок, больше всего ее волновала встреча с античным миром, с искусством и письменными памятниками античной эпохи. Мне посчастливилось в 1967 году посетить вместе с Тинатин Семеновной памятники старины в Турции. Такую улыбающуюся и жизнерадостную Тинатин Семеновну в Тбилиси я не помню. Никогда не забуду ее у амфитеатра Пергама или у развалин некогда величавой библиотеки Пергама, как вместе стояли бок о бок на месте греческих статуй в сохранившихся по сей день нишах храма Артемиды. Не забуду наши беседы о Гордионе и Мидасе у возвышающихся до небес курганов в Гордионе, а особенно Тинатин Семеновну около двуязычной надписи римского императора Октавиана Августа (известной под именем Monumentum Ancyranum) с ручкой и блокнотом, когда ей впервые посчастливилось непосредственно с подлинника переписать древнегреческий перевод с латыни, содержащий упоминание термина «Иберия». К слову, Тинатин Семеновна внесла этот собственоручно переписанный фрагмент в монографию: «Древнегреческие источники истории Грузии» (1976). Указывая на немецкое (1883 г.) и Латышевское издания надписи, встречаем такую приписку: «Текст проверен на месте».

На протяжении десятилетий Т. Каухчишвили (1945-1952, 1968-1995 гг.) занималась плодотворной педагогической деятельностью в Тбилисской государственном университете, была сперва доцентом, позднее профессором. Лет 10 тому назад проф. Валерий Вашакидзе писал о своем педагоге, Тинатин Каухчишвили: «Особая статья Т. Каухчишвили как педагог и воспитатель. От ученика она первым долгом требует беззаветную любовь к избранной профессии, самоотверженный труд, соответствующие знания и образование и умеренность при высказывании своих соображений. С уверенностью можно сказать, что общаясь и работая с Т. Каухчишвили, учишься пунктуальности, культуре диспута, добропорядочности, свойственной истинным ученым. Словом, впитываешь все те лучшие качества, которые свойственны Т. Каухчишвили. Она не ограничивает молодого ученого, высказывающего отличное предположение даже тогда, когда сама не соглашается с доводами. Но непреклонное ее требование: научные выводы должны основываться на аргументах и ученый должен остановиться там, где источник не дает возможность дальнейших рассуждений. На собственном опыте могу сказать, что на первом этапе общения, предъявленное вызывает раздражение ученика, но надо быть глупцом, чтоб не понять, что все это делается на пользу тебе самому».

Тинатин Семеновна и сама на отрицает, что она «более строгий лектор», чем ее отец – Семен Каухчишвили. А на вопрос журналиста: «Что вы скажете о своих студентах?» отвечает: «Начала преподавать в Тбилисском государственном университете в 1945 году, на факультете западно-европейских языков читала курс античной литературы, преподавала греческий язык на филологическом, историческом и философском факультетах. После основания отделения классической филологии, читаю спецкурс «Древнегреческая эпиграфика и

палеография», а также читаем авторов, в основном Геродота и Аристотеля. Большая часть студентов хорошо изучала мои предметы. Сейчас многие говорят, что я была отменным педагогом и если что-либо знают, то это от меня». Ученики Тинатин Семеновны сейчас уже кандидаты или доктора филологических или исторических наук и плодотворно работают в научных институтах и в высших учебных заведениях.

Характерно, что на вопрос журналиста: Считаете ли вы, что сделали все, что было задумано? Тинатин Семеновна опять говорит о своих учениках: «Особого плана не было. Хотя сожалею, что две темы не смогла осилить, но надеюсь, что мои идеи завершит молодежь. Одна тема – это «Греческие граффити в Грузии». Надеюсь, моя ученица Марика Насидзе осилит это дело (и действительно М. Насидзе первая в Грузии опубликовала монографию «Греческие граффити в Грузии (Западная Грузия)», Тбилиси, 2002. – Н.Х.). Вторая тема – это идентификация фресковых надписей с первоисточниками. Я идентифицировала все места из Библии, Нового Завета, указала на тексты архиереев, что кому принадлежит. Остались тексты рядовых монахов, не смогла установить, это Антон или Павел фиванский или кто-либо еще. Русудан Маргишвили или Георгий Каджая могут взяться за это дело».

Тинатин Семеновна может гордиться не только своими учениками, но и своим потомством, которое продолжает славные традиции семьи Каухчишвили и плодотворно трудятся на ниве грузинской гуманитарной науки. Более того, правнучка Тинатин Семеновны Лика Гордезиани успешно изучает классическую филологию в Тулузском университете.

Заслуги Т. Каухчишвили в области науки были высоко оценены. В 1975 г. ей присвоили звание заслуженного деятеля наук, в 1979 г. она избрана член-корреспондентом АН Грузии, а в 1993 году действительным членом той же академии. В 1999

году Т. Каухчишвили награждают «Орденом Почета». Еще в 60-70-тые годы Т.Каухчишвили награждалась грамотой верховного совета Грузинской ССР (1960), правительственными медалями (1970). Но самая высокая награда для Т. Каухчишвили это премия имени академика Семена Каухчишвили, которую ей присвоила в 2008 году Национальная Академия Наук Грузии за труды по греческой эпиграфике.

И в завершение, в последние годы Тинатин Семеновна редко выходит из дома, но живет и трудится в старом режиме, со свойственной ей скрупулезностью и ответственностью она вновь на страже грузинской науки.

Свой юбилей, 90 лет со дня рождения, Тинатин Семеновна встречает третьим дополненным изданием «Корпуса греческих надписей в Грузии».

Выражаю надежду, что и впредь Т. Каухчишвили будет первым ценителем и первочтецом новых греческих надписей, выявленных на территории Грузии.

ქალბატონო ჯულიეტა! დიდი პატივი მერგო მოგესალმოთ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების სახელით.

ქალბატონო ჯულიეტა! ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმი თქვენ, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის დღევანდელ ლიდერს, უმწიკვლო მოქალაქეს, ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიის კარდინალური პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ასეულობით ნაშრომის ავტორს, წინამორბედ დიდ მოღვაწეთა მიერ დაწყებული ეროვნული საქმის ღირსეულ გამგრძელებელს, ეთნოლოგთა რამდენიმე თაობის მისაბაძ აღმზრდელსა და გზის გამკვლევს, ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის მესაიდუმლეს, სხვათა ჭირ-ვარამის გამზიარებელსა და შემწეს, უღალატო მეგობარსა და კოლეგას, დიდი ოჯახის ბურჯს, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის ლაურეატს, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების სანიმუშო და ერთგულ წევრს

გულმხურვალედ გილოცავთ დაბადების 85 და სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობის 60 წლისთავს. გვჯერა, რომ შემდგომ საიუბილეო თარიღს ჩვენი ქვეყნისათვის, ქართული მეცნიერებისა და კულტურისათვის ასეთივე შემართებული შეხვდებით. გისურვებთ ყველა თქვენი სანუკვარი ჩანაფიქრის და ოცნების აღსრულებას. მეცნიერული ძიებებით მონიჭებულ დიდ სიხარულს. იდღეგრძელეთ. იხარეთ.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმი.

ეს ოფიციალური ადრესი იყო. ახლა მცირე შესავალს გავაკეთებ და მეორე ტექსტსაც გაგაცნობთ. საქმე ისაა, რომ ამ რამდენიმე წლის წინ კათედრაზე ჩემმა მოწაფეებმა "ტესტირება ჩამიტარეს". აღმოჩნდა, რომ პირველ ცხოვრებაში (არის ასეთი თვალსაზრისი, რომ ადამიანი რამდენჯერმე ევლინება ამ ქვეყანას) რუმინელი ვეოფილვარ, თან მამაკაცი და თან ტომის ბელადიც. სხვათა შორის, ტომის ბელადობა ძალიან მომეწონა. ახლა, როდესაც ამ იუბილესათვის ვემზადებოდი, მინდოდა, დღევანდელი დღე არაჩვეულებრივი ყოფილიყო.

ქ-ნი ჯულიეტა ამას ყოველმხრივ იმსახურებს. ვიფიქრე, მოდი, ჩავიხედავ ქ-ნ ჯულიეტას წინა ცხოვრებაშიც. აღმოვაჩინე, რომ ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში ქალბატონი ჯულიეტა მეფეთა-მეფე ყოფილა ერთი გვიანხეთური სამეფო-სამთავროსი. ისიც აღმოვაჩინე, რომ მას იეროგლიფური ლუვიური დამწერლობით შეუსრულებია არაჩვეულებრივი წარწერა, რომელიც არქეოლოგების მიერ არის აღმოჩენილი. წარწერა ორთოსტატზე, ერთ-ერთი სასახლის ტერიტორიაზეა ამოკვეთილი. მისი გაშიფრვა ბოლო დრომდე ჭირდა. შევეცადე გამეშიფრა და დღეს თქვენთვის ეს ჩემი პატარა ნაშრომი წარმომედგინა. წინასწარ იმასაც მოგახსენებთ, რომ ყველა ამ წარწერას, იქნება ეს ლუვიური იეროგლიფებით შესრულებული თუ ლურსმული დამწერლობით, ერთი სტრუქტურა აქვს: წარწერები შედგება სამი ნაწილისაგან: იწყება მეფის ტიტულატურითა და გენეალოგიით, შემდგომ მეფის ნამოღვაწარია აღწერილი, რასაც კრულვის ფორმულა მოსდევს. კრულვის ფორმულა წარწერის მომავალ შეურაცხმყოფელს ეძღვნება. წარწერა ასე იკითხება:





“მე ვარ მეფეთა—მეფე კულიეტა, მეფე—ლეოფლოის აკაკისა და ნაცვალიას ასულიი, ღმერთების ძიერ კურთხეულიი. დან-უნელთა უზენაესძა ღვთაებამ თარნ-უთასძა ჩემი მოღვაწეობის ამბავი ქვეყანას ამცნო. განმადიდა ჩრდილოეთსა და სამხრეთში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ბევრი ვეძროძე, ჩემს ქვეყანაზე და ხალხზე თეიერში ძრავალი უძილო ღამე გავაცარე. ღი-ურს ღი-ური ძევძაცე, სცვაცვია სცვაცვია, მოგზეებას — მოგზეება, რეკენზიას — რეკენზია, წიგნს — წიგნი, მოწათეს — მოწათე.

ძარიკაეაძს ჩემს ხალხთან ერთად ვიყავი. მას ერთგულად ვიცავდი. ახალ წელს ჩიჩილაკს ხითელი ვაძლებით ვრთავდი, 7 მაისის წვეძას

კოჭებამდე გაშლილი თმებით, ახლად აბიბინებული ძწვანე ბალახს შეხმიშველა ეკვეტებოდი. გაზაფხულის დადგომისას ებრძანებდი ცხვრის საწმისი ეიას ხეზე ჩამოეკიდათ. ქვეშევრდომებს ბერიკებისათვის ნიღბებისა და საძოსის დამზადებას ვავალებდი. სოფლებსა და ქალაქში სანოვაგით სავსე კალათებით ვამარაგებდი, სახლებში მისული ყმაწვილები ხელცარიელი რომ არ დარჩენილიყვნენ. შერხულებით და საფერხულო სიმღერებით ძორიდან ვჩკებოდი, ძოსავლისა და რთველის დროს მსხვერპლშეწირვისათვის სასახლიდან ნარს, ცხვარს, ბერს, ღვინოს და ლუდს ვაგზავნიდი. ძიცვალებულთა კულტს ერთგულად ალვასრულებდი. წინაპართა საფლავებს ყვავილებით ვამკობდი. ჩემი მეკვიდრეების დანმარებით სახლებს, სასახლეებს, კვამლებს, აუზებს, ნიდებს ვაგებდი. არხები და გზები გაძყავდა. ნალხს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ვასწავლიდი. ბეღლებს ხორბლითა და ქერით, ძარნებს ღვინით ვავსებდი. ჩემი მეფობის დროს ქვეყანაში მშვიდობა სუფევდა. ჩემი ოჯახის წევრებსა და ქვეშევრდომებს მოყვასის სიყვარულს, ბაკვეისაკენაა და ერთგულების კენ

მოკუწოდებდი. ვინც ჩემს დიკურს მიითვისებს, იტყვის, მთხრობელებთან ჩანაწერი მე შევასრულე, ლამაზი კალიგრაფიით გადავწერე და არქივში დავაუნჯო ან ჩემს წიგნებს ყდას დაუზიანებს, ან წიგნების გვერდს გადაკეცავს და უდიერად მოექცევა, ან სასანლოის ზოურბლზე ფეხს არ გაიწმენდს, ან ჩემს საგარძელზე გარე საძოსით ჩამოჯდომას განიზრახავს, ან ტრაპეზის წინ და შემდეგ ხელებს არ დაიბანს, ამ ქვეყნიდან სამუდამოდ წასულებს ბაღვის არ ძიაგებს, დაკრძალვის რიტუალს სწორად არ აღასრულებს, ანლობლებისა და მეგობრების ნსოვნას სათუთად არ შეინახავს, დე, ყოველივე ამის ჩადენი უზენაესმა ღვთაება თარნუნთასმა, ღვთაებებმა ქუბაბამ, რუვამ, სარმამ ჯარნუხამ შერისხონ და ძმვიდობა დაკარგვინონ. ასე ბრძანებს მეფეთ—მეფე ჯულიეტა, ძეფე—ღვთოფლის აკაკისა და ხაფალიას ძთამოძავალი, ოქერთების ძიერ შეყვარებული, ჩრდილოეთსა და სამხრეთში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში სანდალგანთქმული.

ასეთი იყო ქალბაღონი ჯულიეტა ძვ.წ. IX საუკუნეში და ასეთია დღესაც!

ქალბატონი ჯულიეტა რუხაძის ახალი მონოგრაფია

"ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში", თბილისი, 1999 წ.

დღეს უბედნიერესი დღეა: ვიხილავთ ჩვენი კოლეგის, ჩემი უსაყვარლესი მეგობრის, ღვაწლმოსილი მეცნიერის, უმწიკვლო მოქალაქის და უღალატო ქალბატონის ჯულიეტა რუხაძის ფუნდამენტურ გამოკვლევას, რომელიც, არ გადავჭარბებ თუ ვიტყვი, რომ XX საუკუნის ქართული და არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

როდესაც ქალბატონმა ჯულიეტამ ამ წიგნის რედაქტორობა შემომთავაზა, რასაკვირველია, სიხარულით დავთანხმდი. ეს შემოთავაზება ჩემთვის საპატიოც იყო და ამასთანავე ძალზე საპასუხისმგებლოც. პირველი 25 გვერდის წაკითხვისთანავე საოცარი სიხარულისა და სიამაყის გრძნობა დამეუფლა. მიხაროდა და მეამაყებოდა, რომ დიდი გიორგი ჩიტაიას საუკეთესო და ბოლომდე ერთგულმა მოწაფემ ქ-ნმა ჯულიეტამ, ასეთი მშვენიერი წიგნი გვაჩუქა; მიხაროდა და მეამაყებოდა, რომ ეს წიგნი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კედლებში შეიქმნა; მიხაროდა და მეამაყებოდა, რომ ეს მონოგრაფია ჩემმა უახლოესმა მეგობარმა დაწერა. ასეთი სიამაყენარევი სიხარულის

განცდით ვკითხულობდი ხელნაწერს გასული წლის ზაფხულის მცხუნვარე დღეებში. ასეთი გრძნობითა ვარ განმსჭვალული დღესაც, უკვე გამოქვეყნებული, ამ მშვენიერი წიგნის პრეზენტაცია-განხილვისადმი მიძღვნილ სხდომაზე.

წიგნი კომპიუტერზე იწყობოდა. ქ-ნი ჯულიეტა ნაწილ-ნაწილ მაწვდიდა მას. სულმოუთქმელად ვკითხულობდი. ქართული დღესასწაულის განუმეორებელ სამყაროსთან განშორება მიჭირდა, თან გაგრძელება მაინტერესებდა. მივიჩქაროდი ქ-ნ ჯულიეტასთან წიგნის ახალი თავების გასაცნობად. ბევრს ვსაუბრობდით. ჩვენი ურთიერთობის ეს დღეები ტკბილ მოგონებად დიდხანს გამყვება!

როდესაც ამ არაჩვეულებრივი წიგნის ხელნაწერის კითხვა დავასრულე, გავიფიქრე: წიგნში საქართველოს არც ერთი მხარე, მთა იქნება იგი, მთისწინეთი, ბარი, აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი თუ სამხრეთი, ავტორის თვალთახედვის გარეშე არ დარჩენილა. ნეტავი არსებობდეს საქართველოს ისეთი ელექტრიფიცირებული რუკა, სადაც ქ-ნი ჯულიეტას მიერ შესწავლილი ყოველი პუნქტი თითო ნათურით იქნებოდა წარმოჩენილი. ჩავრთავდი ელექტროქსელში ამ ჯადოსნურ რუკას და საქართველო მზესავით გაბრწყინდებოდა; კიდევ ერთხელ დავრწმუნდებოდით, რომ მშვენიერი ქვეყნის შვილები ვართ და დიდი კულტურის მემკვიდრეები.

დღეს არაერთგზის აღინიშნა, რომ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი წიგნი უმდიდრეს წყაროთმცოდნეობით ბაზას ეფუძნება. ისიც ითქვა, რომ მონო-გრაფიაში მოხმობილი ეთნოგრაფიული მასალის ძირითადი ნაწილი თავად ავტორის მრავალწლიანი თავგანწირული შრომის შედეგადაა შეკრებილი. მე წიგნის კიდევ ერთ ღირსებაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ქ-ნი ჯულიეტას გამოკვლევაში ძალზე მნიშვნელოვან პარალელურ მონაცემებს ვხვდებით. ფართოა მათი ქრონოლოგიური და გეოგრაფიული არეალი. წიგნში სრულადაა წარმოდ-გენილი მსოფლიოს ყველა კონტინენტზე მოსახლე ხალხების ყოფისა და კულტურის ის ელემენტები, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ უკავშირდება ავტორის საკვლევ პრობლემატიკას (გამონაკლისს, რასაკვირველია, ანტარქტიდა წარმოადგენს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ავტორს არც ამ კონტინენტის საიდუმლოებათა ამოხსნა გაუჭურდებოდა!).

ვფიქრობ, რომ განსახილველი წიგნი განსაკუთრებით საინტერესო და გასათვალისწინებელი იმათთვისაა, ვინც ჩვენი კულტურის შესახებ ან არაფერი, ან ცოტა რამ იცის.

დარწმუნებული ვარ, იგივე გიუტერბოკს, ჰაასს, ლაროშს ან სხვა იმ ავტორებს, რომლებიც ათწლეულების მანძილზე სწავლობდნენ ძველი სამყაროს მითოლოგიას, ქ-ნი ჯულიეტას მიერ შეკრებილი და გამომზეურებული უნიკალური მასალა ხელთ რომ ჰქონოდათ, ტელეფინუს

მითს, ოქროს საწმისთან, თამუზთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს, რიტუალებს, მითოლოგიურ მოტივებს სულ სხვაგვარად გაიაზრებდნენ.

ამასთანავე, უნდა ითქვას შემდეგიც: პარალელური მასალის მოხმობისას თავად ავტორი ძალზე მნიშვნელოვან დაკვირვებებს გვთავაზობს. ასე, მაგ., ქ-ნმა ჯულიეტამ ქართული და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა დასვა საკითხი ძველეგვიპტურ anhkh-თან სვანური "ანგ"-ის იდენტიფიკაციის შესახებ. ეს მიგნება, სასურველია, ძველი ეგვიპტური მითოლოგიისა და კულტურის სპეციალისტებისთვისაც გახდეს ცნობილი.

მართალია, წიგნს ახლავს ბ-ნი არიანე ჭანტურიას მიერ ქართულიდან ინგლისურად ბრწყინვალედ თარგმნილი რეზიუმე, მაგრამ, ვფიქრობ, ეს საკმარისი არ არის. წიგნი მთლიანად უნდა ითარგმნოს ერთ-ერთ ევროპულ ენაზე და ხელმისაწვდომი გახდეს მსოფლიოს წამყვანი ეთნოლოგების, ისტორიკოსების და კულტუროლოგებისათვის. მჯერა, რომ ეს სერიოზული გამოკვლევა ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს, პირველ რიგში, ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის მკვლევართ. საქმე ისაა, რომ შუამდინარულ, მცირეაზიურ თუ ძველეგვიპტურ ეპოსში, მითებში, რიტუალებში წარმოდგენილი ძველი, აწ უკვე აღარ არსებული, ხალხების რწმენა-წარმოდგენების შესახებ დღეს მხოლოდ წერილობითი წყაროების საშუალებით

შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ხოლო ქ-ნი ჯულიეტას მიერ წარმოჩენილი მასალა გვიჩვენებს, რომ იმ ძველი სამყაროს მითოლოგიური სისტემების თუ მოდელების, ძველი რწმენა-წარმოდგენების პლასტების რეკონსტრუქცია ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე საკსებით შესაძლებელია.

დღევანდელ დღეზე როცა ვფიქრობდი, ერთი სურვილი არ მასვენებდა. მინდოდა ყვავილებთან ერთად ეს დარბაზი მთელი იმ ატრიბუტიკით მოგვერთო, რომელიც ბერიკაობა-ყვენობას ახასიათებს (რასაკვირველია, ფალიკური სიმბოლიკისა და თოვლის კოშკების გარდა). ალბათ, ჩვენს დღევანდელ შეკრებას დაამშვენებდა ბერიკების ნიღბები, დროშები, ქათმისბუდეებიანი და წოწოლა ქუდები და ა.შ. მაგრამ ვპირდები ქ-ნ ჯულიეტას, რომ როდესაც მის მრგვალ საიბილეო თარიღს აღვნიშნავთ, დარბაზს ზუსტად ასე მოვრთავთ. შევქმნით იმ მშვენიერ სამყაროს, რომელიც ქ-ნმა ჯულიეტამ თავისი ტიტანური შრომის შედეგად მიუძღვნა თითოეულ ჩვენგანს.

ყოველი წიგნი თავის ავტორს ჰგავს. ქ-ნი ჯულიეტას გამოკვლევა მასავით ამაღლებული, განუმეორებელი და მშვენიერია! იცოცხლეთ და გაიხარეთ!

ბოლოსიტყვაობის მაგიერ
INSTEAD OF EPILOGUE
ВМЕСТО ПОСЛЕСЛОВИЯ

ახლაც ერთად ვართ!

დრო უმოწყალოდ მირბის. გასაელელი გზის მონაკვეთი თანდათან ილევა. საყვარელ ადამიანებს ვკარგავთ და თითქოს სიხარულის მიზეზებიც მათ თან მიჰყვება. მაგრამ ყოველი ჩვენგანის არსებაში არის იდუმალებით მოსილი მეხსიერების ზარდახშა, რომელიც გარდასულ ჟამთა სიხარულს სათუთად ინახავს. როდესაც ძალზე გვიჭირს, მას მივაკითხავთ. იქაა ჩვენი ბავშვობა და ყრმობა. იქ კვლავ ერთად ვართ, ამ ქვეყნად დარჩენილნიც და სამუდამოდ წასულნიც. აი, ამ ჯადოსნურ ზარდახშაში ვხვდები ჩემს მეგობრებს, რომელთაც სხვადასხვა დროს დაგვტოვეს. აქ ვხვდები ჩემს გურამ თოფურიას, ლაშა ჯანაშიას, ეკა პრივალოვას, ლია წინამძღვრიშვილს, გურამ ლორთქიფანიძეს, გოგი ტოროშელიძეს, თენგიზ თოდრიას... ვერაზე ვიკრიბებით, ყაზბეგის ქუჩის დასაწყისში, ჩემს სახლთან ახლოს. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისაკენ მივეშურებით, იქ, საქართველოს ისტორიის კაბინეტში ირინე მიქელაძე, ჩვენი უსაყვარლესი დეიდა ირინე გველოდება. ამ არაჩვეულებრივ ქართველ მანდილოსანს ჩემი მეგობრები და მე ცხოვრების ყველაზე მშვენიერ წლებში შევხვდით.

ისიც იყო დამთავრდა ბავშვობა. დაიწყო ყრმობის განუმეორებელი ხანა, როდესაც ყველაფერი გვახარებდა: გაზაფხულის სურნელიც, თოვლიანი ზამთარიც, ერთმანეთის ნახვაც, პირველი სასიყვარულო ბარათებიც, თებერვალში მორთმეული ყოჩივარდების კონაც, ხელნაწერებით გავრცელებული ანა კალანდაძის ლექსებიც... ხანა, როდესაც პირველად ვეზიარეთ ჭეშმარიტ ლიტერატურას, კლასიკურ, მათ შორის, საოპერო მუსიკას, როდესაც მუზეუმების საგამოფენო დარბაზებში პირველად ვიხილეთ ფიროსმანის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილოები...

საქართველოს ისტორიის კაბინეტში მაგიდას გარშემო ვუსხედვართ. ირინე მიქელაძის მიერ შერჩეულ წიგნს რიგრიგობით ვკითხულობთ ან მომავალი ექსკურსიის მარშრუტზე ვმსჯელობთ, ან მოსწავლეთა ტრადიციული ყოველწლიური კონფერენციის მომავალ გეგმას ვადგენთ. განსაკუთრებული მონდომებით სწორედ ექსკურსიებისა და კონფერენციებისათვის ვემზადებოდით. ჩვენს მოხსენებებს მაშინ საკმაოდ კარგად ცნობილი ქართველი ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები ესწრებოდნენ. ვღელავდით, ვცდილობდით საკონფერენციო დარბაზიდან დასმულ კითხვებზე სრულ-

ყოფილი პასუხები გაგვეცა, ამგვარი საპასუხისმგებლო შეკრებების დროს სხვა „სერიოზული“ საქმითაც ვიყავით დაკავებულნი: გოგონები და ბიჭები ერთმანეთს სხვადასხვა ფსევდონიმებით ხელმოწერილ ბარათებს ვუგზავნიდით, თუმცა, რაკი ერთმანეთის კალიგრაფიას კარგად ვიცნობდით, ბარათების ავტორების ვინაობის დადგენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ჩემს პირად არქივში არაერთი ასეთი ბარათი ინახება. მათ შორის გურამ თოფურიას მიერ „დაწუნებული“ ლექსიცაა, რომელიც მას „უცხო გოგონას“ სახელით ჩვენმა მეგობარმა თამაზ ჭილაძემ გაუგზავნა (აქვე შევნიშნავ, რომ სკოლის წლებში თამაზი არაჩვეულებრივ ლექსებს წერდა. აღტაცებული იყო ფრანგული პოეზიით, აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მიუსეს და სიული-პრიუდომის შედევრებზე). გურამისადმი მიძღვნილი ლექსი თამაზმა ასე დაასათაურა: „უცხო გოგონას წერილი გურის“. ჩემი მეგობარი, ალბათ, არ მიწყენს, თუ ამ სახუმარო ლექსის რამდენიმე სტროფს მოვიყვან:

„ორი გული მაქვს, არ ვიცი,
რომელს დავუდგე დარაჯად,
სიცხე ჩამოწვა დარბაზში,
ვით თოფურიას ფარაჯა.

დარბაზში შენი თვალები
როგორც ფარნები ანთია,
შენ გულში მხოლოდ მე ვიცი,
თუ ვისი სახე ხატია.
ზემელზე მითხარ, მოდიო,
მოვედი, შენ კი არ იყავ,
იქნება ეს სიყვარული
უცხო ვინმესთვის გაიყავ.
ორი გული მაქვს:
ერთი ხომ შენც იცი,
ვისი ტოლია, იქნება შენი
ოცნება ის ლედი გამილტონია.
ხვალე ამოვალ ვაკეში,
სისხლს დავღვრი შენი სახლის წინ,
თუ შენი სხვასთან არშიყით
დავიწყებაში გამისვრი".

გურამმა ლექსი მერხზევე დატოვა, მე კი ჩემს ბარათებთან ერთად სახლში წავიღე და დღემდე რელიკვიასავით ვინახავ!

მაშინ ჩემი მეგობრების უმრავლესობას, ალბათ, ლაშა ჯანაშიას მიბაძვით, შესაძლოა – მოწოდებითაც, ისტორიკოსობა ჰქონდა გადაწყვეტილი. რაკი გურამი

ე.წ. „ნორჩ ისტორიკოსთა“ ჯგუფის აქტიური წევრი იყო, ვფიქრობდი, ისიც ამ პროფესიას აირჩევდა, თუმცა ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რომ იგი თავისი დიდი მამის – ვარლამ თოფურიას კვალს გაჰყვებოდა, თავის მომავალს ენათმეცნიერების სამსახურს მიუძღვნიდა. ასეც მოხდა. უმრავლესობამ ისტორიის ფაკულტეტს მივა-შურეთ, გურამმა – ფილოლოგიისას. გურამისაგან ჩინებული ენათმეცნიერი დადგა. ბრწყინვალედ დაეუფლა ურთულეს კავკასიურ ენებს, ქართული მეცნიერება საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც მრავალგზის ასახელა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩემთან ხშირად ვიკრიბებოდით. „დისკუსიებს“ ვმართავდით. ბევრს ვკამათობდით „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ავ-კარგზე. საერთოდ, ქართულ კლასიკას საკმაოდ კარგად ვიცნობდით. VI-VII კლასებში ბევრს ვკითხულობდით. თითქოს ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ვინ მეტ წიგნს წაიკითხავდა. ძალზე გვიზიდავდა სათაგადასავლო მხატვრული ლიტერატურა. ვკითხულობდით ჟიულ ვერნის, მაინ რიდის, ჯეკ ლონდონის, დიუმას თხზულებებს. მშობლებისაგან მალულად გი დე მოპასანის მოთხრობებს და ფლობერის „სალამბოსაც“ გავეცანით. არც რუსულ

მხატვრულ ლიტერატურას, განსაკუთრებით, ჩეხოვის, ტურგენევის შემოქმედებას ვივიწყებდით. მოგვიანებით ჰემინგუეის რომანებმა განსაკუთრებით გაგვიტაცა. მახსოვს, როგორ დავეწაფეთ „ფიესტას“, რომლის საკმაოდ შელახული და დაფურცლული ეგზემპლარი გოგი ტორო-შელიძემ მოგვიტანა. ჩვენი ბიჭები აქტიურად იყვნენ ჩართული წიგნის ფურცლების განაწილება-შეკრებაში. შემდეგ ხან შეხვედრისას, ხან კი სატელეფონო საუბრისას ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით.

ომის წლებში ჩვენი ბიჭები ფრონტის წინა ხაზზე მოსახვედრად გეგმებს აწყობდნენ. გურამი და ლაშა ინგლისურ და ფრანგულ ენებთან ერთად გერმანულსაც სწავლობდნენ. ამიტომ გადაწყვეტილი ჰქონდათ ფრონტზე თარჯიმნებად ემუშავათ. მართალია, კარგად ესმოდათ, რომ 12-13 წლის ასაკში ფრონტზე არავინ წაიყვანდა, მაგრამ ამ თემაზე მაინც ბევრს საუბრობდნენ და გაუთავებელ გეგმებსაც აწყობდნენ. დიდი სურვილი ჰქონდათ ფრონტზე თარჯიმნად მეც წავეყვანეთ (გერმა-ნულს მეც ვსწავლობდი). მათ განსაკუთრებულ ინტერესს არა იმდენად ჩემი თარჯიმნობა, რამდენადაც ფრონტზე ჩემი ჩაცმულობა და აღჭურვილობა იმსახურებდა. მეკითხებოდნენ, ჩექმებით ვიელიდი თუ ჩვეულებრივი

ფეხსაცმლით, ხოლო თუ ჩექმით, მაშინ შევძლებდი თუ არა ე.წ. „პორტიანკების“ (ფეხსაკრავის) ხმარებას.

ომის დროს აკადემიკოსების ოჯახებს ე.წ. „დახურული მაღაზიები“ ემსახურებოდა. როგორც შემდგომ გაირკვა, სურსათთან ერთად, მათ ხაკისფერი შალის ქსოვილითაც ამარაგებდნენ. გურამსა და ლაშას ამ ქსოვილისგან საკმაოდ კოხტად, სამხედრო თარგზე შეკერილი, ქამარშემორტყმული ბლუზები ეცვათ, მაგრამ გურამის დედამ, ქალბატონმა თამარმა გურამისათვის ამავე ნაჭრისგან ქუდიც – კეპიც შეუკვეთა. გურამმა ეს ქუდი პირველი დანახვისთანავე შეიძულა, მაგრამ, როგორც კარგად აღზრდილ და თვინიერ ვაჟს, დედისათვის ქუდისადმი უარყოფითი განწყობის განმხელა ეუხერხულა. ქუდის გადაგდება კიდევ უფრო დიდ მკრეხელობად მიიჩნია, მაგრამ თავიდან ქუდის აცილების საკუთარი „მეთოდი“ მაინც შეიმუშავა. როგორც წესი, ქუდი „ეკარგებოდა“, ხან საკლასო ოთახში, ხანაც – მეგობრებთან. რამდენჯერმე გურამისათვის ამ არასანუკვარმა თავსაბურავმა ჩემთანაც დაიდო ბინა. ქალბატონი თამარი „საძიებო ოპერაციებს“ წარმატებით ატარებდა. ქუდი, როგორც წესი, თოფურიების ოჯახში ბრუნდებოდა. გურამი თავის „მეთოდს“ მაინც არ ღალატობდა. ასე

გავიდა ზამთრის გრძელი დღეები. გაზაფხულზე ქალბატონმა თამარმაც, გურამმაც, და, ალბათ, ქუდმაც შვებით ამოისუნთქეს.

მე-6 თუ მე-7 კლასში ვიყავით, როდესაც გურამი და ჩემი მეგობარი ბიჭები გაკვეთილების შემდეგ მესტუმრნენ, შეშფოთებული და შეშინებული ჩანდნენ. ჩემთან, უფრო სწორად, მამაჩემთან კონსულტაციისათვის მოვიდნენ. ვინაიდან მამა ექიმი იყო, მასთან უნდა დაეზუსტებინათ, პაპიროსის ერთგზის მოწევა ტოვებდა თუ არა კვამლს ფილტვებში. აღმოჩნდა, რომ ბიჭებს სკოლაში სამედიცინო შემოწმება ელოდა. მათ ეშინოდათ, რომ რენტგენის აპარატი ერთხელ მოწეული პაპიროსის კვალს დაადასტურებდა. თან მაფრთხილებდნენ, მამას არ უთხრა, ვისთვის გესაჭიროება ეს ინფორმაციაო. მამამ მომისმინა, გამიღიმა და მითხრა: გადაეცი შენს მეგობრებს, რომ ფილტვებში კვამლი არ გამოჩნდებაო. თან დააყოლა, მიხარია, ასეთ ბიჭებთან რომ მეგობრობო.

ერთად დავდიოდით თეატრებში, ოპერისა და ბალეტის თეატრში. ხშირად ვესწრებოდით სიმფონიური მუსიკის კონცერტებს, თუმცა გლენ მილერის, ედი როზნერისა და სხვათა საესტრადო ორკესტრების მიერ შესრულებული, იმ დროს ძალზე პოპულარული მუსიკაც

გვიტაცებდა. ომის შემდგომ ევროპელი კინოვარსკვლავების – ვივიენ ლის, ლორენს ოლივიეს, მარიკა როკის, დინა დურბინის, მილიცა კორიუსის, ჯანეტ მაკდონალდის, ედი ნელსონის, ტაირონ პაუერის უზადო ხელოვნებასაც ვეზიარეთ. კარგად ვერთობოდით ერთმანეთის დაბადების დღეებზედაც. ევროპული ცეკვების გაკვეთილებს რუსთაველის სახელობის თეატრის იმხანად საკმაოდ ცნობილი, მსახიობი და კოლორიტული პიროვნება ლაზარე ყაზაიშვილი საკუთარ ბინაში გვიტარებდა. ცოტა გავოცდით, როდესაც გაირკვა, რომ მას სახლში არავითარი მუსიკალური ინსტრუმენტი არ გააჩნდა. მაგრამ ეს „ხარვეზი“ ლაშა ჯანაშიას პატეფონმა შეავსო. ლაზარე ყაზაიშვილი გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობდა. ბიჭებს – თემურ საყვარელიძეს, ლაშა ჯანაშიას, გურამ გაბრიჩიძეს და, რასაკვირველია, გურამ თოფურიას პატეფონი რიგრიგობით დაჰქონდათ, გოგონები კი გაბადრული სახეებით გვერდს „ვუმშვენებდით“. ბატონი ლაზარე ბიჭებს დაბეჯითებით უმეორებდა, ცეკვის დროს თავაზიანი და მოღიმარი ყოფილიყვნენ. თან იმასაც დასძენდა, ცეკვის დროს პაპიროსის მოწევა ყოვლად მიუღებელია, უფრო მეტიც – უზრდელობაა. ყველაზე დიდი პარადოქსი კი ის იყო,

რომ ორი საათის განმავლობაში თავად ჩვენი პედაგოგი საცეკვაო ილეთებს ხელში ანთებული პაპიროსით გვიხსნიდა. უკანა გზაზე გურამი აღშფოთებას ვერ მალავდა. ამბობდა: „ერთს გვასწავლის და თვითონ კი სხვაგვარად იქცევაო“. მაგრამ ამ გაკვეთილების შედეგი მაინც ნაყოფიერი აღმოჩნდა: დაბადების დღეებზე „ტანგოს“, „ფოქსტროტს“, „ვალსს“ საკმაოდ კარგად ვასრულებდით.

ყაზაიშვილისეული „გაკვეთილების“ ხიბლი განსაკუთრებით 1949 წელს ვიგრძენით. ამ წელს საშუალო სკოლა ოქროს მედლებით დავამთავრეთ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადახვა ფაკულტეტზე უგამოცდოდ ჩავირიცხეთ. გურამ თოფურიას, თემურ საყვარელიძის, ლია წინამძღვრიშვილის, ნანა ცაგარეიშვილისა და ჩემმა მშობლებმა ბორჯომის ერთ-ერთ საუკეთესო სანატორიუმში დასასვენებელი საგზურებით „დაგვაჯილდოვეს“. ჩვენს ცხოვრებაში პირველად მივემგზავრებოდით დასასვენებლად მშობლების გარეშე. სადგურის ბაქანზე მშობლების დამოძღვრას მაინც ვერ ავცდით. ლია წინამძღვრიშვილის დედა გვაფრთხილებდა: „თუ ბაკურიანში „კუკუშკით“ წასვლას გადაწყეტთ, ღია ვაგონს მოერიდეთ, მოაჯირზე არ

დასხდეთ, გადავარდებითო“. დედები გვთხოვდნენ, წონაში მოგვემატა და ადრე დაგვეძინა. მაგრამ, როგორც კი თავისუფლება მოვიპოვეთ, ყველა დარიგება უმალვე დავივიწყეთ: ბაკურიანში „კუკუშკის“ ღია ვაგონით ვიმგზავრეთ, მოაჯირზედაც ვისხედით, ემღეროდით კიდეც, გვიანაც ვიძინებდით. ყოველ საღამოს ბორჯომის ზღაბრული პარკისაკენ მივიჩქაროდით. ხან ღია ესტრადაზე გამართულ კონცერტებს ვესწრებოდით, უმთავრესად კი იქვე შესანიშნავი ორკესტრის თანხლებით თავდავიწყებით ვცეკვავდით. მართალია, ჩვენს „რაინდებს“: გურამს, თემურსა და შოთიკო ჭანიშვილს, რომელიც ასევე ბორჯომში ისვენებდა, გული რუსი გოგონებისაკენ მიუწევდათ, მით უმეტეს, რომ ისინი კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულები, ქართველ ბიჭებს მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ ჩვენი მეგობრები ხათრს არ გვიტეხდნენ, მხოლოდ ჩვენთან ავლენდნენ ცეკვის „სასწაულებს“.

იმ ზაფხულს გურამი მშობლების „დიქტატს“ მაინც ვერ ასცდა. იძულებული გახდა, თბილისისკენ გეზი ჩვენზე ადრე აეღო. თბილისში ჩასვლისთანავე ბორჯომში წერილი გამოგვიგზავნა. გვწერდა, რომ „ფოსტალიონის“ მისია სრულად შეასრულა. ჩვენი წერილების დარიგებას მთელი დღე მოანდომა. წერილს ასე ამთავრებდა:

„როგორც მოგეხსენებათ, თბილისში 11-ის ნახევარზე ჩავედი და წვიმით გაგრილებული თბილისური ჰაერი მესალბუნა, ბედნიერად ვიგრძენი მაშინ თავი ჩემი, მაგრამ უბედურად ვგრძნობ თავს, რომ ხვალ დილის 6 საათზე უნდა დავტოვო თბილისი. კისლოვოდსკს გადავწყვიტეთ წასვლა. რადგან არ ვარ ჯიუტი შვილი (ისე კი დიდხანს გვქონდა პაექრობა, დავმარცხდი, რადგან „რა ერთსა გცემდნენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიანო", – ნათქვამია)... თქვენი მფარველი ანგელოზი – გურამი. 1949 წლის 4 აგვისტო".

იმ შორეული წლების ერთ-ერთ მ'შვენიერ მოგონებად, რასაკვირველია, „გომბორობა" რჩება. ირინე მიქელაძე კახეთის სიძველეთა გასაცნობად ექსკურსიისათვის მზადებას შეუდგა. მომავალი მოგზაურობის მარშრუტიც წინასწარ განსაზღვრა. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავტობუსი მომავალი „ისტორიკოსებისა" და „ფილოლოგების" ნათელი სახეებით აივსო. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ჩვენზე უდიდესი შთაბეჭ-დილება მოახდინა. ჩვენი თვალით ვიხილეთ, თუ როგორ იწრთობოდა ქართული ფოლადი. თავი ზღაპარში გვეგონა. ავტობუსში დაბრუნებულები აღფროთოვანებას ვერ ვმალავდით. გეზი გომბორის უღელტეხილისკენ

ავიღეთ. ყველაზე საინტერესო თურმე იქ გველოდა. მზე მთებს მიეფარა, არემარეს ბინდი მოეფინა. ამ დროს ჩვენმა მძღოლმა ტრაგიკული ხმით განაცხადა: „მანქანის ძრავა მწყობრიდან გამოვიდა, გზას ველარ განვაგრძობთ!“. ორიოდე მსუბუქმა მანქანამ ჩაგვიქროლა. შემდეგ საავტომობილო გზა, თითქოს განგებ, გაირინდა. გომბორზე, გზის პირას, მაღალი ბუჩქების ჩრდილში გატარებული ეს ღამე უდიდესი დღესასწაულივით მახსენდება. ბიჭებმა ინიციატივა ხელთ იგდეს. კოცონიც ააგიზგიზეს და ათასნაირი ამბებით გვართობდნენ. ჩვენს შეშინებასაც ცდილობდნენ. კონან დოილის მოთხრობების საშინელებებით აღსავსე საკუთარ ვარიანტებს იქვე თხზავდნენ. და ამ დროს ნისლიან ჰორიზონტზე ორი ბოხოხიანი და შავნაბადიანი სილუეტი გამოჩნდა. გოგონები შიშისაგან ერთიმეორეს მივეკარით. დაუპატიჟებელი „შაოსნების“ დანახვა ბიჭებსაც არ ესიამოვნათ. შემდგომ აღმოჩნდა, რომ ისინი კახელი მწყემსები იყვნენ. თავად გაკვირვებული ყოფილან, გზის პირას კოცონი რომ დაუნახავთ. გათენდა, ღრუბელი გადაიყარა. ნისლიც სადღაც გაუჩინარდა. მზემ კვლავ გაგვახალისა. ავტობუსთან უცხო მამაკაცები ჩვენს მძღოლთან ერთად ფუსფუსებდნენ. ამ დროს ლაშა ჯანაშიამ განაცხადა, რომ იგი დიალექ-

ტიკური მატერიალიზმის ფუძემდებელია. მართალი გითხრათ, თუ რას ნიშნავდა „დიალექტიკური მატერიალიზმი“, ლაშას გარდა, მაშინ არავინ ვიცოდით. ვგრძნობდით, რომ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მის „ფუძემდებელს“ ხელში ბლოკნოტი ეკავა და გამალებით რაღაცას წერდა. გურამ თოფურიამ უფრო ამაღლებული და რომანტიკული გადაწყვეტილება მიიღო: ნანა ცაგარეიშვილი, მარინე კეცხოველი და მე ვარდებად, ხოლო საკუთარი თავი ბულბულად გამოაცხადა. სურათიც გადავიღეთ, რომელსაც ასევე შევარქვით: „ბულბული და სამი ვარდი“. მართალია, ღამენათევები ვარდებს, ბუნებრივია, არ ვგავდით; გურამმაც მაინცდამაინც ვერ იბულბულა. შუადღე უკვე გადასული იყო, ხოლო ბულბული, ჩვეულებრივ, განთიადზე გალობს...

1952 წელს საცხოვრებლად მოსკოვში გადავედი. სწავლა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე განვაგრძე. მეგობრები მენატრებოდა. ეპისტოლურ ჟანრს არ ვღალატობდით. თბილისური ამბები მოსკოვში სწრაფად აღწევდა. და აი, 1954 წლის სუსხიანი ზამთრისა და გრილი გაზაფხულის შემდეგ მოსკოვს ზაფხული ესტუმრა. სითბოსთან ერთად ისიც მახარებდა, რომ

პუშკინის სახელობის მუზეუმი დრეზდენის გალერეის შედევრებს მასპინძლობდა.

გამოფენაზე შესაღწევად საკმაოდ გრძელ რიგში აღმოვჩნდი. უცბად ჩემს წინ ორი ნაცნობი თავი შევნიშნე: ერთი მუქი წაბლისფერთმიანი, მეორე – ქერა. გურამი და ლაშა ჩემსავით რიგში იდგნენ. სიხარულით ცას ვეწიე. უმალვე მათ წინაშე გავჩნდი. ერთ წამში დაბრუნდა ბავშვობისა და ყრმობის განუმეორებელი წლები. ბილეთებიც ვიყიდეთ, გამოფენაც ერთად დავათვალიერეთ. იქვე დავთქვით, რომ მეორე დღეს კინოში წავიდოდით. რუსული ფილმების რეტროსპექტული ჩვენება ავირჩიეთ. კინოეკრანიდან ეიზენშტეინისეული ჯავშნოსანი პოტიომკინის დრამატული ისტორიით დამძიმებული კადრები ერთიმეორეს ენაცვლებოდა, ჩვენ კი ჩაბნელებულ კინოდარბაზში ბედნიერი და გახარებული სახეებით ვისხედით. ჩვენ ხომ კვლავ ერთად ვიყავით!...

ცხოვრებამ ვერც შემდგომ დაგვაშორა!

ახლაც ერთად ვართ!

შინაარსი
CONTENTS
СОДЕРЖАНИЕ

წინათქმა . 3
Forword 5

ძველი კავკასია და ახლოაღმოსავლეთი (ისტორია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიული გეოგრაფია, კულტურა) 7
ANCIENT CAUCASUS AND NEAR EAST (HISTORY, SOURCE-STUDY, HISTORICAL GEOGRAPHY, CULTURE) 7
ДРЕВНИЙ КАВКАЗ И БЛИЖНИЙ ВОСТОК (ИСТОРИЯ, ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ, ИСТОРИЧЕСКАЯ ГЕОГРАФИЯ, КУЛЬТУРА) 7

ლუვიური ორი იეროგლიფის ისტორიისათვის 9
К истории лувийских двух иероглифов . . 23
(ქართული წყაროთმცოდნეობა, XI, 2006, გვ. 16-24).
ლუვიური იეროგლიფების ისტორიისათვის . . 24
К истории лувийских иероглифов 33
ON THE HISTORY OF THE LUWIAN HIEROGLYPHS 33
(ხაზარაძე ნ., ლუვიური იეროგლიფების სამყაროში, თბილისი, 2006, გვ. 65-115.)
TOWARDS THE IDENTIFICATION OF LUWIAN HIEROGLYPHS DENOTING FAUNA OF ANCIENT ASIA MUNOR 34
ძველი მცირეაზიური ცხოველთა სამყაროს ამსახველი ლუვიური იეროგლიფების იდენტიფიკაციისათვის . . 44
Bulletin of Georgian National Academy of Sciences, vol. 1 (vol. 175), no. 3, Tbilisi, 2007, p. 138-142.
Хеттско(лувийско)-иероглифические надписи как источник социально-экономической истории позднехеттского общества . 45
ხეთურ(ლუვიური)-იეროგლიფური წარწერები როგორც გვიანხეთური ხანის საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური ისტორიის წყარო . . . 52
(კონფერენცია, XXX Recontre Assyriologique Internationale, Leiden, 1983).

ROYAL POWER IN LATE HITTITE
POLITICAL ENTITIES 53
სამეფო ხელისუფლება გვიანხეთური ხანის
პოლიტიკურ გაერთიანებებში 62
(საერთაშორისო კონფერენცია Gesellschaft und Kultur im alten Vorderasien, Akademie-verlag, Berlin, 1982).
THE "WESTERN MUSHKI" IN CENTRAL ANATOLIA 63
„დასავლელი მუშქები" ცენტრალურ ანატოლიაში 73
(კონფერენცია: XXXI Recontre Assyriolo-gique Internati-onale, Leningrad, 1984. History and Languages of Ancient Orient: I. M. Diakonoff memorial volume, p. 307-313).
К истории термина "ТАБАЛ" Ассирийских
письменных источников 74
THE TERM "TABAL" OF ASSYRIAN EVIDENCE 85
(Кавказско-Ближневосточный сборник VII, Тбилиси 1984).
THE ETHNOPOLITICAL ENTITIES OF EASTERN ASIA MINOR
IN THE FIRST HALF OF THE FIRST MILLENIUM BC . . . 86
აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და
პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის
პირველ ნახევარში . . . 100
(კონფერენცია: Internationale Tagung der Keilschriftforscher der sozialistischen Lander, Budapest, 1974).
ON THE QUESTION OF THE LOCATION OF "HATTE" 101
ხათეს ლოკალიზაციის საკითხისათვის 109
(კონფერენცია: XXXII Recontre Assyriologique Internationale, London, 1985).
ბიბლია და მესხების ძველი ისტორია 110
THE BIBLE AND THE ANCIENT
HISTORY OF MESKHS . . . 117
(კონფერენცია: „მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა", ახალციხე, 2000).
სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვის
ძველახლოაღმოსავლური მოდელის
რეკონსტრუქციისათვის 118
ON RECONSTRUCTION OF THE NEAR ANCIENT
ORIENTAL MODEL OF PROTECTION
OF THE STATE LANGUAGE STATUS 123

(კონფერენცია: „ქართული ენის როლი" საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში, თბილისი, 2011).
Южный Кавказ и древний Восток Этнокультурные паралели . 124
SOUTH CAUCAUSUS AND ANCIENT EAST ETHNO-CULTURAL PARALELS 141
(III Международная конференция Закрытое и открытое общество. Конфликт и традиционализм, как конкурируюшие вектора и развитии этнических культур Кавказа, Москва, 2003).
К вопросу о локализации матиенов в свете древнегреческих источников VI-V вв до н. э. 142
მატიენების ლოკალიზაციის საკითხი ძვ. წ. VI-V სს. ძველბერძნული წყაროების მონაცემთა შუქზე 159
(«Историко-филологический журнал», №2, Ереван, 1973, с. 200-210).
К вопросу о расселении мосхов в VI-V вв до н. э. 160
მოსხების განსახლებისათვის ძვ. წ. VI-V სს. 193
(Международная конференция Эйрене, Ереван, 1976).
К локализации страбоновой страны мосхов (Μοσχική) 195
სტრაბონისეული მოსხების ქვეყნის ლოკალიზაციისათვის (Μοσχική). 236
LOCALIZATION OF STRABO'S THE COUNTRY OF MOSKHS (Μοσχική) 236
(Всесоюзная научная конференция Античные, Византийские и местные традиции в странах Восточного Черноморья, Тбилиси, 1975).
ქართული ეთნონიმიკის ისტორიისათვის. 238
HISTORY OF THE GEORGIAN ETHNONYMICS 252
(ქართველოლოგიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „შრომები", თბილისი, 2011).

თანაავტორებთან ერთად . . . 253
WITH THE COAUTHORS . . 253
ВМЕСТЕ С СОАВТОРАМИ 253

გრიგოლ გიორგაძე, ნანა ხახარაძე, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და ძველაღმოსავლური ეთნოკულტურული სამყარო .255

Этногенез грузинского народа и древневосточный
этнокультурный мир. 265
(საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის საკითხებისადმი, თბილისი, 2011). გამოქვეყნდა კრებულში: ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბილისი, 2002. გვ. 29-37).
NANA KHAZARADZE, TAMILA TSAGAREISHVILI, THE CULT OF SACRED TREE IN GEORGIA 268
წმინდა ხის კულტი საქართველოში 276
(კონფერენცია: XXXIV Recontre Assyriologique Internationale, Stambul, 1987).
ნანა ხაზარაძე, ნანა ბახსოლიანი, ქალის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების ინტერპრეტაციისათვის. 277
TOWARDS INTERPRETATION OF LUWIAN HIEROGLYPHS DENOTING WOMAN 284
ნანა ხაზარაძე, ნინო მინდაძე. გელასი კესარიელის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის 285
Nana Khazaradze, Nino Mindadze. ON INTERPRETATION OF ONE REPORT BY GELASIUS OF CAESAREA 302
(საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი თინათინ ოჩიაურის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი, თბილისი, 2003, გამოქვეყნდა: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXVI, გვ. 138-142.)

საიუბილეო თარიღები . . 303
ANNIVERSARY DATES . . 303
ЮБИЛЕЙНЫЕ ДАТЫ 303

ТИНАТИН КАУХЧИШВИЛИ – 90. 305
(მოხსენება წაკითხული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზეიმო სხდომაზე, თბილისი, 2009, 8 მაისი).
ჯულიეტა რუხაძე – 85 322

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2006 წლის 10 ივლისს წარმოთქმული სიტყვა. გამოქვეყნდა წიგნში: ჯულიეტა რუხაძე 85, თბილისი, 2007, გვ. 98-101).
ქალბატონი ჯულიეტა რუხაძის ახალი მონოგრაფია: „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში", თბილისი, 1999 328
(1999 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში წარმოთქმული სიტყვა. გამოქვეყნდა წიგნში: ჯულიეტა რუხაძე 85, თბილისი, 2007, გვ. 46-49).

ბოლოსიტყვაობის მაგიერ 333
INSTEAD OF EPILOGUE 333
ВМЕСТО ПОСЛЕСЛОВИЯ 333

ახლაც ერთად ვართ 335
(„ჩვენი მწერლობა", №8(86), 2009, 17 აპრილი, გვ. 32-34.)

შინაარსი 351

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის სტამბა

თბილისი

2012

რუსთაველის გამზ. 52